



LIBERTY BANK
www.libertybank.ge

სს ლიბერთი ბანკი
პილარ 3-ის ანგარიში 2017

სარჩევი

1 შესავალი	5
1.1 ინფორმაციის გამჟღავნება პილარ 3-ის ფარგლებში ბაზელ 3 კაპიტალის ჩარჩოს შესაბამისად ..	5
1.2 შემოწმება	5
1.3 მომზადების საფუძველი	5
1.4 სიხშირე და მედია საშუალებები	6
1.5 პილარ 3-ის ინფორმაციის გამჟღავნების პოზიცია	6
2 ძირითადი მონაცემები და ბიზნეს სტრატეგია	7
2.1 ძირითადი მონაცემები	7
2.2 ბიზნეს სტრატეგია	9
3 საკუთრების და ჯგუფის სტრუქტურა	11
3.1 საკუთრების სტრუქტურა	11
3.2 ჯგუფის სტრუქტურა	12
4 კორპორაციული მართვა	13
4.1 კორპორაციული მართვის სტრუქტურა	13
4.2 აქციონერთა წლიური საერთო კრება	13
4.2.1 წლიური საერთო კრების მოწვევა	14
4.2.2 წლიური საერთო კრების ფუნქციები	14
4.2.3 2017 წელს ჩატარებული აქციონერთა კრება და მიღებული გადაწყვეტილებები	15
4.2.4 კომუნიკაცია და მედია განცხადებები	15
4.3 სამეთვალყურეო საბჭო	15
4.3.1 სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა	16
4.3.2 სამეთვალყურეო საბჭოს განათლება და გამოცდილება	16
4.3.3 სამეთვალყურეო საბჭოს დივერსიფიკაცია და დამოუკიდებლობა	18
4.3.4 სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები	19
4.3.5 სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა და კრებები	22
4.3.6 სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შეფასება	22
4.4 მმართველი საბჭო	23
4.4.1 მმართველი საბჭოს შემადგენლობა	23
4.4.2 მმართველი საბჭოს განათლება და გამოცდილება	24
4.4.3 მმართველი საბჭოს ფუნქციები	26
4.4.4 მმართველი საბჭოს საქმიანობა და კრებები	27
4.4.5 მმართველი საბჭოს საქმიანობის შეფასება	27
4.5 ქცევის და ეთიკის კოდექსი	27
4.5.1 კორპორაციული სახელმძღვანელო	27
4.5.2 რეგულაცია ინტერესთა კონფლიქტის მართვის შესახებ	29
4.5.3 ინფორმაციის დაცვა/უსაფრთხოება	30

5 ანაზღაურება.....	31
5.1 საერთო ანაზღაურების სქემა.....	31
5.1.1 გენერალური საპრემიო ფონდის პოლიტიკა.....	31
5.1.2 ფრონტ ოფისის თანამშრომლების ანაზღაურება	32
5.1.3 ბექ ოფისის თანამშრომლების ანაზღაურება.....	32
5.2 მმართველი საბჭოს ანაზღაურება.....	32
5.3 სამეთვალყურეო საბჭოს ანაზღაურება.....	34
5.4 პერსონალი, რომელიც არსებით გავლენას ახდენს ბანკის რისკის პროფილზე	34
6 რისკის მართვა.....	35
6.1 რისკის მართვის სტრუქტურა	35
6.1.1 აუდიტის კომიტეტი	37
6.1.2 საკრედიტო რისკის კომიტეტი	38
6.1.3 აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი.....	38
6.1.4 საწარმო რისკების მართვის დეპარტამენტი.....	39
6.2 დოკუმენტი რისკის დასაშვები დონის შესახებ	39
6.2.1 რისკის დასაშვები დონე.....	39
6.2.2 მონიტორინგი, ანგარიშგება და გადახედვა.....	40
6.3 რისკის ტიპები.....	41
6.3.1 საკრედიტო და კონტრაგენტის რისკი	41
6.3.2 საბაზრო რისკი.....	41
6.3.3 საოპერაციო რისკი.....	42
6.3.4 ლიკვიდობის რისკი	42
6.4 კონცენტრაციის რისკი	42
6.5 სტრეს ტესტები	43
6.5.1 სტრეს ტესტების სტრუქტურა	43
6.5.2 სტრეს ტესტების მეთოდოლოგიის და სცენარების განსაზღვრა.....	44
6.6 აღდგენის გეგმა	44
6.7 რისკის ფაქტორები	45
7 კაპიტალის მართვა და კაპიტალის ადეკვატურობა	47
7.1 საზედამხებდველო ჩარჩო	47
7.2 საზედამხებდველო კაპიტალი	48
7.3 კაპიტალის მოთხოვნები	50
7.3.1 კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები	50
7.3.2 ცვლილება რისკის მიხედვით შეწონილ პოზიციებში.....	52
7.4 კაპიტალის მართვა	53
7.4.1 კაპიტალის მართვის ორგანიზაცია	53
7.4.2 კაპიტალის ადეკვატურობის მონიტორინგი და ანგარიშგება.....	54
7.4.3 კაპიტალის დაგეგმვა.....	54
7.5 კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცედურები.....	54
7.5.1 შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების მეთოდოლოგია.....	55
7.5.2 ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნები	57
7.5.3 შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასება	58
7.5.4 სტრეს ტესტები	59
7.6 ლევერიჯის კოეფიციენტი	59

8	საკრედიტო რისკი	61
8.1	საკრედიტო რისკის პოზიცია	61
8.2	საკრედიტო რისკების მართვა.....	62
8.2.1	გადაწყვეტილების მიღების პროცედურები	63
8.2.2	მონიტორინგი, პორტფელის მართვა და ანგარიშგება	64
8.2.3	საკრედიტო რისკის შეფასება	65
8.2.4	გაუფასურება	66
8.2.5	საკრედიტო შეფასების გარე ინსტიტუტები	69
8.3	საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	70
8.4	საკრედიტო რისკის კონცენტრაცია	72
8.5	რესტრუქტურირებული კრედიტები	72
8.6	საკრედიტო რისკის ჰეჯირება და მიტიგაცია.....	73
9	საბაზრო რისკი	75
9.1	სავალუტო რისკი	75
9.1.1	სავალუტო პოლიტიკა და ლიმიტები	75
9.1.2	რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიცია და კაპიტალის მოთხოვნა.....	76
9.1.3	სტრეს ტესტები	76
9.2	საპროცენტო რისკი.....	76
9.2.1	საპროცენტო რისკის შეფასება და მართვა	77
9.2.2	საპროცენტო რისკის შემოსავლის სენსიტიურობა და ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნა	78
9.2.3	საპროცენტო რისკის ჰეჯირება	79
10	საოპერაციო რისკი.....	80
10.1	საოპერაციო რისკის მართვის სტრუქტურა	80
10.2	საოპერაციო რისკის შეფასება და ახალი რისკის დამტკიცების პროცესი	82
10.3	საოპერაციო რისკის შემთხვევების მონაცემთა ბაზა	83
10.4	რაოდენობრივი მონაცემები საოპერაციო ზარალების შესახებ.....	83
10.5	კაპიტალის მოთხოვნა	84
10.6	კორპორაციული დაზღვევა.....	85
11	ლიკვიდობის რისკი	86
11.1	ლიკვიდობის რისკის მართვა და კონტროლი	86
11.2	ლიკვიდობის მოთხოვნები.....	87
11.3	ლიკვიდური საშუალებები და დაფარვის ვადების ინტერვალის ანალიზი.....	89
11.4	სტრეს ტესტები და აღდგენის გეგმა.....	90
12	დანართი	91

1 შესავალი

1.1 ინფორმაციის გამჟღავნება პილარ 3-ის ფარგლებში ბაზელ 3 კაპიტალის ჩარჩოს შესაბამისად.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია სს ლიბერთი ბანკის („ბანკი“) პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის წარმოდგენა, რომელიც მოითხოვება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) # 92/04 ბრძანების „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებზე“ დაყრდნობით. წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება პილარ 3-ის გამჟღავნების მოთხოვნებს, რომელიც შეიქმნა ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტისა და ევროკავშირის # 575/2013 რეგულაციის საფუძველზე „პრუდენციული მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტებისა და საინვესტიციო კომპანიებისთვის“ (Capital Requirements Regulation - “CRR”).

1.2 შემოწმება

პილარ 3-ის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია შემოწმდა და დამტკიცდა სს ლიბერთი ბანკის მმართველი საბჭოს მიერ. აღნიშნული დოკუმენტი მომზადდა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბანკის შიდა მართვის პროცედურების შესაბამისად. პილარ 3-ის ანგარიში სრულად შეესაბამება სებ-ის რეგულაციის No 92/04 „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები“, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის ივნისში და ასევე სებ-ის მიერ განსაზღვრულ სხვა რეგულაციებს. სებ-ის რეგულაციის მიხედვით, პილარ 3-ის ანგარიშში გამჟღავნებული ინფორმაცია არ საჭიროებს აუდიტორულ შემოწმებას დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ, შესაბამისად წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის აუდიტირებული.

1.3 მომზადების საფუძველი

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ყველა რაოდენობრივი მაჩვენებელი აღრიცხულია დამოუკიდებლად სებ-ის მიერ დადგენილი ადგილობრივი სააღრიცხვო სტანდარტების შესაბამისად, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. CRR-ის 432-ე მუხლი არამატერიალური, საკუთარი ან კონფიდენციალური ინფორმაციის შესახებ, უფლებას აძლევს ინსტიტუტებს არ გაამჟღავნონ ინფორმაცია, რომელიც ითვლება არამატერიალურად. სებ-ის რეგულაციის 3.3. მუხლი „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების“ შესახებ ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს, კერძოდ იმ ინფორმაციის არ გამჟღავნებას, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბანკზე. სხვაობები აღრიცხვისა და კონსოლიდაციის მარეგულირებელ სფეროებს შორის, იხილეთ დანართში ცხრილი 16. კონსოლიდაციის რეგულირების მეთოდები იხილეთ დანართში ცხრილი 17.

1.4 სიხშირე და მედია საშუალებები

სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად, ბანკი გააგრძელებს პილარ 3-ის ანგარიშის წარდგენას ყოველწლიურად, ხოლო შერჩეული რაოდენობრივი სქემების წარდგენას ყოველკვარტალურად. წინამდებარე დოკუმენტის ასლი შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ვებ-გვერდზე (www.libertybank.ge/en/ir/financial-information/regulatory-financial-reporting-to-the-national-bank-of-georgia) და სებ-ის ვებ-გვერდზე (www.nbg.gov.ge/index.php?m=673)

1.5 პილარ 3-ის ინფორმაციის გამჟღავნების პოზიცია

ქვემოთ ცხრილში აღწერილია თუ როგორ ასრულებს ბანკი CRR -ს, ასევე სებ-ის რეგულაციის თითოეულ მუხლს.

პილარ 3-ის ანგარიშში გასამჟღავნებელი მთავარი ინფორმაცია, რომელიც ასახულია CRR და სებ-ის რეგულაციაში

CRR ნომ.	პილარ 3 გამჟღავნების საგანი	მუხლი სებ-ის რეგულაციაში	პოზიცია პილარ 3 ანგარიშში
431	გამჟღავნების მოთხოვნების სფერო	მუხლი 3.8	სექცია 1.1
432	არამატერიალური, საკუთარი ან კონფიდენციალური ინფორმაცია	მუხლი 3.3	სექცია 1.3
433	გამჟღავნების სიხშირე	მუხლები 3.1; 3.5	სექცია 1.4
434	გამჟღავნების საშუალებები	მუხლი 3.4	სექცია 1.4
435	რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა	მუხლი 6.2	სექცია 6
436	გამოყენების სფერო	მუხლი 6.1; დანართი 2: ცხრილი 21	სექცია 1.3
437	საკუთარი სახსრები	დანართი 1: ცხრილი 9; 10	სექციები 7.2, 7.5.1 და 7.5.3
438	კაპიტალის მოთხოვნები	დანართი 1: ცხრილი 5; 9.1; 11; 13	სექციები 7.3.1, 7.5.2 და 7.5.3
439	კონტრაგენტის საკრედიტო რისკის პოზიცია	დანართი 1: ცხრილი 15	დანართი: ცხრილი 15
440	კაპიტალის ბუფერები	დანართი 1: ცხრილი 9.1	სექციები 7.1 და 7.3
441	გლობალური სისტემური მნიშვნელობის ინდიკატორები	N/A	N/A
442	საკრედიტო რისკის შესწორებები	მუხლი 6.3; დანართი 1: ცხრილები 16-19	სექციები 8.1, 8.2.4, 8.3 და 8.5
443	დაუტვირთავი აქტივები	N/A	N/A
444	ECAIs-ს გამოყენება	მუხლი 6.3	სექცია 8.2.5
445	საბაზრო რისკის პოზიცია	მუხლი 6.3 (გ)	სექცია 9
446	საოპერაციო რისკი	მუხლი 6.3 (გ) დანართი 2: ცხრილები 22; 23	სექცია 10
447	რისკები კაპიტალში, რომელიც არ არის შეტანილი სავაჭრო პორტფელში	N/A	N/A
448	საპროცენტო განაკვეთის რისკი პოზიციებზე	N/A	სექცია 9.2
449	სექურტიზაციის პოზიციების რისკი	N/A	N/A
450	ანაზღაურების პოლიტიკა	მუხლი 7; დანართი 2: ცხრილები 24-27	სექცია 5
451	ლევერიჯი	N/A	სექცია 7.6
452	IRB მიდგომის გამოყენება საკრედიტო რისკზე	N/A	სექციები 7.5.1-7.5.3
453	საკრედიტო რისკის შერბილების მეთოდების გამოყენება	მუხლი 6.3 დანართი 1: ცხრილები 12	სექცია 8.6
454	AMA გამოყენება საოპერაციო რისკზე	N/A	N/A
455	შიდა საბაზრო რისკის მოდელების გამოყენება	N/A	N/A

შენიშვნა: N/A (not applicable) - არ შეესაბამება.

2 ძირითადი მონაცემები და ბიზნეს სტრატეგია


2.1 ძირითადი მონაცემები

სს ლიბერთი ბანკი („ბანკი“), რომლის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, საქართველოს მესამე უმსხვილესი ბანკია მთლიანი აქტივების მიხედვით (სებ-ის შესაბამისად), რომლებმაც ლ 1,810 მილიონი შეადგინა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ბანკი საქმიანობას ეწევა მხოლოდ საქართველოში და აქვს ყველაზე დიდი საცალო ქსელი, რომელშიც შედის 645 ფილიალი და სერვის ცენტრი.


2017 წლის განმავლობაში, ბანკმა გააგრძელა თავისი კაპიტალიზაციის დონის გაძლიერება. ძირითადად პირველადმა კაპიტალმა, დივიდენდების გადახდის შემდეგ ბანკის ჩვეულებრივ და პრივილეგირებულ აქტივებზე, (Common Equity Tier 1 - “CET1”) შეადგინა ლ 162 მილიონი, 19%-იანი ზრდა წინა წელთან შედარებით. ყოველივე ზემოაღნიშნული ასახავს ბანკის შიდა კაპიტალის გენერირების ძლიერ უნარს.

რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციები (Risk Weighted Exposure - “RWE”) გაიზარდა ლ 1,355 მილიონამდე, რომელიც განაპირობა მთლიანი აქტივების ზრდამ და სებ-ის რეგულაციებში შესულმა ცვლილებებმა. შეცვლილი რეგულაციებით მოითხოვება უფრო მაღალი რისკის მიხედვით შეწონვა საოპერაციო რისკისა და არაუზრუნველყოფილი სესხებისათვის.


საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტები




საზედამხედველო კაპიტალი, ლ მილიონი



RWE, ლ მილიონი



RWE-ის განაწილება რისკის ტიპების მიხედვით 2017 წლის ბოლოს, ლ მილიონი




2017 წლის 4 მაისს, სარეიტინგო სააგენტო Fitch Ratings-მა დაადასტურა ბანკის გრძელვადიანი უცხოური ვალუტის ემიტენტის დეფოლტის რეიტინგი (Issuer Default Rating - “IDR”) - ‘B+’ სტაბილური პროგნოზით, მოკლევადიანი უცხოური ვალუტის IDR - ‘B’, მხარდაჭერის რეიტინგი - ‘4’ და მხარდაჭერის რეიტინგის დონე - ‘B’.


2017 წლის 30 მაისს, Standard & Poor’s-მა დაადასტურა ბანკის გრძელვადიანი კონტრაგენტის საკრედიტო რეიტინგი - ‘B’ და მოკლევადიანი კონტრაგენტის საკრედიტო რეიტინგი - ‘B’ და შეასწორა მისი პროგნოზი სტაბილურიდან - დადებითამდე.

ბანკის ლიკვიდურობის პოზიციამ სტაბილურობა შეინარჩუნა 2017 წლის განმავლობაში. 2017 წლის მდგომარეობით, ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი (სებ-ის მიხედვით) და ლიკვიდურობის კოეფიციენტი (სებ-ის მიხედვით) შეადგენდა 287%-ს და 62%-ს, შესაბამისად. დამატებითი ინფორმაცია სხვადასხვა ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, იხილეთ დანართში ცხრილი 1.

ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი



ლიკვიდურობის კოეფიციენტი



ბანკის წმინდა მოგება 2017 წელს შეადგინა ლ 52.4 მილიონი, 48%-იანი ზრდით წინა წელთან შედარებით. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის მთლიანი აქტივები შეადგენდა ლ 1,809.7 მილიონს, 10%-იანი ზრდით წინა წელთან შედარებით, და მთლიანი სააქციო კაპიტალი შეადგენდა ლ 226.2 დოლარს, 21%-იანი ზრდით წინა წელთან შედარებით.

დამატებითი ფინანსური ინფორმაცია

მილიონი ლ, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	დასრულებული წლისათვის		ცვლილება
	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	149.6	118.1	27%
მთლიანი საოპერაციო შემოსავალი	219.9	180.6	22%
წმინდა მოგება	52.4	35.3	48%
მოგება ერთ აქციაზე, ლ	0.0118	0.00790	49%
შემოსავალი საშუალო მთლიან კაპიტალზე ⁽¹⁾	25.8%	21.3%	
შემოსავალი საშუალო მთლიან აქტივებზე ⁽²⁾	3.1%	2.2%	
მთლიანი აქტივები	1,809.7	1,648.8	10%
წმინდა სესხები	848.7	655.3	30%
მთლიანი ვალდებულებები	1,583.4	1,462.5	8%
მთლიანი სააქციო კაპიტალი	226.2	186.3	21%
საბალანსო ღირებულება ჩვეულებრივ აქციაზე, ლ	0.0494	0.0404	22%

(1) შემოსავალი საშუალო მთლიან კაპიტალზე (Return on Average Equity - „ROAE“) შეადგენს იმ პერიოდის წმინდა მოგებას, რომელიც იყოფა საშუალო მთლიან სააქციო კაპიტალზე იმავე პერიოდის განმავლობაში.

(2) შემოსავალი საშუალო მთლიან აქტივებზე (Return on Average Assets - „ROAA“) შეადგენს იმ პერიოდის წმინდა მოგებას, რომელიც იყოფა საშუალო მთლიან აქტივებზე იმავე პერიოდის განმავლობაში.

საბალანსო და მოგება/ზარალის ანგარიშგების დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დანართში ცხრილი 1 და ცხრილი 2.

2.2 ბიზნეს სტრატეგია

მმართველი საბჭო მიზნად ისახავს მაქსიმალურად გაზარდოს სააქციო ღირებულება საქართველოში ბანკის წამყვან კომერციული ბანკად გარდაქმნის გზით - მასობრივ საცალო ბაზარსა და კორპორატიულ სეგმენტებზე აქცენტირებით. ბანკს გააჩნია მრავალმხრივი სადისტრიბუციო ქსელი, რომელიც მოიცავს სრული სერვისის მქონე ფილიალებს, სერვის ცენტრებს, გაყიდვების წერტილები (PAYExpress), მობილურ ბანკებს (Liberty Express), ბანკომატებს, დისტანციურ ბანკინგს და სხვა მცირე ზომის სავაჭრო ობიექტებს.

2018 წელს ბანკი გეგმავს ყურადღება გაამახვილოს ურთიერთობაზე ორიენტირებულ უნივერსალურ საბანკო დაწესებულებად ეტაპობრივ ტრანსფორმაციაზე კორპორატიული დაკრედიტების ბაზარზე შესვლის გზით. ეს გადაწყვეტილება განპირობებულია ბანკის ჩვეულებრივი აქციების 60.5%-ის წინააღმდეგ დატვირთვის მოხსნით, როდესაც ბანკმა განაახლა საბითუმო დაფინანსებისა და კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტებზე წვდომა. აღნიშნული საშუალებას იძლევა არსებითად შემცირდეს სახსრების არსებული ღირებულება, რაც შესაძლებლობას მისცემს ბანკს ამოქმედოს უაღრესად კონკურენტუნარიანი კორპორატიული საბანკო მომსახურება, შემდეგ კი მიიღოს მოგება ჯვარედინი გაყიდვებიდან ახალი კლიენტების საგადახდო უწყისებისთვის და გაზარდოს უცხოური ვალუტისგან მიღებული შემოსავალი.

ბანკი გეგმავს IT სისტემებსა და ინფრასტრუქტურაში ინვესტირებას. ძირითადი პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესება და განახლება დაგეგმილია 2018 წლის ბოლოსთვის. შეიქმნება დამატებითი მოდულები და მონაცემთა სრულყოფილი საწყობი, რომელიც მოიცავს კონკრეტულ ბიზნეს ერთეულებზე ორიენტირებული მონაცემების ცენტრებს.

ბანკი ავითარებს ავტომატური სესხის გაცემის პროცესს. დღეისათვის ხდება მთლიანი სესხის 60%-ის ავტომატური გადახდა ისეთი სხვადასხვა წინასწარ დარეგულირებული და მყისიერი რეჟიმებით, როგორიცაა ბანკომატები, ნაღდი ანგარიშსწორების ტერმინალები (cash payment terminal - "CPT"), გარე გაყიდვების ტაბლეტების გუნდები და ფილიალის წარმომადგენლები, მათ შორის, გამავალი ზარების ცენტრი. დაგეგმილია სამომავლო ეფექტურობის გაზრდა 2018 წელს და ბიზნეს ხაზების - როგორიცაა მიკრო დაკრედიტება და სახელფასო სამომხმარებლო სესხების - გადატანა სრულად ავტომატიზირებული გაყიდვების ნიმუშში.

2018 წლის საპროცენტო შემოსავლები 8%-ით გაიზარდება, ძირითადად კორპორატიული საკრედიტო პორტფოლიოს მიერ გენერირებული საპროცენტო შემოსავლებით და გაზრდილი საცალო ვაჭრობის პორტფოლიოდან მიღებული დამატებითი საპროცენტო შემოსავლებით. საკრედიტო ჟურნალების მოცულობის ზრდა ნაწილობრივ დაფინანსდება ჭარბი ლიკვიდურობის ხარჯზე, თუმცა მოზიდულ იქნება დამატებითი სახსრები საცალო და კორპორატიული კლიენტებისგან, რის შედეგადაც გაიზარდება საპროცენტო ხარჯები. ბოლო 3 წლის განმავლობაში ბანკმა მოახერხა მსხვილი კორპორატიული მიმდინარე ანგარიშებიდან დივერსიფიკაცია და თანდათან გადავიდა მცირე ზომის და საკმაოდ დივერსიფიცირებული სტაბილური საცალო დეპოზიტების ბაზაზე (ფიქსირებული ვადის მქონე პირობებით). ვალდებულების მხარის ოპტიმიზაციისა და საპროცენტო ხარჯების შემცირების მიზნით, 2018 წლის მარტში ბანკმა დაიწყო თავისი ძვირადღირებული ქვე-ვალის კონტრაქტების ჩანაცვლება დაბალშემოსავლიანი ქვე-ვალის კონტრაქტებით, რამაც გამოიწვია წელიწადში ₾ 5 მილიონზე მეტის ეკონომია.

2017 წელს ბანკის კრედიტების საერთო მოცულობის ფარდობა მთლიან აქტივებთან 2016 წლის 44.6%-იანი მაჩვენებლიდან 52.8%-მდე გაიზარდა, ხოლო კრედიტების საერთო მოცულობის ფარდობა კლიენტებისა და დეპოზიტების ნაშთებთან (client balances and deposits – „CBDs“) 2016 წლის 57.7% მაჩვენებლიდან 72.0%-მდე გაიზარდა. 2018 წლის ბანკის სტრატეგია მიზნად ისახავს ჭარბი ლიკვიდურობის ბუფერის ოპტიმიზაციას (მსხვილი კლიენტების უზრუნველსაყოფად ისტორიულად შექმნილი) საცალო და კორპორატიული საკრედიტო პორტფოლიოების ზრდის ხარჯზე. საერთო ჯამში, ბანკი ითვალისწინებს საკუთარი საკრედიტო ჟურნალის ზრდას 50% -ზე მეტით.

რისკის ფაქტორები, რომლებმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს ბანკის ბიზნეს სტრატეგიას, მოცემულია სექციაში 6.7.

3 საკუთრების და ჯგუფის სტრუქტურა

3.1 საკუთრების სტრუქტურა

2016 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქვემოთ მითითებული აქციონერები ფლობდნენ თავისუფალ მიმოქცევაში არსებული ჩვეულებრივი აქციების 5%-ზე მეტს. სხვა აქციონერები ინდივიდუალურად ფლობდნენ თავისუფალ მიმოქცევაში არსებული ჩვეულებრივი აქციების 5%-ზე ნაკლებს.

საკუთრების სტრუქტურა

აქციონერი	31 დეკემბერი 2017		31 დეკემბერი 2016	
	საკუთრების წილი, %	ხმის უფლებები, %	საკუთრების წილი, %	ხმის უფლებები, %
European Financial Group B.V.	60.46%	74.64%	–	–
ლიბერთი ბანკი (საკუთარი აქციები)	19.00%	–	19.00%	–
BNY Limited (ნომინალური მფლობელი)	6.96%	8.59%	10.19%	12.59%
შპს ლიბერთი ჰოლდინგ ჯორჯია (ყოფილი შპს ლიბერთი კაპიტალი)	–	–	58.18%	71.83%
სხვა აქციონერები (ინდივიდუალურად ფლობენ 5%-ზე ნაკლებს).	13.58%	16.77%	12.63%	15.58%
სულ	100.00%	100.00%	100.00%	100.00%

ბანკი არის ღია სააქციო საზოგადოება და მისი ჩვეულებრივი აქციებით ვაჭრობა ხორციელდება საქართველოს საფონდო ბირჟაზე. თავისუფალი რეზერვი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 24.0% -ს (31 დეკემბერი 2016 წელი: 23.6%).

2017 წლის 13 ოქტომბერს European Financial Group B.V. (“EFG”), ნიდერლანდების სამეფოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულმა და ორგანიზებულმა კომპანიამ, შეისყიდა ბანკის 74.64% წილი. ბანკის საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეები გახდნენ: ირაკლი რუხაძე, ბენ მარსონი და იგორ ალექსევი. აქციონერების და ბენეფიციარების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დანართში ცხრილი 6.

2017 წლის ნოემბერში, ბანკის საკონტროლო პაკეტის შეძენის შემდეგ, საერთო ხმის უფლების მქონე აქციების ნახევარზე მეტის შესყიდვის გზით, EFG-მ გამოაცხადა სავალდებულო სატენდერო შეთავაზება მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 532-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს ბანკის დანარჩენი ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების შესყიდვის შეთავაზებას. სავალდებულო სატენდერო შეთავაზება დაიწყო 2017 წლის 25 ნოემბერს და დასრულდა 2018 წლის 25 იანვარს (ამ თარიღის ჩათვლით). სავალდებულო სატენდერო წინადადების ფარგლებში EFG-მ შეიძინა 8,253,442 ჩვეულებრივი და 2,257,840 პრივილეგირებული აქცია. შესაბამისად EFG-ს ხმის უფლების მქონე საკუთრების წილი გაიზარდა 74.82%-მდე.

3.2 ჯგუფის სტრუქტურა

ბანკი არის ქვემო ცხრილში მითითებული საწარმოების მშობელი კომპანია, რომლებიც კონსოლიდირებულია აუდიტის მიერ შემოწმებულ ფინანსურ ანგარიშგებებში (ფასს-ის შესაბამისად). საზედამხედველო და პრუდენციული მიზნებისთვის, აღნიშნული კომპანიები არ არის კონსოლიდირებული და ბანკს მოეთხოვება შეასრულოს ყველა საზედამხედველო მოთხოვნა დამოუკიდებლად. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანმა წმინდა ინვესტიციებმა (სეზ-ის შესაბამისად) აღნიშნულ საწარმოებში შეადგინა ლ 0.3 მილიონი (31 დეკემბერი 2016 წ: ლ 0.3 მილიონი) და ითვლება არამატერიალურად.

ბანკის საკუთრების წილი

სახელი	რეგისტრაციის ქვეყანა	ბანკის საკუთრების წილი		რეგისტრაციის თარიღი	საქმიანობები
		31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016		
შპს Bus Stop ⁽¹⁾	საქართველო	100.00%	100.00%	27 აგვისტო 2009	–
LBF Luxembourg S.A. ⁽²⁾	ლუქსემბურგი	100.00%	100.00%	20 ივლისი 2015	ფინანსური საშუაშვლო მომსახურებები
სს სმარტექსი ⁽³⁾	საქართველო	21.47%	21.47%	5 იანვარი 2009	ადრეულ ეტაპზე VC ინვესტიციები

(1) ამჟამად უმოქმედო.

(2) ამჟამად უმოქმედო.


(3) 21.47%-ს ფლობს ბანკი და 78.53%-ის ბენეფიციარია ბ-ნი ვლადიმერ გურგენიძე.

4 კორპორაციული მართვა

4.1 კორპორაციული მართვის სტრუქტურა

მას შემდეგ, რაც EFG გახდა ბანკის მთავარი აქციონერი, სამეთვალყურეო და მმართველ საბჭოებში განხორციელდა რამდენიმე ცვლილება, მათ შორის ახალი თავმჯდომარის და გენერალური დირექტორის დანიშვნა. ბანკის განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვან ტრანსფორმაციასთან ერთად, უცვლელი რჩება მთავარი მიზანი, გაიზარდოს ბანკის აქციონერების შემოსავლები სტაბილურად, გრძელვადიან პერიოდში.

ბანკის კორპორაციული მართვის სტრუქტურა სრულად შეესაბამება ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს. სამეთვალყურეო და მმართველი საბჭოების მიერ გამოყენებული დადგენილი პოლიტიკა და პროცედურები აღწერილია პილარ 3-ის ანგარიშის სხვა ნაწილში. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია ბანკის საერთო ორგანიზაციული სტრუქტურა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.



4.2 აქციონერთა წლიური საერთო კრება

აქციონერთა წლიური საერთო კრება (Annual General Meeting - “AGM”) არის ბანკის დაინტერესებული აქციონერების სავალდებულო ყოველწლიური შეკრება. აქციონერთა წლიურ საერთო კრებაზე სამეთვალყურეო საბჭო წარმოადგენს წლიურ ანგარიშს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას აქციონერებისთვის კომპანიის საქმიანობის შედეგების და სტრატეგიის შესახებ. ხმის უფლებების მქონე აქციონერები ხმას აძლევენ ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორებიცაა დანიშვნა სამეთვალყურეო საბჭოში, ხელმძღვანელობის ანაზღაურება, დივიდენდის გადახდა და აუდიტორების შერჩევა.

4.2.1 წლიური საერთო კრების მოწვევა

წლიური საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ. ბანკის წესდების შესაბამისად, წლიურ საერთო კრებას სამეთვალყურეო საბჭო იწვევს ბანკის ბუღალტრული აღრიცხვების გარე აუდიტის დასრულებიდან ორი თვის განმავლობაში და ნებისმიერ შემთხვევაში წინა ფინანსური წლის დასრულებიდან ექვსი თვის განმავლობაში. ის საკითხები, რომლებიც არ იქნა განხილული წლიური საერთო კრების მიერ და შედის წლიური საერთო კრების პასუხისმგებლობის ფარგლებში, განიხილება და გადაწყდება რიგგარეშე საერთო კრებებზე (Extraordinary General Meetings - “EGM”). საგანგებო საერთო კრებების რაოდენობა წლის განმავლობაში არ არის შეზღუდული და შესაძლოა შეიცვალოს წლიდან წლამდე. EGM შეიძლება მოიწვიოს სამეთვალყურეო საბჭომ, მმართველმ საბჭომ ან წერილობითი მოთხოვნით აქციონერებმა, რომლებიც ფლობენ ბანკის ხმის უფლების მქონე აქციების მინიმუმ 5%-ს. აქციონერებს, რომლებიც არ ესწრებიან წლიურ საერთო კრებას, უფლება აქვთ ხმა მისცენ მინდობილობის საფუძველზე, რომელიც შეიძლება მიწოდებულ იქნას ფოსტით.

4.2.2 წლიური საერთო კრების ფუნქციები

წლიური საერთო კრების მთავარი ფუნქციები აღწერილია ქვემოთ:

1. კორპორაციული მართვა

- წესდების მიღება, დამტკიცება და ცვლილება;
- ბანკის კონსოლიდაცია, გაერთიანება, დაშლა, ლიკვიდაცია, რეორგანიზაცია და/ან ტრანსფორმაცია.
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და გათავისუფლება.
- ბანკის საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება.

2. დამტკიცების უფლებამოსილებები

- სამეთვალყურეო საბჭოს და მმართველი საბჭოს ანგარიშების დამტკიცება ან უარყოფა;
- წლიური ანგარიშის და ანგარიშგებების დამტკიცება.
- დამოუკიდებელი აუდიტორების შერჩევა, დანიშვნა და გათავისუფლება;
- სამეთვალყურეო საბჭოს და/ან მმართველი საბჭოს წინადადების დამტკიცება მოგების განაწილების შესახებ ან მოგების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ორგანოები არ წარმოადგენენ საერთო წინადადებას.

3. კონტროლის უფლებები

- გადაწყვეტილებების მიღება ბანკის ქონების შეძენასთან, გაყიდვასთან, გადაცემასთან, გაცვლასთან (ან დაკავშირებულ გარიგებებთან) ან სხვა დატვირთვასთან დაკავშირებით, რომლის ღირებულება აღემატება ბანკის კაპიტალის ღირებულების 10%-ს.

4.2.3 2017 წლის ჩატარებული აქციონერთა კრება და მიღებული გადაწყვეტილებები

AGM ჩატარდა 2017 წლის 15 მაისს. AGM-ზე დამტკიცდა:

- 2016 წლის აუდიტორულად შემოწმებული კონსოლიდირებული ფასს ფინანსური ანგარიშგებები;
- დივიდენდის გადახდა ჩვეულებრივ აქციებზე ლ 20.0 მილიონის ოდენობით;
- დივიდენდის გადახდა კონვერტირებულ პრივილეგირებულ აქციებზე ლ 1.0 მილიონის ოდენობით.
- ახალი მომსახურების ხელშეკრულება, მოცემული მომენტისთვის მოქმედ აღმასრულებელ თავმჯდომარესთან - ვლადიმერ გურგენიძესთან.

საკონტროლო პაკეტის წილის მფლობელების ცვლილებამ, რომელიც განხორციელდა 2017 წლის მეორე ნახევარში, მნიშვნელოვანი ცვლილებები განაპირობა პოლიტიკის შემუშავებასა და პრიორიტეტების განსაზღვრაში. პოლიტიკის ცვლილებების და განვითარების სტრატეგიების შედეგად, 2017 წლის აგვისტოში ჩატარდა რიგგარეშე საერთო კრება და არჩეულ იქნა სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრები, კერძოდ: ირაკლი ოთარ რუხაძე, გიორგი კალანდარიშვილი და დავით შონია.

4.2.4 კომუნიკაცია და მედია განცხადებები

როგორც წლიური საერთო კრების, ასევე რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების დრო, ადგილი და დღის წესრიგი გამოქვეყნდა ბეჭდურ მედიაში კრების ჩატარების თარიღამდე მინიმუმ 20 დღით ადრე. გარდა ამისა, უმცირესობის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად დამატებითი ზომების სახით, აქციონერებს, რომლებიც ფლობენ ბანკის აქციების მინიმუმ 1%-ს, პირადად ეცნობებათ კრების და დღის წესრიგის შესახებ რეგისტრირებული ან ელექტრონული ფოსტით.

4.3 სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ხელი შეუწყოს ბანკის კორპორაციული მართვის უმაღლესი სტანდარტების დაცვას. სამეთვალყურეო საბჭო, თავისი ქმედებებით ხელს უწყობს ბანკის წარმატებას აქციონერთა სასარგებლოდ და ანგარიშვალდებულია აქციონერების წინაშე შექმნას და უზრუნველყოს მდგრადი ღირებულება. სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია უზრუნველყოს, რომ ხელმძღვანელობამ არა მხოლოდ შეასრულოს მოკლევადიანი მიზნები, არამედ ხელი შეუწყოს ბანკის გრძელვადიან ზრდას. სტრატეგიების დასახვის და მისი განხორციელების მეთვალყურეობის გარდა, სამეთვალყურეო საბჭო ასევე პასუხისმგებელია უზრუნველყოს, რომ ხელმძღვანელობამ შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა. შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა უნდა იძლეოდეს ეფექტური ოპერაციების, შიდა ფინანსური კონტროლის მექანიზმების და კანონისა და რეგულაციის დაცვის გარანტიას.

4.3.1 სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

წესდების შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში შედის აქციონერთა საერთო კრების მიერ არჩეული მინიმუმ სამი და მაქსიმუმ შვიდი წევრი. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მმართველი საბჭოს წევრი შეიძლება ამავდროულად იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იმ პირობით, რომ მმართველი საბჭოს წევრები არ შეადგენენ სამეთვალყურეო საბჭოს უმრავლესობას. თუმცა, სეზ-ის ახალი რეგულაციის შესაბამისად, რომელიც ძალაში შედის 2018 წლის 1 ივნისიდან, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ უნდა იყოს მმართველი საბჭოს შემადგენლობაში და არ უნდა დაეკისროს ადმინისტრაციული მოვალეობები.

სამეთვალყურეო საბჭო ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც მოიწვევს სამეთვალყურეო საბჭოს კრებებს, განსაზღვრავს დღის წესრიგს და ხელს აწერს შესაბამის კრების ოქმებს, კრების მდივანთან ერთად. სამეთვალყურეო საბჭოს კრება შეიძლება ჩატარდეს სატელეფონო ან ვიდეო კონფერენციის მეშვეობით სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამეთვალყურეო საბჭო შედგებოდა თავმჯდომარისა და ორი წევრისაგან:

- თავმჯდომარე – ბ-ნი ირაკლი ოთარ რუხაძე;
- საბჭოს წევრი – ბ-ნი დავით შონია;
- საბჭოს წევრი – ბ-ნი გიორგი კალანდარიშვილი⁽¹⁾.

(1) 2017 წლის ოქტომბერში ბანკის საკონტროლო პაკეტის წილის მფლობელის ცვლილების გამო, ბ-ნი გიორგი კალანდარიშვილი, რომელიც ბანკის გენერალური დირექტორის პოსტთან ერთად ასევე იყო სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. თუმცა, ახალი საზედამხებელო მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც ძალაში შედის 2018 წლის 1 ივნისიდან, ბანკს სურს სამეთვალყურეო საბჭოს და მმართველი საბჭოს შემადგენლობის ოპტიმიზაცია და ბ-ნი გიორგი კალანდარიშვილი აღარ იქნება სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და გააგრძელებს საქმიანობას მხოლოდ ბანკის გენერალური დირექტორის პოსტზე.

4.3.2 სამეთვალყურეო საბჭოს განათლება და გამოცდილება

სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ფინანსური ანალიზის, კაპიტალის ბაზრების, ფინანსური ანგარიშგების, ინფორმაციული ტექნოლოგიების, სტრატეგიული დაგეგმარების, რისკის მართვის, კომპენსაციის, რეგულაციების, კორპორატიული მართვის და მენეჯმენტის ფართო სპექტრის ცოდნა და გამოცდილება აქვთ და, ამასთან, შეხედულებათა მრავალფეროვნების ხელშეწყობისათვის საჭირო მრავალგვარ უნარებს ფლობენ. ისინი გამოირჩევიან ადგილობრივი, რეგიონული და გლობალური ეკონომიკური და საბაზრო ძალებისა და სამართლებრივი თუ მარეგულირებელი გარემოს სიღრმისეული გააზრებით. მათი გამოცდილებისა და უნარების მრავალფეროვნება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბანკის დაინტერესებულ მხარეთა სასარგებლოდ რისკების შემცირებაში.

ირაკლი ოთარ რუხაძე

უნარები და გამოცდილება:

ირაკლი ოთარ რუხაძე სს "ლიბერთი ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ 2017 წლის ოქტომბერში იქნა არჩეული. 2011 წლიდან იგი გახლდათ შპს Hunnewell Partners (UK) LLP-ის პარტნიორი ლონდონში. ირაკლი წარმოადგენდა Salford Capital Partners-ის LP Salford Georgia-ს მმართველ დირექტორსა და პარტნიორს თბილისში. მმართველი დირექტორის რანგში ირაკლი რუხაძე ხელმძღვანელობდა Salford-ის ქართულ ოპერაციებს და, ამავე დროს, გლობალურად პასუხისმგებლობას ინარჩუნებდა კონკრეტულ სფეროებზე (ტელეკომუნიკაცია, უძრავი ქონება). მან წარმატებით განახორციელა რიგი მიმზიდველი გარიგებები საქართველოში. მისი ზედამხედველობითა და ხელმძღვანელობით, საქართველოს ეკონომიკამ დაახლოებით \$ 150 მილიონის ინვესტიცია მიიღო. 2001-2003 წლებში ირაკლი გახლდათ შპს Argo Ventures-ის დამფუძნებელი და პარტნიორი – ბოსტონი, მასაჩუსეტსი. კომპანია ორიენტირებული იყო კერძო კომპანიების მიმართ კონსულტაციების გაწევაზე – მეზანინური კაპიტალის საკითხებზე კონსულტაციების ჩათვლით. კლიენტთა რიგებში შედიოდა მსოფლიო უძრავი ქონების აუთსორსინგი - აშშ-ს უძრავი ქონების ანალიზის სფეროში წარმატებული კომპანია, რომლის ინვესტორთა სიაში ამჟამად ირიცხებიან Citigroup და First Union Securities. გარდა აღნიშნულისა, ირაკლი წარმოადგენდა შპს Caucasus Advisors LLC-ის დამფუძნებელსა და აღმასრულებელ დირექტორს – ბოსტონი, მასაჩუსეტსი, და მისი პასუხისმგებლობის ფარგლებში შედიოდა მრავალმილიონიანი საინვესტიციო ფონდის მართვა კავკასიის რეგიონში არსებულ კომპანიებში ინვესტირების მიზნით. ირაკლი ასევე იკავებდა ჩართულობის მენეჯერის პოზიციას McKinsey & Company Inc.-ში ბოსტონში, მასაჩუსეტსა და დიუსელდორფში, გერმანიაში, სადაც იგი უძღვებოდა კონსულტაციებს და ჩართული იყო პრობლემების მოგვარების კუთხით კლიენტი კომპანიის საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

განათლება:

ირაკლი ოთარ რუხაძემ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხით დაამთავრა Dartmouth College-ის Tuck ბიზნესის სკოლა (Tuck School of Business); იგი, ასევე, გახლავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული – მათემატიკისა და ეკონომიკის მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხით.

დავით შონია

უნარები და გამოცდილება:

დავით შონია სს "ლიბერთი ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრად 2017 წლის ოქტომბერში იქნა არჩეული. 2012 წლიდან დავითი Hunnewell Partners Georgia-ს აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობას იკავებს. მისი ძირითადი მოვალეობები მოიცავს სტაბილური ფულადი ნაკადების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების ჩამოყალიბებას, ფინანსური ანგარიშების მონიტორინგსა და კონტროლს. დავითი 2007-2011 წლებში Salford Georgia-ს ფინანსური დირექტორი გახლდათ; მისი პასუხისმგებლობის ფარგლებში შედიოდა Salford Georgia-ს კონტროლის ქვეშ მყოფ კომპანიებში ეფექტური და მოქნილი ფინანსური სტრუქტურების მომზადება და შენარჩუნება, ასევე ფინანსური ანგარიშების მონიტორინგი და კონტროლი. 2005-2007 წლებში დავითი ტელეკომპანია "იმედის" (სამაუწყებლო კომპანია) ფინანსური დირექტორის თანამდებობას იკავებდა.

განათლება:

დავითმა დაამთავრა ევროპული მართვის სკოლა (ქართულ-ფრანგული ერთობლივი ინსტიტუტი) – თბილისი, საქართველო; ფლობს ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხს.

გიორგი კალანდარიშვილი

უნარები და გამოცდილება:

გიორგი კალანდარიშვილი 2017 წლის ოქტომბერში არჩეულ იქნა სამეთვალყურეო საბჭოს წევრად და დაინიშნა სს "ლიბერთი ბანკის" აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე. ბანკში მუშაობის დაწყებამდე, გიორგი გახლდათ Hunnewell Partners Georgia-ს პროექტების დირექტორი (2015 წლიდან). 2010-2015 წლებში გიორგი შპს Standard Group Ltd-ის პარტნიორი იყო; შპს "Standard Group" -ში გაწევრიანებამდე – 2008-2009 წლებში – იგი შპს "Forward Capital Ltd"-ის პროექტის მენეჯერი გახლდათ; 2005-2007 წლებში გიორგი სს "სტანდარტ ბანკის" აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობას იკავებდა. 2001 წელს გიორგიმ მუშაობა დაიწყო სს „აგრობიზნესბანკში“ საკრედიტო განყოფილების უფროსად, ხოლო 2003 წელს დაინიშნა აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე. სს „აგრობიზნესბანკში“ მუშაობის დაწყებამდე გიორგი გახლდათ აუდიტორული კომპანია NACON-ის პარტნიორი. 1998-1999 წლებში იგი წარმოადგენდა სს "თბილკრედიტბანკის" საინვესტიციო სამმართველოს უფროსს. 1997 წელს გიორგი თბილისი ბანკის საინვესტიციო განყოფილების მენეჯერი იყო.

განათლება:

გიორგიმ დაამთავრა იესემ თბილისის უმაღლესი სკოლა (ESM-Tbilisi) ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხით.

4.3.3 სამეთვალყურეო საბჭოს დივერსიფიკაცია და დამოუკიდებლობა

სამეთვალყურეო საბჭო თვლის, რომ კვალიფიკაციების, ბიოგრაფიის, ცოდნის და გამოცდილების მრავალფეროვნება მნიშვნელოვანია საქმიანობის ეფექტურად მართვისათვის. სამეთვალყურეო საბჭო მუშაობს რათა უზრუნველყოს კვალიფიკაციების, გამოცდილების, დამოუკიდებლობის და საჭირო ცოდნის სათანადოდ დაბალანსება ალბულის პასუხისმგებლობების შესასრულებლად.

სამეთვალყურეო საბჭო თვლის, რომ საბჭოს მოცულობა და შემადგენლობა შესაფერისია, თუმცა საკონტროლო პაკეტის წილის მფლობელის ცვლილების გათვალისწინებით, რომელიც განხორციელდა 2017 წლის ოქტომბერში, საბჭო ახალი რეგულაციის შესაბამისად, რომელიც ძალაში შედის 2018 წლის 1 ივნისიდან, აპირებს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრების დამატებას და უფლებამოსილებების გამიჯვნას სამეთვალყურეო საბჭოს და მმართველ საბჭოს შორის. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს, რომელსაც უკავია და/ან მანამდე ეკავა მაღალი თანამდებობა სხვადასხვა ასოცირებულ სფეროში, თავისი გამოცდილებით და ხედვით ღირებული კონცეფციები შეაქვს სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობაში, რაც შესაძლებლობას აძლევს მას მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. არცერთ ფიზიკურ პირს ან ფიზიკურ პირთა ჯგუფს არ აქვს შესაძლებლობა აკონტროლოს გადაწყვეტილების მიღების პროცესი, და შესაბამისად მათზე არ არის დამყარებული მნიშვნელოვანი იმედები.

4.3.4 სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები

იმის უზრუნველყოფისთვის, რომ სამეთვალყურეო საბჭომ შეასრულოს აღებული პასუხისმგებლობები, კონკრეტული ძირითადი გადაწყვეტილებები, რომლებიც განსაკუთრებულ კომპეტენციას საჭიროებს, უნდა დაამტკიცოს სამეთვალყურეო საბჭომ. ქვემოთ განსაზღვრულია და ფორმულირებულია სამეთვალყურეო საბჭოსთვის განსაკუთრებული კომპეტენციის საკითხები:

1. სტრატეგია და მართვა

- პასუხისმგებლობა ბანკის საერთო მართვაზე;
- ბანკის კომერციული და საინვესტიციო სტრატეგიების დამტკიცება;
- წლიური საოპერაციო და კაპიტალური ხარჯების ბიუჯეტების დამტკიცება;
- გადაწყვეტილებების დამტკიცება, რომლებიც მოიცავს მნიშვნელოვან ცვლილებას ბანკის ან მისი საქმიანობის ან საწარმოს საიდენტიფიკაციო მონაცემებში ან დახასიათებაში, მათ შორის ბანკის ყველა ან არსებითად ყველა საკუთრების ან აქტივების არსებითი ნაწილის გადაცემას.
- რისკის მართვის სტრატეგიის ფორმულირება ან ცვლილება;
- ანგარიშების მოთხოვნა ბანკის საქმიანობების შესახებ მმართველი საბჭოდან და შიდა აუდიტის ან გარე ინსპექტირების შედეგად წარმოდგენილი ინფორმაციის გადახედვა.

2. ფინანსური ანგარიშგება და კონტროლი

- ბანკის სხვადასხვა პოლიტიკის გადახედვა და დამტკიცება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბანკი მუშაობს მაქსიმალური ეფექტურობით: სააღრიცხვო პოლიტიკა და პრაქტიკა, ჯანდაცვის და უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა, გარემოსდაცვითი პოლიტიკა, შიდა პოლიტიკა და პროცედურები სესხის გაცემასთან, ინვესტიციასთან, უცხოურ ვალუტასთან, აქტივებისა და ვალდებულებების მართვასთან, მათ კლასიფიკაციასთან და ადეკვატურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით;
- აქციებთან დაკავშირებული ხმის მიცემის უფლებების გამოყენება ბანკის ნებისმიერ ძირითად შვილობილ კომპანიაში და მათი ბიუჯეტის მიღება;
- შვილობილი კომპანიის ბიუჯეტის მიღება და ნებისმიერი შიდა ცვლილებები ასეთ ბიუჯეტში;
- ბანკის ფინანსური დოკუმენტაციის, აღრიცხვების და აქტივების შემოწმება, მათ შორის ბანკის ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების და საქონლის შემოწმება, პირდაპირ ან ინდივიდუალური წევრების ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით;
- დებიტორული დავალიანებების ფაქტორინგი, რომლის წლიური ღირებულება აღემატება 500,000 აშშ დოლარს ან ანგარიშ-ფაქტურის დისკონტირების ან მსგავსი შეთანხმებების გაფორმება, რომლის წლიური ღირებულება აღემატება 500,000 აშშ დოლარს.

3. რისკების ფარგლები და მისაღები რისკის დონე

- პასუხისმგებელი ბანკის ყველა მნიშვნელოვანი რისკის დადგენასა და კონტროლზე;
- რისკის მართვის სტრუქტურის განსაზღვრა;
- ბანკის რისკისადმი მიდრეკილების შესახებ ანგარიშის განსაზღვრა და რისკისადმი მიდრეკილების ზომების და საწყისი მაჩვენებლების დადგენა;
- კონკრეტული ეტაპების და ზომების დადგენა იმ შემთხვევაში, თუ ბანკის რისკის პროფილი გადააჭარბებს მისაღები რისკის დონეს.

4. შიდა კონტროლის მექანიზმები

- სამეთვალყურეო საბჭოს რეგულაციების ან მსგავსი წესების მიღება, შეწყვეტა ან ცვლილება სამეთვალყურეო საბჭოს შიდა ორგანიზაციასთან დაკავშირებით. ასევე ელექტრონული საშუალებებით სამეთვალყურეო საბჭოს კრებების ორგანიზებასთან დაკავშირებული რეგულაციების მიღება, შეწყვეტა ან ცვლილება.
- სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტ(ებ)ის შექმნა.

5. კონტრაქტები

- კაპიტალური დანახარჯების პროექტების დამტკიცება, რომლის ღირებულება აღემატება 500,000 აშშ დოლარს;
- მნიშვნელოვანი გარიგებების დამტკიცება ან იმ ხელშეკრულებების ან შეთანხმებების გაფორმება, რომლის ღირებულება აღემატება 500,000 აშშ დოლარს და სცილდება კომერციული ბანკების ჩვეულებრივი საქმიანობების ფარგლებს;
- ნებისმიერი აქტივის ან ბანკის ნებისმიერი ბიზნესის მთლიანი ან მნიშვნელოვანი ნაწილის ან არსებითი ნაწილის გასხვისება (რომელიც არ ხორციელდება საქმიანობის ჩვეულებრივ რეჟიმში), თითოეულ შემთხვევაში იმ ფასად ან ღირებულებით, რომელიც აღემატება 1,000,000 აშშ დოლარს ან როდესაც ასეთი გასხვისების შედეგად ნებისმიერი ერთი ფინანსური წლის განმავლობაში ყველა გასხვისების მთლიანი ღირებულება გადააჭარბებს 2,500,000 აშშ დოლარს;
- სესხის ან ნებისმიერი დავალიანების აღება, რომლის თანხა აღემატება 1,000,000 აშშ დოლარს, საქმიანობის ჩვეულებრივი რეჟიმის და სათანადო სამუშაო კაპიტალის მოთხოვნების გარეშე;
- სხვა იურიდიულ პირთან ან კომპანიასთან გრძელვადიანი თანამშრომლობის გაფორმება ან შეწყვეტა, თუ ეს ითვალისწინებს მომავალი გადახდის უფლებებს ან ვალდებულებებს, რომელიც აღემატება 1,000,000 აშშ დოლარს წლიურად;
- ბანკის მორატორიუმის გამოყენება დავალიანების დაფარვაზე ან ნებისმიერი სხვა მსგავსი ქმედება კრედიტორისთვის ფასდაკლების ზომებთან დაკავშირებით, რომელსაც მსგავსი იურიდიული ძალა აქვს, მოქმედი კანონის შესაბამისად;
- ბანკის მიერ წარდგენილი სესხების დამტკიცება, რომლის თანხა აღემატება 2,500,000 აშშ დოლარს;
- დაკავშირებული მხარის გარიგებების დამტკიცება ბანკის ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკის შესაბამისად.

6. კომუნიკაცია

- გადაწყვეტილებების და შესაბამისი დოკუმენტაციის დამტკიცება, რომელიც უნდა წარედგინოს აქციონერებს საერთო კრებაზე;
- კაპიტალის ან კაპიტალთან დაკავშირებული ინსტრუმენტების ნებისმიერი საჯარო შეთავაზების დამტკიცება, საკუთარი აქციების გაყიდვის და ჩვეულებრივ რეჟიმში ბაზრის შექმნის საქმიანობების გარდა ბანკის აქციებში;
- ბანკის აქციების შემცირება (მათ შორის სავალდებულო შემცირება).

7. დანიშვნები და ანაზღაურება

- ცვლილებები მმართველი საბჭოს სტრუქტურაში, ზომასა და შემადგენლობაში;
- პირთა დანიშვნები ან გათავისუფლებები მმართველ საბჭოში;
- ბანკის ნებისმიერი ძირითადი შვილობილი კომპანიის უმაღლესი რგოლის პერსონალის დანიშვნა, კანდიდატურის დაყენება ან გათავისუფლება;
- სავაჭრო წარმომადგენლების დანიშვნა ან გათავისუფლება;
- მმართველი საბჭოს ანაზღაურების პოლიტიკის განსაზღვრა;
- აუდიტის კომიტეტის წევრების დანიშვნა და გათავისუფლება;
- ბანკის აქციების დამოუკიდებელი რეგისტრატორის შერჩევა, მიღება და გათავისუფლება.

8. კორპორაციული მართვა

- მმართველი საბჭოს საქმიანობების ზედამხედველობა და მისი კომიტეტების და მმართველი საბჭოს ცალკეული წევრების საქმიანობის ოფიციალური და დეტალური განხილვა;
- მმართველი საბჭოსთვის ინსტრუქციების მიცემა ფინანსური, სოციალური, ეკონომიკური და საკადრო პოლიტიკის საერთო მიმართულებების შესახებ;
- ბანკის საერთო კორპორაციული მართვის სისტემის ანალიზი;
- აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა, მოთხოვნის შემთხვევაში ბანკის ინტერესებისთვის;
- წლიური ანგარიშების და მმართველი საბჭოს წინადადებების განხილვა მოგების განაწილების შესახებ;
- ახალი შვილობილი კომპანიის ან საწარმოს რეგისტრაცია ან წილის შეძენა ნებისმიერი კორპორაციის კაპიტალის აქციებში ან ნებისმიერ ინსტრუმენტში, რომელიც კონვერტირდება ნებისმიერი კორპორაციის სააქციო კაპიტალში ან ნებისმიერი სხვა წილის შეძენა კომპანიაში ან სხვა კომერციულ საწარმოში.

9. სხვა

- ნებისმიერი დავის წამოწყება, წარმოება ან გადაწყვეტა, როდესაც დავის თანხა აღემატება 500,000 აშშ დოლარს, და დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმეებთან ან სასამართლო წარმოებებთან დაკავშირებულ პირებთან, რომლებსაც ბანკის ხელმძღვანელი პოზიციები უკავიათ;
- ნებისმიერ პირთან ან საწარმოსთან პარტნიორობის ან ერთობლივი საწარმოს შეთანხმებების გაფორმება;
- ნებისმიერი პოლიტიკური შეწირულობის ან პოლიტიკური დონაციის განხორციელება;
- ბანკის კაპიტალის გაყიდვა ან რეკაპიტალიზაცია და ნებისმიერი აქციის გადაცემის ან დატვირთვის დამტკიცება (მათ შორის ნებისმიერი აქციის შეძენის უფლებების მინიჭება), ისეთი საფუძველის გარდა, როგორცაა პერსონალის მოტივაციის დამტკიცებული გეგმა.

სამეთვალყურეო საბჭო ასევე არის გადაწყვეტილების მიმღები ორგანო ყველა სხვა საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს ბანკისთვის მათი სტრატეგიული, ფინანსური ან რეპუტაციული რისკების ან შედეგების გამო.

4.3.5 სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა და კრებები

სამეთვალყურეო საბჭოს კრებები („კრება“) ტარდება მინიმუმ კვარტალში ერთხელ ბანკის იურიდიულ მისამართზე ან სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრის მოთხოვნით ნებისმიერ სხვა ადგილას. ყველა სხვა წევრთან შეთანხმებით, თავმჯდომარეს (თავად ან ნებისმიერი წევრის მოთხოვნით) შეუძლია მოიწვიოს კრება ზეპირი ფორმით ან სხვაგვარად დროის მოკლე პერიოდში. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება წარმოდგენილ იქნან სამეთვალყურეო საბჭოს სხვა წევრების მიერ. თითოეულ წევრს უფლება აქვს წარმოადგინოს სამეთვალყურეო საბჭოს მხოლოდ ერთი სხვა წევრი. საკითხები, რომლებიც მოითხოვს გადაწყვეტილების მიღებას დაგეგმილი კრების ფარგლებს გარეთ, განიხილება სპეციალურ დამატებით კრებებზე და სატელეფონო კონფერენციით. მთლიანობაში, სამეთვალყურეო საბჭო ოფიციალურად შეიკრიბა ცხრაჯერ 2017 წლის განმავლობაში და გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა პირადად ან სატელეფონო კონფერენციაზე. კრებების დროს სამეთვალყურეო საბჭო იღებს განახლებულ მონაცემებს შიდა საოპერაციო ფუნქციებიდან კონტროლის და რისკის მართვის, შესაბამისობის, შიდა აუდიტის, ადამიანური რესურსების, ძირითადი კონტრაქტების შესახებ, რომლებიც განსაზღვრულია სამეთვალყურეო საბჭოსთვის და სხვა კორპორაციულ საკითხებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ასევე არსებობს დღის წესრიგის საკითხების წლიური განრიგი იმის უზრუნველყოფისთვის, რომ ყველა საკითხს დაეთმოს სათანადო ყურადღება და განხილულ იქნას შესაბამის ნაწილში ფინანსურ და ნორმატიულ ციკლში. ეს მოიცავს ბიუჯეტს, სავალდებულო ანგარიშგებებს, მართვის ანგარიშებს და აქციონერთა წლიური საერთო კრების მოწვევას. კრებების გარეთ, თავმჯდომარეს და CEO-ს ხშირი კონტაქტი აქვთ ერთმანეთთან და სამეთვალყურეო საბჭოს სხვა წევრებთან წლის განმავლობაში. სამეთვალყურეო საბჭოს კრებაზე დასწრების დეტალები 2017 წლის განმავლობაში მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

სამეთვალყურეო საბჭოს კრებები

წევრები	დაგეგმილი კრებები დასწრების უფლება	დაგეგმილ კრებებს დაესწრო	დასწრება, %
ვლადიმერ გურგენიძე ⁽¹⁾	6	6	100%
მალეკ იშმურატოვი ⁽¹⁾	6	6	100%
ალექსეი იუსფინი ⁽¹⁾	6	6	100%
მარტინ პოლ გრემი ⁽¹⁾	6	6	100%
ნურლან აბდულოვი ⁽¹⁾	6	6	100%
ირაკლი ოთარ რუხაძე ⁽²⁾	4	3	75%
გიორგი კალანდარიშვილი ⁽²⁾	4	3	75%
დავით შონია ⁽²⁾	4	3	75%

(1) ვლადიმერ გურგენიძე, მალეკ იშმურატოვი, ალექსეი იუსფინი, მარტინ პოლ გრემი და ნურლან აბდულოვი 2017 წლის ოქტომბერში სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან გავიდნენ.

(2) ირაკლი ოთარ რუხაძე, გიორგი კალანდარიშვილი და დავით შონია არჩეულ იქნენ სამეთვალყურეო საბჭოში 2017 წლის სექტემბერში.

4.3.6 სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შეფასება

სამეთვალყურეო საბჭო მუდმივად ისწრაფვის გააუმჯობესოს თავისი ეფექტურობა და აღიარებს, რომ მისი შეფასების პროცესი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ამ მიზნის მისაღწევად. მთლიანობაში სამეთვალყურეო საბჭო ითვლება ძლიერ ორგანოდ, რომელიც წარმოადგენს კომპეტენციის და გამოცდილების სათანადო ბალანსს და სთავაზობს მოსაზრებების და პერსპექტივების რეალურ მრავალფეროვნებას.

4.4 მმართველი საბჭო

ბანკის ყოველდღიურ საქმიანობებს ახორციელებს მმართველი საბჭო, რომლის წევრები დანიშნულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. ბანკი აცნობიერებს მმართველი საბჭოს მნიშვნელობას, რომელიც მოიცავს კვალიფიკაციების, გამოცდილების და მრავალფეროვნების სწორ ბალანსს, რაც შესაძლებლობას აძლევს მათ ეფექტურად შეასრულონ მოვალეობები და პასუხისმგებლობები.

4.4.1 მმართველი საბჭოს შემადგენლობა

საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობების შესახებ და საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ განსაზღვრავს მთავარ პრინციპს, რომ კომპანიის საქმიანობის განხორციელებისთვის მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს პასუხისმგებლობები კომპანიის ზედამხედველობის და აღმასრულებელ პასუხისმგებლობებს შორის. მმართველი საბჭოს შემადგენლობაში შედიან: გენერალური დირექტორი (Chief Executive Officer - “CEO”) და დირექტორები. გენერალური დირექტორი და თითოეული დირექტორი დანიშნულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

მმართველ საბჭოს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია მართვის ყველა საკითხზე, რომელიც ეხება ბანკს. ყველა დირექტორი ანგარიშს პირდაპირ გენერალურ დირექტორს აბარებს. გენერალური დირექტორი პასუხისმგებელია წარმოადგინოს, შეიმუშაოს და ზედამხედველობა გაუწიოს ბანკის სტრატეგიას და საერთო კომერციულ მიზნებს, რომლებსაც ის განახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოსთან მჭიდრო კომუნიკაციით. გენერალური დირექტორი და მმართველი საბჭოს დანარჩენი წევრები პასუხისმგებელი არიან სამეთვალყურეო საბჭოს და შესაბამისი კომიტეტების გადაწყვეტილებების შესრულებაზე.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მმართველი საბჭოს შემადგენლობაში შედის გენერალური დირექტორი და ექვსი დირექტორი:

- გენერალური დირექტორი – ბ-ნი გიორგი კალანდარიშვილი⁽¹⁾;
- ფინანსური დირექტორი – ბ-ნი დავით მელიქიძე;
- საცალო საბანკო მომსახურების დირექტორი – ბ-ნი არმენ მათევოსიანი.
- კორპორაციული საბანკო საქმიანობის დირექტორი – ბ-ნი დავით ვერულაშვილი;
- მთავარი კონსულტანტი, დირექტორი – ბ-ნი ტარასი ჩანტლაძე⁽²⁾;
- ფილიალის ქსელის დირექტორი – ბ-ნი ზურაბ წულაია⁽²⁾;
- საკრედიტო რისკების დირექტორი – ბ-ნი ალექსანდრე ლიპარტელიანი⁽²⁾.

(1) 2017 წლის ოქტომბერში ბანკის საკონტროლო პაკეტის წილის მფლობელის ცვლილების გამო, ბ-ნი გიორგი კალანდარიშვილი, რომელიც ბანკის გენერალური დირექტორის პოსტთან ერთად ასევე იყო სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. თუმცა, ახალი საზედამხედველო მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც ძალაში შედის 2018 წლის 1 ივნისიდან, ბანკს სურს სამეთვალყურეო საბჭოს და მმართველი საბჭოს შემადგენლობის ოპტიმიზაცია და ბ-ნი გიორგი კალანდარიშვილი აღარ იქნება სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და გააგრძელებს საქმიანობას მხოლოდ ბანკის გენერალური დირექტორის პოსტზე.

(2) ბ-ნი ტარასი ჩანტლაძე, ბ-ნი ზურაბ წულაია და ბ-ნი ალექსანდრე ლიპარტელიანი გავიდნენ მმართველი საბჭოდან 2018 წლის აპრილში. ბ-ნი ლევან თხელიძე დაინიშნა საოპერაციო დირექტორად და ბ-ნი მამუკა კვარაცხელია დაინიშნა რისკების მართვის დირექტორად.

4.4.2 მმართველი საბჭოს განათლება და გამოცდილება

მმართველი საბჭოს წევრები ფლობენ სხვადასხვა სფეროს ცოდნასა და გამოცდილებას, მათ შორის, ფინანსებისა და ბუღალტერიის, რისკების მართვის, სტრატეგიული დაგეგმვის, საგადასახადო და სამართლებრივი საკითხების, მენეჯმენტის და ხელმძღვანელობის, კორპორაციული მართვისა და მარკეტინგის კუთხით. ისინი ადგილობრივი და რეგიონალური ეკონომიკური და საბაზრო პირობების გონივრული გააზრების უნარებით გამოირჩევიან, სიღრმისეულად ესმით სამართლებრივი და მარეგულირებელი გარემო. მათი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მრავალფეროვნება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბანკში გრძელვადიანი აქციონერის ღირებულების შექმნის კუთხით.

გიორგი კალანდარიშვილი

გიორგი 2017 წლის ოქტომბერში არჩეულ იქნა სამეთვალყურეო საბჭოს წევრად და დაინიშნა სს "ლიბერთი ბანკის" აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე. ბანკში მუშაობის დაწყებამდე, გიორგი გახლდათ Hunnewell Partners Georgia-ს პროექტების დირექტორი (2015 წლიდან). 2010-2015 წლებში გიორგი შპს Standard Group Ltd-ის პარტნიორი იყო; შპს "Standard Group" -ში გაწევრიანებამდე – 2008-2009 წლებში – იგი შპს "Forward Capital Ltd"-ის პროექტის მენეჯერი გახლდათ; 2005-2007 წლებში გიორგი სს "სტანდარტ ბანკის" აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობას იკავებდა. 2001 წელს გიორგიმ მუშაობა დაიწყო სს „აგრობიზნესბანკში“ საკრედიტო განყოფილების უფროსად, ხოლო 2003 წელს დაინიშნა აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე. სს „აგრობიზნესბანკში“ მუშაობის დაწყებამდე გიორგი გახლდათ აუდიტორული კომპანია NACON-ის პარტნიორი. 1998-1999 წლებში იგი წარმოადგენდა სს "თბილკრედიტბანკის" საინვესტიციო სამმართველოს უფროსს. 1997 წელს გიორგი თიბისი ბანკის საინვესტიციო განყოფილების მენეჯერი იყო. გიორგიმ დაამთავრა იესემ თბილისის უმაღლესი სკოლა (ESM-Tbilisi) ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხით.

დავით მელიქიძე

დავითი 2015 წლის იანვარში სს „ლიბერთი ბანკის“ ფინანსური დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა – რამდენიმე წლის მანძილზე დირექტორის მოადგილედ მუშაობის შემდეგ, როდესაც იგი ფინანსურ განყოფილებას უწევდა ზედამხედველობას. მისი ძირითადი მოვალეობები მოიცავს წლიური ბიუჯეტის და ყოველთვიური სამოქმედო გეგმების მომზადებას, სამეთვალყურეო კაპიტალის მოთხოვნების მართვას, სამუშაო ფულადი ბალანსების მონიტორინგს, შესაბამის ანგარიშებს, ფულადი თანხების პროგნოზირებას, სარეზერვო მოთხოვნებს და ხაზინის ოპერაციებს, უზრუნველყოფს რა ბანკის მიერ ყველა მარეგულირებელ მოთხოვნებისა და სხვა დათქმების ჯეროვნად შესრულებას. ბანკში მუშაობის დაწყებამდე დავითი გახლდათ Ernst & Young-ის კონსალტინგისა და საკონსულტაციო მომსახურების უფროსი აუდიტორი, სადაც ახორციელებდა ყოველწლიურ აუდიტს (IFRS, US GAAP), კვარტალურ მიმოხილვებსა და შესაბამისობის დაცვას. დავითმა ბაკალავრის ხარისხით დაამთავრა კავკასიის ბიზნესის სკოლა ეკონომიკისა და ფინანსების სპეციალობით. ამასთან, იგი აშშ-ის სერტიფიცირებული ბუღალტერი და CFA-ის II დონის კანდიდატია.

არმენ მატევესიანი

არმენი სს "ლიბერთი ბანკის" საცალო ბანკინგის დირექტორად 2010 წელს დაინიშნა. მისი ძირითადი მოვალეობებია: საცალო საბანკო არხებისა და პროდუქტების განვითარება და გაფართოება. არმენი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბანკის მუშაობაში, საცალო საბანკო ბაზარზე მის ერთერთ წამყვან კონკურენტად გარდაქმნაში. ბანკში მუშაობამდე არმენი იკავებდა დირექტორის მოადგილის თანამდებობას - საცალო პროდუქტი და მარკეტინგი როსბანკში (Rosbank), მოსკოვი, რუსეთი. 2009 წელს იგი გახლდათ ჯგუფ სოსიეტე ჟენერალის (Societe Generale) წევრი და ზედამხედველობდა ფილიალებს ალბანეთში, მონტენეგროსა და სერბიაში. ამასთან, 2005-2009 წლებში არმენი იკავებდა სხვადასხვა მნიშვნელოვან თანამდებობას სოსიეტე ჟენერალის გუნდში, კერძოდ, საბჭოს მრჩეველი, კომერციული დირექტორის მოადგილე, შიდა აუდიტის ხელმძღვანელი და ფინანსთა და IT-ის დირექტორი. არმენმა დაამთავრა მენეჯმენტის ევროპული სკოლა (თბილისი, საქართველო), ფლობს ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხს; ამასთან, იგი პროფესიონალური საბუღალტრო ანგარიშგების მაგისტრი და ACCA-ის დიპლომირებული ბუღალტერია.

დავით ვერულაშვილი

დავით სს "ლიბერთი ბანკის" კორპორატიულ საბანკო დირექტორად 2014 წელს დაინიშნა – რამდენიმე წლის მანძილზე კორპორატიული და სავაჭრო საბანკო საქმის დეპარტამენტის თანახელმძღვანელად მუშაობის შემდგომ. მისი ძირითადი მოვალეობები მოიცავს კორპორატიული ბიზნესის განვითარებასა და გაფართოებას, კორპორატიული კლიენტების სხვადასხვა მომსახურებითა და პროდუქტებით უზრუნველყოფას და კომუნიკაციებისა და პარტნიორობის დამყარებას სახელმწიფო სექტორის სხვადასხვა სუბიექტებთან. ბანკში მუშაობის დაწყებამდე დავითი გახლდათ სს პროკრედიტ ბანკის კორპორატიული საბანკო განყოფილების უფროსი. მას, ასევე, ეკავა სს "საქართველოს ბანკის" კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო განყოფილების დირექტორის მოადგილის თანამდებობა. ამასთან, დავითს აქვს საბანკო სექტორში სხვადასხვა საკრედიტო და კორპორატიული დაფინანსების პოზიციაზე 2000 წლიდან მუშაობის დიდი გამოცდილება. დავითმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ინფორმატიკისა და საწარმოთა მართვის ბაკალავრისა და მაგისტრის დიპლომებით.

ტარასი ჩანტლაძე

ტარასი (ტატო) სს "ლიბერთი ბანკის" გენერალური დირექტორის გენერალური მრჩეველის თანამდებობაზე 2015 წელს დაინიშნა – იურიდიული დეპარტამენტის უფროსად რამდენიმე წლიანი მუშაობის შემდეგ. მისი ძირითადი მოვალეობები მოიცავს ბანკის მენეჯმენტის სამართლებრივი და შესაბამისობის საკითხების კუთხით სტრატეგიულ რჩევებს, ბანკის წარმომადგენლობას კომპლექსური კორპორატიული დაფინანსების ტრანსაქციების მოლაპარაკებებში, კორპორატიული მართვის საკითხების ზედამხედველობას, მარეგულირებელი ცვლილებების და შიდა სამართლებრივი და სადავო საკითხების მართვის ანალიზს. ბანკში მუშაობის დაწყებამდე ტატო წარმოადგენდა DLA Piper-ის უცხოელ იურისტს ნიუ-იორკში, აშშ-ში, სადაც მისი სამუშაო ვალდებულებები მოიცავდა დაცვითი სახის არგუმენტების მომზადებას საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებისას, უცხო ქვეყნების კანონების შესახებ მემორანდუმების შედგენას. ტატო ასევე მუშაობდა DLA Piper-ის თბილისის ოფისის იურისტად. ტატო გახლავთ ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის – ვაშინგტონი – და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ფლობს საერთაშორისო და შედარებით სამართლის მაგისტრის ხარისხს და, შესაბამისად, სამართლის მაგისტრის ხარისხს. ამასთან, ტატო ნიუ-იორკისა და ქართული ადვოკატთა ასოციაციის წევრია.

ალექსანდრე ლიპარტელიანი

ალექსანდრე სს "ლიბერთი ბანკის" კრედიტების რისკის დირექტორის თანამდებობაზე 2013 წელს დაინიშნა – კორპორატიული და სავაჭრო ბანკინგის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილედ 2009 წლიდან მოყოლებული რამდენიმე წლიანი მუშაობის შემდეგ. ბანკში მუშაობის დაწყებამდე, ალექსანდრე იკავებდა სს Liberty Consumer-ის (ამჟამად Galt and Taggart Capital) აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის თანამდებობას ინვესტიციების განხრით. იგი ასევე იკავებდა სს Caucasus Agro Development-ის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობას 2009 წელს, ხოლო 2005-2008 წლებში – სს "საქართველოს ბანკის" კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო განყოფილების თანა-დირექტორის თანამდებობას. წარმოადგენდა რამდენიმე ცნობილი კომპანიის საბჭოს წევრს – როგორცაა თელიანი ველი, ინფო ჯორჯია, Prime Fitness, და მუშაობდა რამდენიმე მსხვილ პროექტზე. ალექსანდრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, ფლობს მათემატიკის განხრით ასპირანტურის დიპლომს.

4.4.3 მმართველი საბჭოს ფუნქციები

ბანკის ყოველდღიური საქმიანობების განხორციელების გარდა, მმართველი საბჭოს მთავარი ფუნქციები წარმოდგენილია ქვემოთ:

- აქციონერთა საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს დღის წესრიგში მონაცემების შეტანა;
- სამეთვალყურეო საბჭოსთვის წლიური ბიზნეს გეგმის, მათ შორის ბიუჯეტის, მოგების და ზარალის პროგნოზის და ბანკის საინვესტიციო გეგმის წარდგენა;
- სესხების გაცემის, ანგარიშსწორებების, დაფინანსების, სალარო მომსახურებების, უზრუნველყოფის, ბანკის ფულადი სახსრების და ფასეულობების აღრიცხვის და ანგარიშგების, შიდა კონტროლის და აღრიცხვის ორგანიზება და ზედამხედველობა, რომელიც უზრუნველყოფს ბანკის სათანადო მომსახურებას კლიენტებისთვის;
- ბანკის ფილიალების და სერვის ცენტრების ფუნქციონირების ორგანიზება და ზედამხედველობა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ასეთი ფილიალების და სერვის ცენტრების მენეჯერები შეასრულებენ თავიანთ დავალებებს და ფუნქციებს;
- შიდა აუდიტიდან ან გარე შემოწმებებიდან მიღებული ინფორმაციის გადახედვა, ასევე ფილიალის მენეჯერების და სერვის ცენტრების მენეჯერების მიერ წარდგენილი ანგარიშების გადახედვა და სათანადო გადაწყვეტილებების მიღება ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით;
- აქციონერთა საერთო კრების და/ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების უზრუნველყოფა;
- პოლიტიკის, ოფისის წესების და ნებისმიერი სხვა რეგულაციის შემუშავება და მათი სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენა დასამტკიცებლად;
- გადაწყვეტილების მიღება პერსონალის შერჩევის, გათავისუფლების, ტრენინგის და ანაზღაურების შესახებ (იმ პირობით, რომ მმართველი საბჭო ვალდებულია გაითვალისწინოს სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები კონკრეტულ ტოპ მენეჯერებთან დაკავშირებით);
- სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი რისკის მართვის პრინციპების მონიტორინგი და ბანკის რისკის პროფილის რისკის აპეტიტის უწყისში (Risk Appetite Statement – „RAS“) განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში მოქცევის უზრუნველყოფა.

მმართველი საბჭო ასევე არის გადაწყვეტილების მიმღები ორგანო ყველა იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც სპეციალურად არ არის განსაზღვრული სამეთვალყურეო საბჭოსთვის და/ან აქციონერთა საერთო კრებისთვის.

4.4.4 მმართველი საბჭოს საქმიანობა და კრებები

მმართველი საბჭოს საქმიანობებს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი. გენერალური დირექტორი უფლებამოსილია ინდივიდუალურად წარმოადგინოს ბანკი ნებისმიერი პირის წინაშე, სამეთვალყურეო საბჭოსთვის განსაზღვრული კომპეტენციის მქონე საკითხების საფუძველზე. ნებისმიერი გარიგება ან ბანკის ნებისმიერი შიდა რეგულაცია, ბრძანება ან ინსტრუქცია, შეიძლება დამოწმდეს გენერალური დირექტორის ხელმოწერით ან მმართველი საბჭოს ყველა დანარჩენი წევრების ხელმოწერებით. სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის საფუძველზე, გენერალურ დირექტორს შეუძლია მინდობილობა მიანიჭოს სხვა დირექტორებს დამოუკიდებლად წარმოადგინონ ბანკი სხვადასხვა გარიგებებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით.

მმართველი საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს მმართველი საბჭოს კრებებზე ბანკის შენობებში. მთლიანობაში მმართველი საბჭო შეიკრიბა 65-ჯერ 2017 წლის განმავლობაში და გადაწყვიტა სხვადასხვა საკითხები ახალი პროდუქტების შემუშავების, პერსონალის რეორგანიზაციის, კონკრეტული მომსახურების საფასურის და ბანკის სხვა საქმიანობების შესახებ.

4.4.5 მმართველი საბჭოს საქმიანობის შეფასება

სამეთვალყურეო საბჭო მუდმივად აფასებს მმართველი საბჭოს საქმიანობებს ბანკის საერთო მიზნების მიღწევის თვალსაზრისით და ღრმად სწამს, რომ მმართველი საბჭო ეფექტურად გააგრძელებს საქმიანობას და ექნება გამოცდილების და ცოდნის სათანადო ბალანსი და კომბინაცია.

4.5 ქცევის და ეთიკის კოდექსი

ბანკი ისწრაფვის დაიცვას ქცევის უმაღლესი სტანდარტები თავისი საქმიანობის ყველა ასპექტთან დაკავშირებით. ქცევის და ეთიკის სტანდარტებთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც ვრცელდება ბანკში მომუშავე ყველა პირზე, რეგულირდება სამეთვალყურეო საბჭოს ან მმართველი საბჭოს მიერ დამტკიცებული კონკრეტული პოლიტიკით და რეგულაციებით.

2018 წელს, ბანკს სურს დამატებით გააუმჯობესოს პროფესიული ქცევის და ეთიკის სტანდარტები და უახლოეს მომავალში დაამტკიცოს პროფესიული ქცევის და ეთიკის კონკრეტული კოდექსი.

4.5.1 კორპორაციული სახელმძღვანელო

ბანკი უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოს, სადაც თანამშრომლებს ეპყრობიან სამართლიანად და პატივისცემით. ბანკი ისწრაფვის მისცეს შესაძლებლობა თავის თანამშრომლებს მიაღწიონ წარმატებებს და სრულად გამოიყენონ თავიანთი პოტენციალი, დაჯილდოვდნენ დამსახურების მიხედვით და არ იგრძნონ რაიმე სახის დისკრიმინაცია ან შევიწროება. ბანკი აფასებს მკაფიო და ღია კომუნიკაციებს თავის თანამშრომლებთან. თანამშრომლებმა დაუყოვნებლივ უნდა განაცხადონ არაეთიკური ან უკანონო ქმედებების შესახებ და ბანკი გამოიკვლევს ყველა ასეთ საკითხს კეთილსინდისიერად, კონფიდენციალურობის და თანამშრომლის დაცვით.

ქვემოთ მოცემული მაჩვენებლები მითითებულია ბანკის კორპორაციულ სახელმძღვანელოში.

1. ბანკის პრინციპები

ყველა თანამშრომელი ერთგულად ასრულებს დაკისრებულ სამუშაოს და ძალისხმევას არ იშურებს მაქსიმალური შედეგების მისაღწევად. თითოეული თანამშრომელი მუდმივად უნდა ისწრაფვოდეს დასახული მიზნების რეალიზაციისთვის.

2. საქმიანობის ეფექტურობა

ბანკი თვლის, რომ მხოლოდ პროფესიონალთა ჯგუფი შეძლებს ბანკის პრობლემების გადაწყვეტას ეფექტურად. ჯგუფის შექმნის და განვითარების მიზნით, ყველა თანამშრომელი ვალდებულია:

- ისწრაფვოდეს პროფესიონალიზმის გაუმჯობესებისკენ;
- აილოს პასუხისმგებლობა მისი ფუნქციების და უნარების შესაბამისად;
- უზრუნველყოს თავისი მიზნების შესრულება დროულად;
- დააკმაყოფილოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც განსაზღვრულია მათ მიერ დაკავებული პოზიციებისთვის;
- გაეცნოს ბანკის ყველა განყოფილების სამუშაოს;
- გონივრულად დაგეგმოს და დახარჯოს ბანკის რესურსები, განსაზღვროს დელეგირების ოპტიმალური დონე, სიზუსტე და კონტროლი.

3. მოქნილობა და ინიციატივა

ბანკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოქნილობას და ინიციატივას, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ბანკის ზრდისთვის ბაზრის აჩქარებული ცვლილებების პირობებში. ბანკი სტიმულს აძლევს თავის თანამშრომლებს:

- განავითარონ თავიანთი შესაძლებლობები;
- მიაღწიონ დასახულ მიზნებს;
- უზრუნველყონ კრეატიული მიდგომა და ინიციატივები;
- მოიძიონ სამუშაო პროცესის მუდმივი გაუმჯობესების საშუალებები;
- ყოველთვის ისწრაფოდნენ პროფესიონალიზმის ამაღლებისკენ;
- მოიძიონ კლიენტის კმაყოფილების დონის ზრდის საშუალებები;
- ისწრაფოდნენ ბანკის კონკურენტუნარიანი უპირატესობის შექმნისა და შენარჩუნებისკენ.

4. გუნდური მუშაობა და თანამშრომლობა

ჯანსაღი სამუშაო გარემო ბანკში, ურთიერთპატივისცემა თანამშრომლებს შორის და კეთილსინდისიერი დამოკიდებულება სამუშაოს მიმართ ბანკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტებია.

5. გამჭვირვალობა და ნდობა

გამჭვირვალობა და ნდობა არის ბანკის კლიენტებთან, აქციონერებთან, პარტნიორებთან და დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციის საფუძველი. ბანკი იყენებს ყველა საინფორმაციო წყაროს: ბიზნეს შეხვედრებს, ჯგუფურ განხილვებს, ინტერნეტს, ინტრანეტს და პრეს კონფერენციებს ობიექტური ინფორმაციის გავრცელების მიზნით.

6. ურთიერთქმედება თანამშრომლებს შორის

ბანკი ორიენტირებულია გრძელვადიან თანამშრომლობაზე თანამშრომლებთან. ბანკი უფლებამოსილია უზრუნველყოს თავისი თანამშრომლების სოციალური დაცვა, რომელიც მოიცავს ჯანმრთელობის დაზღვევას, პროფესიულ განვითარებას და სოციალური კეთილდღეობის ზრდას. ყველა მენეჯერი ინაწილებს პასუხისმგებლობებს მათი დაქვემდებარებული თანამშრომლების შედეგების და შესაბამისი მოტივაციის შესახებ და აცნობიერებს თავის პასუხისმგებლობებს დაკისრებული ოფიციალური მოვალეობების შესრულებაზე მაღალი ხარისხით, ასევე საერთო მიზნების მიღწევაზე.

7. თანამშრომლის ქცევის სავალდებულო წესები

ყველა თანამშრომელმა უნდა იცოდეს, რომ ბანკის დადებითი იმიჯი მიზნების მიღწევის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. თანამშრომელმა ყოველთვის უნდა დაიცვას ბანკის ინტერესები და იმიჯი კლიენტების და პარტნიორების წინაშე. თანამშრომელი უნდა იყოს კეთილსინდისიერი და ობიექტური თავისი კლიენტების, ასევე კოლეგების და დაქვემდებარებული პირების მიმართ, პატივი უნდა სცეს და დაიცვას კოლეგების ინტერესები და არამხოლოდ აირიდოს კონფლიქტური სიტუაციები, არამედ ის სიტუაციებიც, რომლებმაც შესაძლოა მოახდინოს მცირე კონფლიქტების პროვოცირება.

8. აზარტულ თამაშებში მონაწილეობა

თანამშრომელს, რომლის მოვალეობები უკავშირდება მატერიალური ფასეულობების (ფული, ძვირფასი ლითონები, ბუღალტრული დოკუმენტაცია, ნებისმიერი მოძრავი და უძრავი ქონება) დაცვას და რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს ბანკს (ქმედებით ან უმოქმედობით), ეკრძალება აზარტულ თამაშებში (მათ შორის აზარტული თამაშების ტურნირები, სლოტ-აპარატები) და ბეთინგში (ბუკმეკერი) მონაწილეობა ან მათი ორგანიზება, როგორც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

4.5.2 რეგულაცია ინტერესთა კონფლიქტის მართვის შესახებ

ბანკის მეანაზრების და კრედიტორების ინტერესების დაცვის და ბანკის მიერ აფილირებულ პირებთან გარიგებების ადეკვატური ზედამხედველობის და კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, ითვლება, რომ კონკრეტული თანამშრომლები თავისუფალნი უნდა იყვნენ ინტერესთა ფაქტობრივი ან პოტენციური კონფლიქტებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათ გადაწყვეტილებებზე ან ქმედებებზე, ბანკში მუშაობის პროცესში. ამ მიზნისთვის, სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა წესი ინტერესთა კონფლიქტის მართვის შესახებ, შესაბამისად გაზარდა ბანკის ვალდებულება იმოქმედოს ეთიკის დაცვით და მიიღოს გადაწყვეტი ზომები, სათანადოდ განსაზღვროს და მართოს (თუ დასაშვებია) ინტერესთა პოტენციური კონფლიქტი.

ინტერესთა კონფლიქტის მართვისთვის, ბანკი ადგენს დაკავშირებულ / აფილირებულ მხარეებს, ადგენს ასეთი დაკავშირებული მხარეების ჩამონათვალს, ახდენს ასეთი ჩამონათვალის კლასიფიკაციას, განსაზღვრავს გარიგებების პროცესს, კონტროლის/ანგარიშგების საფუძველზე და განსაზღვრავს გარიგებების ტიპებს და ჩამონათვალს, რომლის დამტკიცების ექსკლუზიური კომპეტენცია ეკუთვნის სამეთვალყურეო საბჭოს.

4.5.3 ინფორმაციის დაცვა/უსაფრთხოება

ბანკმა მკაცრად უნდა დაიცვას თავისი კლიენტების, მომწოდებლების და კოლეგების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა მოქმედი კანონისა და რეგულაციების შესახებ. ინფორმაციის უსაფრთხოების მართვის პრინციპები და ძირითადი წესები ბანკის ტექნიკური ინფრასტრუქტურის ფარგლებში რეგულირდება ინფორმაციის უსაფრთხოების პოლიტიკით. ინფორმაციის უსაფრთხოების მართვის სისტემის საერთო მიზანია ბანკის მიერ გამოყენებული ინფორმაციის დაცვა, ბიზნეს მიზნების მიღწევის პროცესში. ინფორმაციის უსაფრთხოების მართვა უნდა განხორციელდეს ბანკის რისკის მართვის და ბიზნესის უწყვეტობის შესაბამისად, და ამ სახით ინფორმაციის უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევებით გამოწვეული პოტენციური ზიანის შემცირებით. მიზნები შეესაბამება ბანკის ბიზნეს მიზნებს, RAS-ს, სტრატეგიას და ბიზნეს გეგმებს, ძირითადი საინფორმაციო პროცესების და აქტივების კონფიდენციალობის, მთლიანობის და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის. აქტივების მთლიანობის, ხელმისაწვდომობის და კონფიდენციალობის დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება თითოეული აქტივის მფლობელს.

5 ანაზღაურება

ბანკი არის ერთ-ერთი წამყვანი დამსაქმებელი საქართველოში 5,000-ზე მეტი თანამშრომლით. პერსონალის მთლიანმა ხარჯებმა 2017 წლის განმავლობაში შეადგინა ლ 70.2 მილიონი, 7% ზრდით წინა წელთან შედარებით.

5.1 საერთო ანაზღაურების სქემა

ბანკი თვლის, რომ მისი გრძელვადიანი წარმატება დამოკიდებულია მისი თანამშრომლების შესაძლებლობაზე, აქედან გამომდინარე ანაზღაურების სქემის მთავარი მიზანია საუკეთესო სპეციალისტების მოზიდვა, დასაქმება და მოტივაცია ბაზარზე. მეორე მხრივ ბანკის ღირებული შეთავაზება არის კონკურენტუნარიანი საკომპენსაციო პაკეტი პროფესიული ზრდის ფართო შესაძლებლობებით და მოტივაციური სამუშაო გარემოთი. ანაზღაურების სისტემებს მართავს სამეთვალყურეო და მმართველი საბჭოები ადამიანური რესურსების (HR) განყოფილების მხარდაჭერით.

ბანკი შრომის ბაზარზე იკავებს სოციალურად პასუხისმგებელი და კეთილსინდისიერი მოთამაშის პოზიციას. ბანკის ანაზღაურების სქემის შესაბამისად, თანამშრომლებს აქვთ კონკურენტუნარიანი ხელფასი ბაზარზე არსებულ მსგავს პოზიციებთან შედარებით. მსგავსი მიდგომა გამოიყენება საკომპენსაციო პაკეტის შექმნისას მოქმედი თანამშრომლებისთვის. თანამშრომლის ანაზღაურება მოიცავს ყოველთვიურ ხელფასს და ბონუსის სისტემას. ბონუსის სისტემა ეფუძნება საქმიანობის ეფექტურობას და იცვლება ბიზნეს მიმართულებების და კონკრეტული პოზიციების მიხედვით. ბანკი მუდმივად აწარმოებს ბაზარზე არსებული ხელფასების კვლევას და ანალიზს, რომლის საფუძველზეც იღებს ანაზღაურებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს.

ბანკი ორიენტირებულია შექმნას უკეთესი სამუშაო გარემო ყველა თანამშრომლისთვის და ინარჩუნებს მდგრად მაჩვენებლებს. თანამშრომელი, რომელიც იცავს ბანკის ღირებულებებს და წვლილი შეაქვს ბანკის წარმატებაში, იღებს შესაბამის წახალისებას. გამოიყენება საქმიანობის შეფასების სხვადასხვა მეთოდოლოგია და წახალისების სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც ფინანსურ, ასევე არაფინანსურ სარგებელს. ფულადი ბონუსების გადახდის გარდა ბანკი უზრუნველყოფს თანამშრომლებს კონკურენტუნარიანი ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტით, სრულ-ანაზღაურებად ექსთენიან სადეკრეტო შვებულებას, ანაზღაურებად წლიურ შვებულებას, ასევე ავადმყოფობის პერიოდის ანაზღაურებას. დამატებით, ბანკი უზრუნველყოფს უფასო შიდა ნომრებს, კორპორაციულ მობილურ ნომრებს და სხვა სარგებელს.

5.1.1 გენერალური საპრემიო ფონდის პოლიტიკა

2010 წელს ბანკმა განახორციელა ფულადი პრემიების გადადების და განაწილების პოლიტიკა თავისი თანამშრომლებისთვის. აღნიშნული პოლიტიკა აფასებს დაბეგვრამდე მოგების წინასწარ განსაზღვრული თანხის განაწილების შედეგს ფინანსური ანგარიშგებების შესაბამისად, წინა წლიდან.

ბექ-ოფისის თანამშრომლებისა და საშუალო რგოლის ხელმძღვანელობისათვის, პრემიები გამოითვლება ბანკის წლიურ დაბეგვრამდე მოგების საფუძველზე და აბსოლუტურად დისკრეციულია. თითოეული თანამშრომლისთვის თანხის განაწილება ეფუძნება მათი მთავარი ბიზნეს მიზნების (Key Business Objectives - “KBOs”) შესრულების დონეს. KBOs განისაზღვრება და შეთანხმებულია შეფასების პერიოდის დასაწყისში. თანამშრომლები ინფორმირებულნი არიან თავიანთი ფუნქციისა და პასუხისმგებლობების შესახებ მათი კომპეტენციების ფარგლებში და მკაფიო ცოდნა აქვთ თავიანთი წვლილის შესახებ ორგანიზაციის მიზნებსა და დავალებებში.

5.1.2 ფრონტ ოფისის თანამშრომლების ანაზღაურება

ფრონტ ოფისის თანამშრომლების ანაზღაურება მოიცავს ფიქსირებულ ყოველთვიურ ხელფასს და ყოველთვიურ ცვალებად პრემიებს/ბონუსებს. საქმიანობის გეგმა განსაზღვრულია თითოეული ფრონტ ოფისის პოზიციისთვის, რომელიც ჩვეულებრივ დადგენილი და შეთანხმებულია ახალი თვის დაწყებამდე. აღნიშნული გეგმა მოიცავს კონკრეტულ მიზნებს და არის გამჭვირვალე და სრულად გასაგები. გეგმა შეესაბამება ბანკის სტრატეგიულ მიზნებს და შესაძლოა შეიცვალოს თვიდან თვემდე. კრედიტ ოფიცრები იღებენ პრემიებს/ბონუსებს გაცემული სესხების რაოდენობის და ხარისხის მიხედვით. მოლარის ბონუსები გამოითვლება მოზიდული დეპოზიტების რაოდენობის, მოცულობის და ვადიანობის საფუძველზე. ფრონტ ოფისის თანამშრომლები და გაყიდვების წარმომადგენლების ეფექტურობის მაჩვენებლებს ადგენს მმართველი საბჭო.

5.1.3 ბექ ოფისის თანამშრომლების ანაზღაურება

ბექ ოფისის თანამშრომლების ანაზღაურება მოიცავს ფიქსირებულ ყოველთვიურ ხელფასს. გარდა ამისა, ყოველთვიურად ცვალებადი პრემიები/ბონუსები ნაწილდება დაკავებული პოზიციის და საქმიანობის ეფექტურობის შესაბამისად. ბანკს აქვს საქმიანობის ეფექტურობის შეფასების მკაფიო სისტემა ბექ ოფისის თანამშრომლებისთვის. წლიური საინფორმაციო სესიების საფუძველზე მიიღება თანამშრომლების პროფესიული და პერსონალური უნარების სრული სურათი. ამ პროცესს და შედეგებს არსებითი მნიშვნელობა აქვს მმართველი საბჭოსთვის იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ეფექტურობის მაღალ მაჩვენებლებს და უზრუნველყოს თანამშრომლებისა და ინვესტორების ინტერესების თანხვედრას.

სათაო ოფისის თანამშრომლების უმეტესობა სარგებლობს გენერალური საპრემიო ფონდით. პრემიის ოდენობა ეფუძნება საქმიანობის შედეგებს დეპარტამენტის დონეზე და KBOs-ს ინდივიდუალურ შესრულებას.

5.2 მმართველი საბჭოს ანაზღაურება

მმართველი საბჭოს თითოეული წევრისთვის გაცემული ანაზღაურება მჭიდროდ არის დაკავშირებული KBOs მიღწევასთან და ბანკის საერთო ეფექტურობასთან მოცემული კალენდარული წლის დასასრულისთვის. მმართველი საბჭოს წევრების ყველა სახის სამოტივაციო პროგრამა და ფულადი ანაზღაურება ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს ნებართვას. ქვემოთ ცხრილში მითითებულია გენერალური დირექტორის და ფინანსური დირექტორის KBOs 2017 წლის განმავლობაში:

გენერალური დირექტორის KBOs

	მნიშვნელობა
ფინანსური მაჩვენებლები, კომბინირებული	65%
შემოსავალი უნდა აღემატებოდეს ლ 199 მილიონს	
ხარჯი/შემოსავლის თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 64%-ს	
წმინდა რეზერვები არ უნდა აღემატებოდეს უმცირესს შემდეგიდან: ლ 32 მილიონი და რისკის ღირებულება 4.5%	
წმინდა მოგება, უნდა აღემატებოდეს ლ 33 მილიონს	
დივიდენდის გადახდა ლ 20 მილიონის ოდენობით, 2017 წლის ივლისისთვის, CAR არანაკლებ 18.5% და 12.5% ბაზელი 1 და ბაზელი 2/3 მეთოდოლოგიების შესაბამისად	20%
ფასს 9 - სრული მიღება და გადასვლა ფასს 9-ზე	15%

ფინანსური დირექტორის KBOs

	მნიშვნელობა
2016 წლის ფინანსური ანგარიშგებების კვალიფიკაცია და კორექტირების გარეშე დროული გამოშვება	15%
დროული და ზუსტი სებ/სავალდებულო ანგარიშგება	10%
საგადასახადო ვალდებულებების შესრულება, არაუმეტეს ლ 200 ათასი კორექტირება ან საურავები (ჯარიმები)	15%
ხაზინა /ALCO, კომბინირებული	15%
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (Liquidity Coverage Ratio - "LCR") დაცვა ყველა ვალუტისთვის (\$: 110%-ს ზემოთ და 160%-ს ქვემოთ) წლის განმავლობაში	
ხაზინა/სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატი (certificate of deposits - "CD")/ბანკთაშორისი საპროცენტო შემოსავლები უნდა აღემატებოდეს ლ 23.4 მილიონს	
უცხოურ ვალუტასთან (Foreign Currency - "FX") დაკავშირებული შემოსავლები უნდა აღემატებოდეს ლ 7.9 მილიონს	
საპროცენტო ხარჯი - კომბინირებული სახსრების ღირებულების შენარჩუნება 8.7%-ს ქვემოთ წლის განმავლობაში	10%
საოპერაციო ხარჯი და კაპიტალური ხარჯი, კომბინირებული	15%
ხარჯი/მოგების შეფარდება, არ უნდა აღემატებოდეს 63%-ს.	
კაპიტალური ხარჯი და არამატერიალური აქტივების ხარჯი, არ უნდა აღემატებოდეს ლ 34.7 მილიონს	
ფასს 9 - სრული მიღება და გადასვლა ფასს 9-ზე.	10%
IT-დაკავშირებული KBOs, კომბინირებული	10%
ფულადი სახსრების მართვის მოდულის განხორციელება (მათ შორის ფულადი სახსრების ინკასირება/ATMs/ფულის საცავები, სხვა.)	
ხაზინის მოდულის წარმატებით განხორციელება	

2017 წლისთვის, მმართველი საბჭოს შვიდი წევრის ჯამურმა ანაზღაურებამ შეადგინა ლ 9.4 მილიონი, რომელშიც ფიქსირებული ანაზღაურება შეადგენდა ლ 3.3 მილიონს და ცვლადი ანაზღაურება შეადგენდა ლ 6.1 მილიონს. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მმართველი საბჭოს წევრები ფლობდნენ ბანკის 12.7 მილიონ ჩვეულებრივ აქციას. მმართველი საბჭოს ანაზღაურების შესახებ დამატებითი მონაცემებისთვის იხილეთ დანართში ცხრილები 20-23.

5.3 სამეთვალყურეო საბჭოს ანაზღაურება

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურებას განსაზღვრავს AGM და მჭიდროდ არის დაკავშირებული KBOs მიღწევასთან და ბანკის საერთო ეფექტურობასთან მოცემული კალენდარული წლის დასრულებისთვის. ქვემოთ ცხრილში მითითებულია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის KBOs 2017 წლის განმავლობაში:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის KBOs

	მნიშვნელობა
წმინდა მოგება უნდა აღემატებოდეს ლ 33 მილიონს	50%
დივიდენდის გადახდა ლ 20 მილიონის ოდენობით, 2017 წლის ივლისისთვის, CAR არანაკლებ 18.5% და 12.5% ბაზელი 1 და ბაზელი 2/3 მეთოდოლოგიების შესაბამისად.	50%

2017 წლისთვის, სამეთვალყურეო საბჭოს ჯამურმა ანაზღაურებამ შეადგინა ლ 2.5 მილიონი, რომელშიც ფიქსირებული ანაზღაურება შეადგენდა ლ 2.4 მილიონს და ცვლადი ანაზღაურება შეადგენდა ლ 0.1 მილიონს. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არ ფლობდნენ ბანკის ჩვეულებრივ აქციებს. სამეთვალყურეო საბჭოს ანაზღაურების შესახებ დამატებითი მონაცემებისთვის იხილეთ დანართში ცხრილები 20-23.

5.4 პერსონალი, რომელიც არსებით გავლენას ახდენს ბანკის რისკის პროფილზე

პერსონალი, რომელსაც უკავია ძირითადი ხელმძღვანელი თანამდებობები, პასუხისმგებელია ბიზნეს საქმიანობებზე მათი ზედამხედველობის ქვეშ. ბანკი განსაზღვრავს თანამშრომლებს, რომელთა პროფესიული საქმიანობა არსებით გავლენას ახდენს ბანკის რისკის პროფილზე შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

- თანამშრომელი არის მმართველი ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
- თანამშრომელი არის დირექტორი ან დირექტორის მოადგილე;
- თანამშრომელი არის რეგიონული მენეჯერი;
- თანამშრომელი არის ერთ-ერთი მთავარი დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მათ შორის: აუდიტორული, ფინანსური, ბუღალტრული აღრიცხვის, საკრედიტო რისკების, იურიდიული, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ადამიანური რესურსების, საოპერაციო, საწარმო რისკების მართვის (Enterprise Risk Management – “ERM”), ხაზინის, კონტროლის და დაგეგმვის, ინვესტორთან ურთიერთობების, შესყიდვების, დაბეგვრის, დამუშავების, მიკრო საკრედიტო და კერძო საბანკო მომსახურების განყოფილებები.

პერსონალის რაოდენობა, რომელიც არსებით გავლენას ახდენს ბანკის რისკის პროფილზე, სამეთვალყურეო და მმართველი საბჭოს წევრების გარდა, შეადგენს 38-ს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2017 წლისთვის, აღნიშნული 38 თანამშრომლის ჯამური ანაზღაურება შეადგენდა ლ 4.6 მილიონს, რომელშიც ფიქსირებული ანაზღაურება შეადგენდა ლ 2.9 მილიონს და 31 თანამშრომლის ცვლადი ანაზღაურება შეადგენდა ლ 1.7 მილიონს. იმ პერსონალის ანაზღაურების შესახებ დამატებითი მონაცემები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს ბანკის რისკის პროფილზე, იხილეთ დანართში ცხრილები 20-23.

6 რისკის მართვა

რისკი დამახასიათებელია საბანკო საქმიანობისთვის, თუმცა რისკის მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასების და მონიტორინგის უწყვეტი პროცესის მეშვეობით, რისკის ლიმიტების და კონტროლის სხვა მექანიზმების გამოყენებით. რისკის მართვის პროცესი უმნიშვნელოვანესია ბანკის უწყვეტი მომგებიანობისთვის და ბანკის თითოეული პირი ანგარიშვალდებულია რისკის პოზიციებზე მის მიერ აღებულ პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით. ბანკი დგას საკრედიტო რისკის, ლიკვიდურობის რისკის, საბაზრო რისკის, საოპერაციო რისკის და სხვა არაფინანსური რისკების წინაშე. ბანკის მიერ მიღებული რისკის მართვის სტრუქტურა ადგენს დასაშვები რისკების ლიმიტების ფარგლებს თითოეულ რისკთან და ბიზნეს ხაზთან მიმართებაში და უზრუნველყოფს მის შესაბამისობას.

6.1 რისკის მართვის სტრუქტურა

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა ბანკის რისკის მართვის სტრუქტურის შექმნასა და ზედამხედველობაზე.

ბანკის რისკის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს ბანკის რისკების დადგენასა და ანალიზს, შესაბამისი რისკის ლიმიტების და კონტროლის მექანიზმების განსაზღვრის და რისკების მონიტორინგის და ლიმიტების დაცვის მიზნით. რეგულარულად ხდება რისკის მართვის პოლიტიკის და სისტემების გადახედვა ბაზრის პირობების, პროდუქტების და შეთავაზებული მომსახურებების ცვლილებების ასახვის მიზნით. ბანკს, მართვის სტანდარტების, პროცედურების და ტრენინგების მეშვეობით, აქვს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის საშუალებები, სადაც ყველა თანამშრომელმა იცის თავისი ფუნქციები და ვალდებულებები.

რისკის მართვაზე ანგარიშვალდებული პირების პასუხისმგებლობა ითვალისწინებს ბანკის შესაბამისობის უზრუნველყოფას ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ RAS-თან. შესაბამისობა უზრუნველყოფილია RAS პარამეტრების უწყვეტი მონიტორინგით. მმართველი საბჭოს აქტიური ჩართულობით, რისკის მართვის ფუნქციები უზრუნველყოფს სათანადო კომუნიკაციას და გამჭვირვალობას ყველა დონეზე, რისკის მიზნობრივ მაჩვენებლებთან, რისკის მიღების დონესთან, რისკის პროფილის უწყვეტ მონიტორინგთან, რისკთან დაკავშირებული გაფრთხილებების დროულ ესკალაციასთან და შემარბილებელი ზომების დაგეგმვასთან დაკავშირებით.

ბანკის რისკის მართვის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ოთხ კომპონენტს:

- 1. რისკის მართვის პრინციპები** ითვალისწინებს რისკის მართვის სტრუქტურის რაოდენობრივ საფუძველს, ესენია:
 - რისკების მართვის ეფექტური კულტურის ხელშეწყობა;
 - რისკზე ანგარიშვალდებულება ბიზნეს ხაზების მიხედვით;
 - რისკების დამოუკიდებელი ცენტრალური ზედამხედველობა;
 - გადაჭარბებული კონცენტრაციების თავიდან აცილება და/ან შემცირება;
 - იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები იყოს მკაფიოდ გამოვლენადი, შეფასებადი და მართვადი.

2. **სტრატეგიული პრინციპები** ითვალისწინებს ხარისხობრივ მაჩვენებლებს, რომლითაც იხელმძღვანელებს ბანკი საზედამხედველო ფინანსური მიზნების მიღწევისას და რომლითაც იზომება ახალ ინიციატივებსა და ბანკის მიერ რისკის მიღების დონეს შორის შეთანხმების ხარისხი. სტრატეგიული პრინციპები მოიცავს შემდეგს:
 - ყურადღების გამახვილება მოგების მრავალფეროვნებაზე, ხარისხსა და სტაბილურობაზე;
 - ორიენტირება ძირითად საქმიანობაზე ბანკის კონკურენტუნარიანი უპირატესობების ეფექტური გამოყენებით;
 - დისციპლინირებული და შერჩევითი სტრატეგიული ინვესტიციების განხორციელება.
3. **საზედამხედველო ფინანსური მიზნები** ორიენტირებულია აქციონერთა ღირებულების და ბანკის საქმიანობის ფრანჩაიზინგის მდგრადობის გრძელვადიან პერსპექტივებზე. აღნიშნული მიზნები ორიენტირებულია კაპიტალის შიდა გენერირებაზე მოგების მდგრადი ზრდის საფუძველზე, რომელიც ხელს უწყობს ბანკის წვდომას კაპიტალზე სათანადო კომერციული პირობებით და, ადეკვატური კაპიტალის შენარჩუნებაზე ბანკის რისკის პროფილთან დაკავშირებით.
4. **რისკის აპეტიტის შეფასებები** ითვალისწინებს ობიექტურ მაჩვენებლებს, რომელიც ზომავს რისკს და ახდენს ბანკის მისაღები რისკის დონის ფორმულირებას. ასეთი მაჩვენებლები უზრუნველყოფს კავშირს რისკის მიღების ფაქტობრივ ოპერაციებსა და რისკის მართვის პრინციპებს, სტრატეგიულ პრინციპებს და საზედამხედველო ფინანსურ მოთხოვნებს შორის. აღნიშნული მაჩვენებლები მოიცავს კაპიტალის და შემოსავლების კოეფიციენტებს, საბაზრო და ლიკვიდობის რისკის ლიმიტებს და საკრედიტო და საოპერაციო რისკის მიზნებსა და ლიმიტებს.

სამეთვალყურეო საბჭო ერთპიროვნულად პასუხისმგებელია რისკების დადგენასა და კონტროლზე; თუმცა არსებობს ცალკე დამოუკიდებელი ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან რისკების მართვასა და მონიტორინგზე. ბანკის ძირითადი რისკების მართვას ახორციელებს ქვემოთ მითითებული კომიტეტები და ერთეულები, მმართველი საბჭოს აქტიური ჩართულობით:

- საკრედიტო რისკს მართავს საკრედიტო რისკის კომიტეტი;
- ლიკვიდობის რისკს მართავს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (“ALCO”);
- საბაზრო რისკს მართავს ALCO;
- საოპერაციო რისკს მართავს საოპერაციო რისკის მართვის (Operational Risk Management - “ORM”) დეპარტამენტი;
- ინფორმაციის უსაფრთხოების და ტექნოლოგიურ რისკებს მართავს ინფორმაციის უსაფრთხოების დეპარტამენტი.

ბიზნეს ხაზები წარმოადგენენ იმ რისკებზე მთავარ პასუხისმგებელ ერთეულებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ყოველდღიურ საქმიანობებზე და ოპერაციებზე. სამუშაო პროცესები მოიცავს რელევანტური რისკის ერთეულის წარმომადგენლების მიერ შესრულებული საქმიანობების კონტროლს. რისკის მართვის ფუნქციების მქონე ერთეულები, რომლებიც დამოუკიდებელი არიან ძირითადი საქმიანობებისგან, მონაწილეობენ რისკების მართვასა და შიდა კონტროლში. ისინი წარმოადგენენ კონტროლის და დაცვის მეორე ხაზს, პირველი ხაზი უზრუნველყოფილია ბიზნეს ფუნქციების მქონე ერთეულებით. ქვემოთ ჩამოთვლილი დეპარტამენტები პასუხისმგებელი არიან საკრედიტო, ლიკვიდობის, საბაზრო, საოპერაციო და სხვა ფინანსური და არაფინანსური რისკების ყოველდღიურ მართვაზე.

- ERM;
- ხაზინა;
- საკრედიტო ანდერრაიტინგი;
- კრედიტების ადმინისტრაცია;
- კრედიტების კონტროლი;
- ORM;
- ინფორმაციის უსაფრთხოება.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის (Anti-money laundering - “AML”) და კანონმდებლობის დარღვევის რისკებს მართავს ORM დეპარტამენტი. საზედამხედველო რისკს მართავს ERM დეპარტამენტი.

6.1.1 აუდიტის კომიტეტი

აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია ბანკის რისკის მართვის პოლიტიკის და პროცედურების შესრულების მონიტორინგზე და რისკის მართვის სტრუქტურის ადეკვატურობის გადახედვაზე ბანკის რისკებთან მიმართებაში. ეს კომიტეტი პასუხისმგებელია და აკონტროლებს მნიშვნელოვან რისკებთან დაკავშირებულ საკითხებს.

აუდიტის კომიტეტი ეხმარება სამეთვალყურეო საბჭოს რისკის მართვასთან და შიდა ფინანსურ კონტროლთან დაკავშირებით კონკრეტული ტიპის საოპერაციო რისკის და ფინანსური ანგარიშგებების კონტროლის მექანიზმების ადეკვატურობის და ეფექტურობის გადახედვის მიზნით. აუდიტის კომიტეტი ასევე აკონტროლებს ბანკის მიერ კორპორაციული მართვის პოლიტიკის და პროცედურების შესრულებას მექრთამეობის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასთან, ინტერესთა კონფლიქტთან და ასეთი ფაქტების მხილებასთან დაკავშირებით. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, აუდიტის კომიტეტი თვლის, რომ თავისი საერთო შიდა კონტროლის სტრუქტურა ეფექტურია.

აუდიტის კომიტეტის მთავარი ფუნქციები და პასუხისმგებლობებია:

- ბანკისთვის ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების წესების დადგენა, ასეთი წესების დაცვის ზედამხედველობა და ბანკის ბუღალტრული აღრიცხვების და ჩანაწერების შემოწმება ბანკის შიდა აუდიტორული მომსახურების მეშვეობით.
- ბანკის მიერ მოქმედი კანონმდებლობის დაცვის ზედამხედველობა;
- შიდა აუდიტორული ფუნქციის ზედამხედველობაზე პასუხისმგებლობა, რომელიც წარმოადგენს ბანკის დამოუკიდებელ გარანტიას რისკის მართვის და კონტროლის პროცესების და სისტემების ადეკვატურობასთან და ეფექტურობასთან დაკავშირებით ბანკში;
- რეგულაციების დამტკიცება, რომელიც არეგულირებს შიდა აუდიტორული მომსახურებებს და უზრუნველყოფს შიდა აუდიტორული მომსახურებების დამოუკიდებლობას ბანკის მმართველი საბჭოსგან.
- შიდა აუდიტორული მომსახურების კვარტალური / ნახევარ წლიური ანგარიშების გადახედვა, სამეთვალყურეო საბჭოსთვის და მმართველი საბჭოსთვის აუდიტორული შემოწმებების და რეკომენდაციების დამტკიცება და წარდგენა;
- შიდა აუდიტორული სამსახურის მიერ მომზადებული წლიური საოპერაციო გეგმის დამტკიცება და გეგმის კვარტალური გადახედვა;

- შიდა აუდიტორული სამსახურის თითოეული თანამშრომლის საქმიანობის შეფასება მათი პროფესიული უნარებისა და ეფექტურობის გათვალისწინებით და სათანადო გადაწყვეტილებების მიღება.

6.1.2 საკრედიტო რისკის კომიტეტი

საკრედიტო რისკის კომიტეტს ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა საკრედიტო რისკების მართვაზე ყველა ტიპის ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებით საწარმოს დონეზე. კომიტეტი ასრულებს მთავარ როლს ბანკის პორტფელში შესაძლო მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკების იდენტიფიკაციაში და აქვს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება შეთავაზებული საკრედიტო რისკთან დაკავშირებული გარიგებების დამტკიცების ან უარყოფის შესახებ. საკრედიტო რისკის კომიტეტმა შეიმუშავა საკრედიტო რისკის შეფასების პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც შეესაბამება ბანკის მოქმედი რისკის პროფილს და მომავალი ზრდის გეგმებს. სხვადასხვა საკრედიტო რისკის განყოფილებები და დეპარტამენტები წარმოადგენენ საკრედიტო რისკის კომიტეტის პროვაიდერებს. არსებითი საკრედიტო რისკის გარემოს უზრუნველყოფის მიზნით დაინერგა ყოვლისმომცველი კონტროლის და მონიტორინგის სისტემები, რომელშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული საკრედიტო რისკის მართვაში ჩართული პერსონალის და საწარმოების ფუნქციები და პასუხისმგებლობები.

საკრედიტო რისკის კომიტეტის მთავარი პასუხისმგებლობებია:

- რისკის მართვის სტრუქტურის და პოლიტიკის გადახედვა და დამტკიცება;
- საკრედიტო რისკების დამტკიცება დადგენილი ლიმიტების ფარგლებში;
- საბალანსო და ბალანსგარეშე საკრედიტო და კონცენტრაციის რისკების მართვა და ზედამხედველობა;
- საკრედიტო ლიმიტების განსაზღვრა კლიენტის კატეგორიის და ოპერაციის ტიპის მიხედვით;
- საკრედიტო რისკთან დაკავშირებული შესაძლო ზარალის წინასწარ დადგენა;
- კრედიტების სათანადო ადმინისტრაციის, შეფასების და მონიტორინგის პროცესის წარმოება ყველა ბიზნეს ხაზზე.

6.1.3 აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი

ALCO-ს ძირითადი ფუნქციებია კაპიტალის, ლიკვიდობის, საპროცენტო და დაფინანსების რისკების მართვა. ხმის უფლებების მქონე კომიტეტის წევრები არიან: CEO, CFO, ოპერაციების დირექტორი, მთავარი კონსულტანტი და ინვესტორებთან ურთიერთობის ხელმძღვანელი. მოწვეული წევრები ხაზინის, ERM და ფინანსური დეპარტამენტებიდან წარმოადგენენ რელევანტურ ანალიტიკურ მონაცემებს ეფექტური გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ALCO-ს კრებები ტარდება ყოველთვიურად ან ნებისმიერ დროს, როდესაც საჭიროდ ჩაითვლება.

ALCO-ს ძირითადი მიზნებია:

- მოკლევადიანი და გრძელვადიანი დაფინანსების გეგმის შემუშავება, ბანკის საინვესტიციო შესაძლებლობების გათვალისწინებით, ჭარბი ლიკვიდური სახსრების თავიდან აცილების მიზნით;
- დასაშვები ლიკვიდობის რისკის დონის განსაზღვრა, რისკის მისაღების დონის ანგარიშგების ფარგლებში;

- საპროცენტო განაკვეთების და საპროცენტო განაკვეთის პოზიციის მართვა;
- ადრეული გაფრთხილების ინდიკატორების კონტროლი ყოველთვიურ ლიკვიდობის სტრეს-ტესტებთან ერთად და მოქმედებს მისი შედეგების შესაბამისად;
- ლიკვიდობის რისკის შერბილების ინსტრუმენტების და აქტივების და ვალდებულებების დაფარვის ვადის დარღვევის მართვა;
- ბანკთაშორისი კონტრაგენტის რისკის ლიმიტების დამტკიცება;
- აღდგენის გეგმის განხორციელება ლიკვიდობის კრიზისული სიტუაციების შემთხვევაში.

კომიტეტი თავისი ძირითადი პასუხისმგებლობების შესრულებით, უზრუნველყოფს შესაბამისი აქტივების და ვალდებულებების მართვის პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას. აღნიშნული პოლიტიკა არის მთავარი სახელმძღვანელო ბანკის საბალანსო ანგარიშგებასთან და მის მაჩვენებლებთან დაკავშირებით სრული მონიტორინგის და ღრმა ანალიზის შესრულებისთვის.

6.1.4 საწარმო რისკების მართვის დეპარტამენტი

ბანკის საერთო სტრატეგიის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს რისკის მართვის სტრუქტურის გაძლიერებას, 2015 წლის ბოლოს დაფუძნდა ERM დეპარტამენტი. ERM დეპარტამენტის ფუნქცია ხელს უწყობს რისკთან დაკავშირებულ საქმიანობებს, როგორებიცაა გაერთიანება და ანალიტიკა, რისკების დაჯგუფებულად ანგარიშგება და იმ პრობლემებზე ყურადღების გამახვილება, რომელიც კონკრეტულად არ უკავშირდება რისკის ერთ ტიპს. ERM დეპარტამენტის მთავარი რისკის მართვის ფუნქციები ჩამოთვლილია ქვემოთ:

- პასუხისმგებლობა კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესზე (Internal Capital Adequacy Assessment Process - “ICAAP”) და აღდგენის გეგმის (Recovery Plan) დოკუმენტებზე;
- მმართველი საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს დახმარება RAS განხილვის პროცესის კოორდინაციაში და RAS დაცვის მონიტორინგში, კონტროლსა და ანგარიშგებაში;
- საერთო საწარმოო (Enterprise-wide), ლიკვიდობის და სხვა დამატებითი სტრეს-ტესტების ჩატარება;
- ყოველდღიური კომუნიკაცია ხაზინის დეპარტამენტთან და დამატებითი ინფორმაციის მიმწოდებელი ALCO-სთვის;
- საზედამხებელო რისკის მართვა და ანგარიშგება.

6.2 დოკუმენტი რისკის დასაშვები დონის შესახებ

6.2.1 რისკის დასაშვები დონე

ბანკის სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია შექმნას სტრუქტურა და განსაზღვროს ბანკის რისკის დასაშვები დონე. ბანკის რისკის დასაშვები დონე განსაზღვრულია დოკუმენტში რისკის დასაშვები დონის შესახებ (“RAS”). რისკის დასაშვები დონე ფართოდ განისაზღვრება, როგორც იმ რისკის ტიპების და დონის სახით, რომლის მიღებისთვის ბანკი მზად არის თავისი აქციონერების და მეანაზრეების სახელით მის სტარტეგიულ, ტაქტიკურ და ტრანზაქციულ ბიზნეს ოპერაციებში. რისკის დასაშვები დონე გამოხატულია, როგორც კონკრეტული, რაოდენობრივი ფარგლების პაკეტი სხვადასხვა სარისკო საქმიანობებზე, რომლის კროსირებაც არ უნდა მოახდინოს ბანკმა. RAS ასევე განსაზღვრავს სხვადასხვა ლიმიტებს კონტრაგენტებზე კონცენტრაციის რისკების თავიდან აცილებისთვის.

რისკის მიღების შესაძლებლობა წარმოადგენს ბანკის საერთო შესაძლებლობას მიიღოს პოტენციური ზარალი. რისკის პროფილი არის ბანკის რისკის პორტფელის მოკლე ასახვა დროის კონკრეტულ ეტაპზე (წარსული, აწმყო ან მომავალი). რისკის დასაშვები დონე არ არის ბანკის მიერ რისკის მიღების შესაძლებლობა (და უნდა იყოს მასზე ნაკლები) და ასევე შესაძლოა განსხვავდებოდეს ბანკის რისკის პროფილისგან. რისკის პროფილი ზოგადად დაბალი უნდა იყოს რისკის დასაშვებ დონეზე. რისკის პროფილი შეიძლება მაღალი იყოს რისკის დასაშვებ დონეზე გამონაკლის შემთხვევებში (მაგალითად, ბანკის რისკის დასაშვები დონის გამოხატული ცვლილების და გარე იმპულსების გამო) დროის შეზღუდულ და მოკლე პერიოდებში.

ბანკის დასაშვები დონის ზომები განსაზღვრულია ბანკის სტრატეგიული მიზნების მიღწევის და გაუმჯობესების სახელმძღვანელო მითითებების და უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის მიზნით. მიზნები:

- კაპიტალის ადეკვატურობის უზრუნველყოფა ნებისმიერ დროს;
- ლიკვიდობის და დაფინანსების რისკის სათანადო მართვის უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს: LCR და ლიკვიდობის კოეფიციენტის შენარჩუნებას საზედახმედველო მოთხოვნილ მინიმუმზე ზემოთ. შეზღუდვებს ერთი კლიენტის რისკის პოზიციებზე; კონცენტრაციის ლიმიტებს; სტრეს-ტესტების ჩაბარებას (საბაზო, რბილი და მძიმე შემთხვევები) და სათანადოდ დივერსიფიცირებული დაფინანსების სტრუქტურის მიღწევას და შენარჩუნებას;
- წინასწარი შეფასება მითითებულ რისკის დასაშვებ დონესთან დაკავშირებით უნდა წარედგინოს სამეთვალყურეო საბჭოს მნიშვნელოვანი ახალი პროექტების / ინვესტიციების, ახალი პროდუქტების თვალსაზრისით, და ბაზრის ახალ სეგმენტში ან ბიზნეს ხაზებში შესვლისთვის;
- მდგრადი ეკონომიკური სარგებელის შესაბამისობის შენარჩუნება აღებულ მოვალეობებთან;
- მნიშვნელოვანი ზარალის აცილება მცირე ან პერიფერიული ბიზნესებიდან, რომლებსაც არ აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა ბანკის სტრატეგიული წარმატებისთვის.

იმ შემთხვევაში, თუ ბანკის რისკის პროფილი აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ რისკის დასაშვებ დონეს, უნდა არსებობდეს ზომების კონკრეტული პაკეტი მმართველი საბჭოს დავალებებთან ერთად, რომელშიც შედის აღნიშნული ზომების განხორციელება ბანკის რისკის პროფილის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით რისკის დასაშვებ დონესთან დროის განსაზღვრულ პერიოდში.

მმართველი საბჭო და დეპარტამენტების ყველა ხელმძღვანელი პასუხისმგებელია შეასრულოს და დაიცვას რისკის დასაშვები დონის შესახებ დოკუმენტი.

6.2.2 მონიტორინგი, ანგარიშგება და გადახედვა

სამეთვალყურეო საბჭოს ეკისრება საბოლოო პასუხისმგებლობა ბანკის საერთო რისკის პროფილის მართვაზე. საკრედიტო რისკის კომიტეტი, ALCO და ინფორმაციის უსაფრთხოების, ORM და ERM დეპარტამენტები პასუხისმგებელნი არიან რისკების მონიტორინგზე და რისკის დასაშვები დონის შესაბამისობის უზრუნველყოფაზე. ERM დეპარტამენტს ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა RAS პარამეტრების და ლიმიტების უწყვეტ მონიტორინგზე და RAS შესრულების შესახებ ანგარიშგებაზე სამეთვალყურეო საბჭოსთვის ყოველკვარტალურად.

RAS შესრულების ანგარიში გამოიცა 2016 წლის მე-2 კვარტალში. RAS შესრულების ანგარიში წარმოადგენს რაოდენობრივ მაჩვენებლებს და ზომებს, ასევე ხარისხობრივ ინფორმაციას ბანკის მიერ RAS პარამეტრების შესრულებასთან დაკავშირებით. ERM დეპარტამენტი პასუხისმგებელია RAS შესრულების ანგარიში წარუდგინოს მმართველ და სამეთვალყურეო საბჭოს ყოველკვარტალურად.

რისკის დასაშვები დონის შესახებ დოკუმენტი გადაიხედება მინიმუმ წელიწადში ერთხელ ან ბანკის საოპერაციო გარემოს მნიშვნელოვანი ცვლილების დროს, რა შემთხვევაშიც გადახედვის პროცესს ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო. მმართველ საბჭოს შეუძლია მიუთითოს სამეთვალყურეო საბჭოს, რომ RAS საჭიროებს გადახედვას, თუმცა სამეთვალყურეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას როდის დაიწყოს აღნიშნული პროცესი. გადახედვის კოორდინაციას ახორციელებს ERM დეპარტამენტი. მმართველი საბჭო უგზავნის სამეთვალყურეო საბჭოს, შეთავაზებულ ცვლილებებს რისკის დასაშვები დონის შესახებ დოკუმენტში, რის შემდეგაც იმართება დისკუსია დამტკიცებასთან დაკავშირებით.

6.3 რისკის ტიპები

ბანკი თავისი საქმიანობის ფარგლებში სხვადასხვა რისკის წინაშე დგას, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი მითითებულია ქვემოთ.

6.3.1 საკრედიტო და კონტრაგენტის რისკი

საკრედიტო რისკი არის კონტრაგენტის (დებიტორები და სხვა) ან მსესხებლის მიერ შეთანხმებული პირობების შესაბამისად ვალდებულების შეუსრულებლობით ან გაკოტრებით გამოწვეული რისკი. აღნიშნული ვალდებულებები წარმოადგენს ბანკის ტრადიციული არასავაჭრო სასესხო საქმიანობების, ძირითადად სესხების ნაწილს. დეფოლტის რისკი, საკრედიტო რისკის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი მიუთითებს კონტრაგენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზარალის რისკს. ბანკი გამოყოფს ქვეყნის რისკს საკრედიტო რისკის ცალკე სახედ. ქვეყნის რისკი ბანკისთვის არის რისკი, რომელიც წარმოიქმნება ქვეყნის კრედიტუნარიანობის მოულოდნელი გაუარესების ან დეფოლტის შედეგად, რომელიც გამოწვეულია სოციალური არეულობით, პოლიტიკური არასტაბილურობით, ომით ან სხვა არახელსაყრელი მოვლენებით ქვეყანაში.

6.3.2 საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის საბაზრო ფასის ან განაკვეთების, მათ შორის საპროცენტო განაკვეთების და გაცვლითი კურსის უარყოფითი ცვლილებით და მათი არასტაბილურობით გამოწვეული გაუფასურების ზარალის რისკი. საბაზრო რისკი ძირითადად წარმოიქმნება სავაჭრო საქმიანობებიდან. ბანკი არ დგას სავაჭრო საქმიანობებთან დაკავშირებული რისკის ქვეშ, რადგან ბანკი რისკის დასაშვებ დონის შესაბამისად არ მონაწილეობს სავაჭრო საქმიანობებში. საბაზრო რისკი, რომელიც დაკავშირებულია საბანკო საქმიანობებთან, მოიცავს ზარალის რისკს აქციების ფლობასთან დაკავშირებით, და საპროცენტო განაკვეთი და გაცვლითი კურსი მიიღება საბანკო საშუაშალო საქმიანობებიდან. საბანკო ოპერაციების სააღრიცხვო ჟურნალის მიხედვით ბანკი ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის და გაცვლითი კურსის რისკებს.

6.3.3 საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი შეიძლება წარმოიშვას შიდა პროცესების, სისტემების ან ადამიანების, გარეშე განზრახული, შემთხვევითი ან ბუნებრივი მოვლენების, არაადეკვატურობის ან დარღვევის შედეგად. გარეშე მოვლენებში შედის თაღლითობა, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და ტერორისტის ან ჰაკერის შეჭრა. საკრედიტო ან საბაზრო შემთხვევები, როგორებიცაა დეფოლტი ან ღირებულების რყევები, რომლებიც შედის საოპერაციო რისკის ფარგლებში. კანონმდებლობასთან შეუსაბამობის რისკი შედის საოპერაციო რისკში. კანონმდებლობასთან შეუსაბამობის რისკი არის პოტენციური იმისა, რომ ბანკმა შესაძლოა მიიღოს საზედამხედველო სანქციები, ფინანსური ზარალი და/ან ზიანი მიაღწეს მის რეპუტაციას, ბანკის მიერ მოქმედი კანონმდებლობის, წესების და რეგულაციების შეუსრულებლობის გამო. საოპერაციო რისკი არ მოიცავს რეპუტაციის დაკარგვის რისკი.

6.3.4 ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომელიც წარმოიშობა ბანკის პოტენციური უუნარობის შედეგად შეასრულოს ყველა გადახდის ვალდებულება, მათი დაფარვის ვადის დადგომისას ან მოახდინოს აღნიშნული ვალდებულებების შესრულება ზედმეტი ხარჯის გაწევით.

6.4 კონცენტრაციის რისკი

კონცენტრაციის რისკი ძირითადად წარმოიქმნება აქტივების და ვალდებულებების სტრუქტურის არასათანადო დივერსიფიკაციის შედეგად. არსებითი მნიშვნელობა აქვს გონივრული შიდა მონიტორინგის და მართვის პროცედურების განსაზღვრას კონცენტრაციის რისკის დადგენის და შერბილების მიზნით, რადგან პოტენციური უარყოფითი ეფექტები ერთი შეხედვით შესაძლოა უმნიშვნელო იყოს, მაგრამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს ბანკის სტაბილურ ფინანსურ მდგომარეობას, კაპიტალის ადეკვატურობას და ლიკვიდურობას სხვადასხვა სტრესულ სცენარებში.

აქტივის მხრივ, ბანკი ექვემდებარება ორი ტიპის კონცენტრაციის რისკს. პირველი ტიპი, სახელობითი კონცენტრაცია, დაკავშირებულია იდიოსინკრატიკული რისკის არასრულ დივერსიფიკაციასთან პორტფელში, მისი ფართო დაქვემდებარებულობის გამო კონკრეტულ ინდივიდუალურ დებიტორებზე ან აქტივის ტიპზე. მეორე ტიპი, სექტორული კონცენტრაცია, უკავშირდება არასრულ დივერსიფიკაციას რისკის სისტემურ კომპონენტებთან, კერძოდ სექტორულ ფაქტორებთან დაკავშირებით, რომლებიც ძირითადად გამოწვეულია კონკრეტული ეკონომიკურ სექტორებზე ჭარბი დამოკიდებულებით. ვალდებულებების მხრივ, დაფინანსების სტრუქტურამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ბანკის მოკლევადიან და გრძელვადიან ლიკვიდურობის პოზიციებზე. კონკრეტულ პირებზე, საწარმოებზე ან დარგებზე დამოკიდებულებამ შესაძლოა გამოიწვიოს გაუთვალისწინებელი გადინებები, როდესაც ბანკმა შესაძლოა ვერ შეძლოს თავისი გადახდის ვალდებულებების შესრულება გონივრულ ვადებში.

ბანკი იყენებს სხვადასხვა შიდა პროცედურებს და პოლიტიკას კონცენტრაციის რისკის მართვისთვის და ასრულებს კონცენტრაციის რისკის საზედამხებდველო მოთხოვნებს. რისკის დასაშვები დონის სტრუქტურის ფარგლებში, ბანკი ადგენს ზომებს და ლიმიტებს საკრედიტო, დაფინანსების და საინვესტიციო ოპერაციებისთვის, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი კონცენტრაციის რისკები. იმ შემთხვევაში, თუ ბანკის კონცენტრაციის ლიმიტები აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ რისკის დასაშვებ დონეს, წინასწარ განისაზღვრება მოქმედებების კონკრეტული გეგმა, რომლის მიზანია ბანკის რისკის პროფილის შესაბამისობაში მოყვანა რისკის დასაშვებ დონესთან გონივრულ ვადაში.

2017 წლის ბოლოს, სეზ-მა შემოიღო სახელობითი და სექტორული კონცენტრაციის რისკის ბუფერები, პილარ 2-ის ჩარჩოს ფარგლებში. კონცენტრაციის რისკის გამოთვლა ხორციელდება ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის (Herfindahl-Hirschman Index - “HHI”) მეთოდოლოგიის საფუძველზე და ექვემდებარება ყოველთვიურ ანგარიშგებას.

6.5 სტრეს ტესტები

დინამიური რისკის ზედამხედველობის და მართვის უზრუნველყოფის მიზნით, ბანკმა შეიმუშავა სტრეს ტესტირების სტრუქტურა, რომელიც აღწერილია ქვემოთ.

6.5.1 სტრეს ტესტების სტრუქტურა

ბანკი იყენებს სტრეს ტესტებს თავისი კაპიტალის და ლიკვიდურობის მოთხოვნების დასაგეგმად სხვადასხვა უარყოფით სცენარებში. სტრეს ტესტები მოიცავს ყველა არსებით რისკს და შესაძლებლობას აძლევს ბანკს შეაფასოს არახელსაყრელი ეკონომიკური ტენდენციების ეფექტი სხვადასხვა ტიპის რისკებზე. სტრეს ტესტები ქმნის რისკის მართვის სისტემის განუყოფელ ნაწილს. ბანკი იყენებს სცენარზე დაფუძნებულ მიდგომას ეკონომიკაში უარყოფითი მოვლენების ზემოქმედების შესაფასებლად მის კაპიტალის ადეკვატურობის და ლიკვიდურობის ბუფერებზე. სტრეს ტესტები ტარდება საწარმოს დონეზე.

ბანკი იყენებს სტრეს ტესტებს კაპიტალის დაგეგმვის დროს და რისკებზე და შემოსავლის და ხარჯის სტრუქტურაზე. შემოსავალსა და ხარჯზე სტრესის შექმნა გავლენას ახდენს ბანკის კაპიტალზე, ხოლო რისკის პოზიციებზე სტრესის შექმნა ზემოქმედებას ახდენს RWE-ზე. სტრეს ტესტები ტარდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ ICAAP-ის ფარგლებში.

6.5.2 სტრეს ტესტების მეთოდოლოგიის და სცენარების განსაზღვრა

სტრეს ტესტების მეთოდოლოგია მოიცავს ოთხ ეტაპს. პირველი ეტაპია შიდა სტრეს-ტესტის სცენარების განსაზღვრა და მომზადება. თითოეული სცენარი მოიცავს მაკროეკონომიკურ ცვლადებს. ბანკს აქვს საბაზო სცენარი, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ტენდენციების პროგნოზს ჩვეულებრივი მოსალოდნელი ეკონომიკური მდგომარეობის დროს და რეცესიული სცენარი, რომელიც წარმოადგენს დარტყმებს ეკონომიკაზე, რომლებიც მოულოდნელი, მაგრამ შესაძლებელია. აღნიშნული სცენარები ასახავს მიმდინარე, ასევე პროგნოზირებულ ეკონომიკურ პირობებს და შესაბამისად კორექტირდება მმართველი საბჭოს მიერ. მეორე ეტაპი არის სცენარების ზემოქმედების განსაზღვრა სხვადასხვა ტიპის რისკებსა და კაპიტალზე. სტრეს-ტესტის სცენარების გადასვლისას ზემოქმედებებში რისკებზე, შემოსავლის და ხარჯის სტრუქტურაზე, ბანკი გამოთვლის კაპიტალის მოთხოვნის კოეფიციენტებს თითოეულ სცენარში. და ბოლოს შედეგებს აფასებს მმართველი საბჭო თანმიმდევრობის და სარწმუნოების უზრუნველყოფის მიზნით. მონაცემები შემდეგ წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს.

საწარმოს მასშტაბის სტრეს-ტესტირების გარდა, ბანკი იყენებს სხვადასხვა სპეციალურ სცენარებს, რაც მმართველ საბჭოს აწვდის ინფორმაციას ბანკზე ზემოქმედებების შესახებ კონკრეტული სახის მოვლენების შესაბამისად.

6.6 აღდგენის გეგმა

ბანკი ადგენს აღდგენის გეგმას (Recovery Plan), რომელიც ითვალისწინებს შესაძლო აღდგენის გზებს იმ შემთხვევაში, თუ ბანკი აღმოჩნდება პრობლემურ სიტუაციაში. აღდგენის გეგმა წარმოადგენს რისკის მართვის დამატებით ინსტრუმენტს და მისი მიზანია აღდგენის პერიოდის შემოკლება და ზარალის მინიმუმამდე დაყვანა კრიზისის შემთხვევაში. ბანკის საერთო რისკის პროფილის და ბანკისთვის დამახასიათებელი რისკების საფუძველზე, აღნიშნული გეგმა ითვალისწინებს კონკრეტულ გამომწვევ ფაქტორებს, რომლებიც მოითხოვს, რომ მმართველმა საბჭომ დაიწყოს აღდგენის გეგმის ამოქმედება.

აღდგენის გეგმაში აღწერილია და განსაზღვრულია მოვლენები, რომლებმაც შესაძლოა გამოწვიოს აღდგენის გეგმის ამოქმედება. იმ კრიტიკული მოცულობების გათვალისწინების მიზნით, რომლებიც იწვევს აღდგენის გეგმის აქტივაციას, ჩატარდა საბაზო პროგნოზირებული (ბიუჯეტში გათვალისწინებული) სცენარის ანალიზი. ვინაიდან წინასწარ არ არის ცნობილი მოვლენის ზუსტი ბუნება, რომელიც გამოიწვევს ზეწოლას ბანკზე, გეგმა უნდა იყოს მოქნილი სტრესული მოვლენების სიმწვავის საპასუხოდ და გათვალისწინებულ იქნას შესაძლო გამოსავლების ჩამონათვალი, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას საჭიროებისამებრ. გეგმაში აღწერილია შესაბამისი შემარბილებელი ფაქტორები / ქმედებები და არსებულ ზეწოლებზე მათი გამოყენების ეფექტები.

კაპიტალის ფაქტორებს აკონტროლებს ERM დეპარტამენტი ყოველთვიურად. ნებისმიერი პოტენციური მაინიცირებელი მოვლენა ეგზავნება მმართველ საბჭოს და განიხილება კრებაზე. ამოქმედების შემთხვევაში, აღდგენის გეგმის სტრატეგია განხორციელდება მმართველი საბჭოს ზედამხედველობით.

6.7 რისკის ფაქტორები

1. მაკროეკონომიკურმა ფაქტორებმა შესაძლოა გავლენა მოახდინონ ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე.

უარყოფითი ეკონომიკური პირობები უარყოფით გავლენას მოახდენს ბანკის საქმიანობის საერთო ეფექტურობაზე სხვადასხვა ასპექტში. არახელსაყრელმა ცვლილებებმა პროგნოზირებულ ფაქტორებს შორის, როგორცაა მთლიანი შიდა პროდუქტის (“შშპ”) ზრდა, გაცვლითი კურსი, უმუშევრობა, ინფლაცია და სხვა, შესაძლოა გამოწვიოს სხვადასხვა სტრესული სცენარები, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინონ ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე.

2. მაღალი კონკურენცია ფინანსურ სექტორში

ბანკი ოპერირებს მაღალი კონკურენციის მქონე სექტორში, რომელიც ხშირად აისახება ფასწარმოქმნაში, განსაკუთრებით საცალო სეგმენტში. კონკურენციის გაზრდის გამო, ბანკმა შესაძლოა ვერ შეძლოს თავისი ბიზნეს მიზნების შესრულება და გაუთვალისწინებელი ზარალი მიაღდგეს.

3. ბანკი დამოკიდებულია დაფინანსების და ლიკვიდურობის სხვა წყაროებზე წვდომაზე, რომელიც შესაძლოა შეიზღუდოს იმ მიზეზებით, რომლებიც სცილდება მისი კონტროლის ფარგლებს.

მოკლევადიან და გრძელვადიან დაფინანსებაზე ხელმიუწვდომლობამ, ბაზრის მასშტაბით სტრესული მოვლენების გამო, შესაძლოა წარმოქმნას სხვადასხვა პრობლემები ბანკის ლიკვიდურობის პოზიციაზე. დაფინანსების შეზღუდვების გაგრძელების შემთხვევაში, ასეთმა გარემოებებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს მეანაბრეების და ინვესტორების ნდობის დონეზე.

4. ცვლილებებმა საპროცენტო განაკვეთებში შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბანკის მომგებიანობაზე.

საპროცენტო განაკვეთის მიმართ სენსიტიურობა მიუთითებს პოტენციურ ცვლილებებზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე. ნებისმიერმა შეუსაბამობამ საპროცენტო აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურაში, შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბანკის წმინდა საპროცენტო მარჟაზე (“NIM”).

5. ბანკი ექვემდებარება სებ-ის და ზოგ შემთხვევაში საქართველოს მთავრობის ინტენსიურ ზედამხედველობას და რეგულირებას

საქართველოს ფინანსურ ბაზარზე მოქმედმა ყველა ბანკმა უნდა შეასრულოს სებ-ის რეგულაციები. აღნიშნული რეგულაციები განსაზღვრულია ლიკვიდურობის და კაპიტალის მოთხოვნების, ბიზნესის და ყოველდღიური ოპერაციების შესახებ და შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ბანკის სტრატეგიულ მიზნებზე. ვინაიდან მომავალი საზედამხედველო ცვლილებების ზუსტი მახასიათებლები არაპროგნოზირებადია, ძალაში რჩება რისკის ფაქტორი, რომელიც საჭიროებს გონივრულ მართვას და დროულ მოქმედებებს. დამატებითმა რეგულაციებმა შესაძლოა პირდაპირ ან არაპირდაპირ უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ბანკის მომგებიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

6. ბანკი ექვემდებარება სამართლებრივ რისკებს, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს მის მომგებიანობაზე

სამართლებრივი რისკი შესაძლოა წარმოიქმნას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ან მოულოდნელი მოვლენების შედეგად. არსებითად რთულია სასამართლო წარმოებების შედეგების პროგნოზირება, თუმცა ისინი ხშირად ზიანს აყენებენ ბანკის რეპუტაციას და ზოგ შემთხვევაში უარყოფითი ფინანსური ეფექტი აქვთ.

7. რისკის მართვის არსებული სტრუქტურა შესაძლოა არ იყოს საკმარისად ეფექტური და ბანკი დადგეს გაუთვალისწინებელი რისკების წინაშე, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ზარალი.

ბანკმა, რისკის მართვის პოლიტიკის და პროცედურების საფუძველზე, შექმნა კონსტრუქციული კონტროლის სტრუქტურა, რომელშიც თანამშრომლებმა იციან თავიანთი ფუნქციები და ვალდებულებები. მიუხედავად ამისა, რისკის მართვის მოქმედი მეთოდები და სტრატეგიები შესაძლოა სრულად ეფექტური არ იყოს ყველა რისკის გასაწეიტრალეზად და გამოიწვიოს ზარალი.

8. საექსპლუატაციო გაუმართაობამ, თაღლითობამ და სხვა დარღვევებმა ინფორმაციულ და ტექნოლოგიურ სისტემებში შესაძლოა გამოიწვიონ ზარალი

მიუხედავად იმისა, რომ ბანკს არ აქვს აპეტიტი საოპერაციო რისკების მიმართულებით, რომელიც დაკავშირებულია თაღლითობასთან, ინფორმაციის უსაფრთხოების (მათ შორის IT) და შესაბამისობის დარღვევებთან, რჩება საფრთხეები და მოითხოვს უწყვეტ მონიტორინგს, განახლებას და ინვესტიციებს.

7 კაპიტალის მართვა და კაპიტალის ადეკვატურობა

7.1 საზედამხედველო ჩარჩო

2014 წლის 30 ივნისიდან, ბანკმა უნდა დააკმაყოფილოს კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური კოეფიციენტები, რომლებიც განსაზღვრულია სეზ-ის პრეზიდენტის 2013 წლის 23 ოქტომბრით დათარიღებულ #100/04 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებულ „დებულებაში კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ“ („პილარ 1-ის რეგულაცია“). პილარ 1-ის რეგულაცია ითვალისწინებს საერთაშორისო ანგარიშსწორებების ბანკის („BIS“) ბაზელ 2/3 ჩარჩოს, თუმცა აღნიშნული რეგულაცია ზოგ საკითხში გვერდს უვლის BIS ბაზელის სახელმძღვანელო მითითებებს. პილარ 1-ის რეგულაცია ადგენს გადახდისუნარიანობის მინიმალურ მოთხოვნებს და განსაზღვრავს წესებს, რომლებიც უნდა გამოიყენონ ბანკებმა რისკების შესაფასებლად და დაკავშირებული კაპიტალის მოთხოვნების გამოსათვლელად. პილარ 1-ის რეგულაცია ასევე ადგენს დამატებით ბუფერებს, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს პირველადი კაპიტალით (პირველი დონის კაპიტალი), კერძოდ: კონსერვაციის ბუფერი, კონტრციკლურობის ბუფერი და სისტემურობის რისკის ბუფერი.

2017 წლის 18 დეკემბერს, სეზ-მა წარმოადგინა „პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკებისთვის კაპიტალის ბუფერების მოთხოვნების განსაზღვრის წესი“, რომელიც დამტკიცდა სეზ-ის პრეზიდენტის #176/04 ბრძანების საფუძველზე („პილარ 2-ის რეგულაცია“). პილარ 2-ის რეგულაციის სფერო არის კომერციული ბანკებისთვის კაპიტალის ბუფერების დამატებითი მოთხოვნების განსაზღვრა იმ რისკებისთვის, რომლებიც არ შედის პილარ 1-ის რეგულაციაში. კაპიტალის დამატებითი მოთხოვნები შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ბუფერების მეშვეობით: არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი, საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერი, წმინდა სტრეს ტესტების ბუფერი და წმინდა GRAPE (რისკების შეფასების საერთო პროგრამა) ბუფერი. ვინაიდან აღნიშნული რეგულაცია განსაზღვრავს გარდამავალ პერიოდს 2022 წლამდე, 2022 წლის შემდეგ პილარ 2-ის ბუფერები უნდა შესრულდეს მინიმუმ 56% ძირითადი პირველადი კაპიტალის, მინიმუმ 75% პირველადი კაპიტალის გამოყენებით, ხოლო დარჩენილი 25% შესაძლოა დაცული იყოს მეორადი კაპიტალის ელემენტებით.

საბაზრო დისციპლინის გაძლიერების მიზნით, 2017 წლის 22 ივნისს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა წარმოადგინა „დებულება კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესახებ“, რომელიც დამტკიცდა სეზ-ის პრეზიდენტის #92/04 ბრძანების საფუძველზე („პილარ 3-ის რეგულაცია“). პილარ 3-ის წესი გულისხმობს რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს, რაც შესაძლებლობას მისცემს ბაზრის მონაწილეებს უკეთ შეაფასონ კონკრეტული ინსტიტუტის რისკები.

2017 წლის 31 დეკემბრამდე, კომერციულ ბანკებს ასევე უნდა შეესრულებინათ კაპიტალის მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრულია „დებულებაში კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ“, რომელიც დამტკიცდა სეზ-ის პრეზიდენტის #18/04 ბრძანების საფუძველზე („ძველი პილარ 1-ის რეგულაცია“). 2018 წლის 1 იანვრიდან ბანკებს აღარ მოეთხოვებათ ძველი პილარ 1-ის რეგულაციის შესრულება.

7.2 საზედამხედველო კაპიტალი

პილარ 1-ის რეგულაციის შესაბამისად, პირველადი კაპიტალი არის მოქმედი საწარმოს კაპიტალი, რომელიც შედგება ისეთი ინსტრუმენტებისაგან, რომელთაც შეუძლიათ ზარალის უპირობოდ მათი წარმოქმნისთანავე დაფარვა ისე, რომ კომერციულმა ბანკმა შეძლოს თავისი საქმიანობის შეფერხების გარეშე გაგრძელება. პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტები კომერციულ ბანკს უნდა აძლევდეს გადახდების განხორციელების შესაძლებლობას მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ (მათი გადაუხდელობა არ უნდა იწვევდეს კომერციული ბანკის დეფოლტს) და ზარალის დაფარვისათვის მათი სრულად გამოყენების შესაძლებლობას. პირველადი კაპიტალი შედგება ძირითადი პირველადი კაპიტალისაგან და დამატებითი პირველადი კაპიტალისაგან.

ბანკის ძირითადი პირველადი კაპიტალი არის საკუთარი კაპიტალის უმთავრესი წყარო და (გამოითვლება როგორც) ჩვეულებრივი აქციების მთლიან კაპიტალს გამოკლებული საზედამხედველო კორექტირებები. დამატებითი პირველადი კაპიტალი შედგება ბანკის მიერ გამოშვებული უვადო არაკუმულაციური კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციებისგან. მეორადი კაპიტალი არის საკუთარი კაპიტალის დამატებითი წყარო და შედგება სუბორდინირებული ვალისგან, რომელიც მიეკუთვნება მეორად კაპიტალსა და საერთო რეზერვებს, რომლებიც შემოიფარგლება ბანკის საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციების მაქსიმუმ 1.25%-ის ოდენობით.

ქვემო ცხრილში განსაზღვრულია ბანკის საკუთარი კაპიტალის დეტალები პილარ 1-ის რეგულაციის ფარგლებში. დაწვრილებითი ინფორმაცია საზედამხედველო კაპიტალის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ დანართში ცხრილი 9. საბალანსო უწყისსა და საზედამხედველო კაპიტალს შორის კავშირის შესახებ ინფორმაცია იხილეთ დანართში ცხრილი 10.

საზედამხედველო კაპიტალი

მილიონი ლ, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	ცვლილება
ძირითადი პირველადი კაპიტალი საზედამხედველო კორექტირებამდე	220.1	180.1	22%
ჩვეულებრივი აქციების კაპიტალის კლასიფიკაცია	44.0	43.8	0%
საემისიო კაპიტალი ჩვეულებრივი აქციის კლასიფიკაციაზე	33.9	33.9	0%
აკუმულირებული სხვა სრული შემოსავალი ⁽¹⁾	29.0	20.2	43%
სხვა გამჟღავნებული რეზერვები	1.7	1.7	0%
გაუნაწილებელი მოგება	111.6	80.5	39%
ძირითადი პირველადი კაპიტალი: საზედამხედველო კორექტირებები	(57.7)	(44.1)	31%
აქტივების გადაფასების რეზერვი	(29.0)	(20.2)	43%
აკუმულირებული არარეალიზებული გადაფასების მოგება აქტივებზე მოგებასა და ზარალში ⁽²⁾	(2.0)	(2.1)	-3%
არამატერიალური აქტივები	(26.3)	(21.5)	23%
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში/დაკავშირებულ საწარმოებში	(0.3)	(0.3)	-1%
ძირითადი პირველადი კაპიტალი	162.4	136.0	19%
დამატებითი პირველადი კაპიტალი	6.1	6.1	0%
პირველადი კაპიტალი	168.6	142.2	19%
მეორადი კაპიტალი	63.9	72.3	-12%
სუბორდინირებული ვალი	51.4	60.8	-15%
საერთო რეზერვები	12.5	11.5	9%
საზედამხედველო კაპიტალი	232.5	214.4	8%

(1) აკუმულირებული სხვა სრული შემოსავალი მოიცავს საცხოვრებელი საკუთრების გადაფასებას.

(2) აკუმულირებული არარეალიზებული გადაფასების მოგება აქტივებზე მოგება/ზარალში (Profit or Loss - "P&L") მოიცავს მოგებას იმ პირობით, თუ ისინი აღემატება აკუმულირებულ არარეალიზებულ გადაფასების ზარალს P&L-ში.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საზედამხედველო კაპიტალი და პირველადი კაპიტალი ძველი პილარ 1-ის რეგულაციის ფარგლებში შეადგენდა ლ 236.9 მილიონს და ლ 118.5 მილიონს, შესაბამისად. (31 დეკემბერი 2016: ლ 0.3 მილიონი და ლ 118.5 მილიონი).

7.3 კაპიტალის მოთხოვნები

7.3.1 კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები

საკრედიტო ინსტიტუტის კაპიტალის ადეკვატურობის ძირითადი მაჩვენებლები, მარეგულირებლის თვალსაზრისით, არის საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტები, რომლებიც გამოითვლება როგორც საზედამხედველო კაპიტალი გაყოფილი რისკის მიხედვით შეწონილ პოზიციებზე ("RWE"). პილარ 1-ის რეგულაციის შესაბამისად, სეზ-ი მოითხოვს რომ ბანკებმა შეინარჩუნონ საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური კოეფიციენტი რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციების 8.0%-ის ოდენობით, პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი - რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციების 6.0%-ით ოდენობით და ძირითადი პირველადი კაპიტალი - რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციების 4.5% ოდენობით, რომელიც გამოთვლილი და ნაჩვენები უნდა იყოს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებებაში. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა უნდა შეინარჩუნოს კონსერვაციის ბუფერი 2.5%-ის ოდენობით და არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი 0.06%-ის ოდენობით, ხოლო კონტრციკლორობის, სისტემურობის რისკის, საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის, წმინდა სტრეს-ტესტების და წმინდა GRAPE ბუფერები განსაზღვრულია 0%-ად. არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის დაცვა უნდა მოდეს მინიმუმ ძირითადი პირველადი კაპიტალის 56%-ის გამოყენებით და მინიმუმ 75% პირველადი კაპიტალის გამოყენებით. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯამური კაპიტალის მოთხოვნები ბანკისთვის შეადგენდა 10.56%-ს მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტისთვის, 8.54%-ს პირველადი კაპიტალის კოეფიციენტისთვის და 7.03%-ს ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტისთვის.

ძველი პილარ 1-ის რეგულაციის შესაბამისად, სეზ-მა მოთხოვა ბანკებს საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური კოეფიციენტის შენარჩუნება 9.6%-ის ოდენობით რისკის მიხედვით შეწონილ პოზიციებთან და ძირითადი პირველადი კაპიტალის 6.4%-ის შენარჩუნება რისკის მიხედვით შეწონილ პოზიციებთან.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი სრულად აკმაყოფილებდა კაპიტალის მინიმალურ და მთლიან მოთხოვნებს პილარ 1-ის რეგულაციის ფარგლებში, ასევე ძველი პილარ 1-ის რეგულაციას. ქვემო ცხრილში მითითებულია RWE პილარ 1-ის რეგულაციის შესაბამისად და შესაბამისი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები (RWE-ს 8.0%). დამატებითი ინფორმაცია რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციების შესახებ იხილეთ დანართში ცხრილი 5. ინფორმაცია ბალანსგარეშე პოზიციების შესახებ იხილეთ დანართში ცხრილი 4, სექცია N4.

კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები და RWE

მილიონი ლ., თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	31 დეკემბერი 2017		31 დეკემბერი 2016		ცვლილება ⁽¹⁾
	რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციები	კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები	რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციები	კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები	
საკრედიტო რისკი	999.7	80.0	916.6	73.3	9%
საბალანსო ელემენტები	980.1	78.4	883.4	70.7	11%
ცენტრალური მთავრობები და ცენტრალური ბანკები	75.5	6.0	203.0	16.2	-63%
კომერციული ბანკები	48.3	3.9	32.2	2.6	50%
კორპორაციული სეგმენტები	54.0	4.3	52.0	4.2	4%
საცალო	552.4	44.2	453.9	36.3	22%
საცხოვრებელი უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი პოზიციები	3.1	0.2	4.6	0.4	-34%
ვადაგადაცილებული ერთეულები	2.6	0.2	4.1	0.3	-36%
მაღალი რისკის კატეგორია	108.5	8.7	4.3	0.3	nmf
სხვა ერთეულები ⁽²⁾	135.7	10.9	129.4	10.3	5%
ბალანსგარეშე ელემენტები	10.4	0.8	8.1	0.6	28%
FX გამოწვეული საკრედიტო რისკი⁽³⁾	-	-	17.6	1.4	-100%
კონტრაგენტის საკრედიტო რისკი	9.2	0.7	7.4	0.6	24%
საბაზრო რისკი	4.3	0.3	2.8	0.2	51%
საოპერაციო რისკი	351.4	28.1	230.6	18.4	52%
სულ	1,355.4	108.4	1,150.0	92.0	18%


(1) პროცენტული ცვლილება RWE-ში არის იგივე, როგორც პროცენტული ცვლილება კაპიტალის მოთხოვნაში.

(2) სხვა ერთეულები ძირითადად მოიცავს ძირითად საშუალებებს, რომლებიც შეადგენს ლ 132.8 მილიონს და ლ 126.7 მილიონს 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები ძირითად საშუალებებისთვის შეადგენდა ლ 10.6 მილიონს და ლ 10.1 მილიონს 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად.

(3) პილარ 2-ის რეგულაციის შესაბამისად, სავალუტო ვალუტით (FX) გამოწვეული საკრედიტო რისკი ამოღებულ იქნა RWE-ს გამოთვლიდან და დამატებულ იქნა არაჰეჯირებული ვალუტით გამოწვეული საკრედიტო რისკის ბუფერის სახით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი 12.0%-ის ოდენობით, პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი 12.4%-ის ოდენობით და საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი 17.2%-ის ოდენობით მნიშვნელოვნად აღემატებოდა მოთხოვნილ მინიმუმს. ქვემო ნახაზზე ასახულია ყოველთვიური საზედამხედველო კოეფიციენტები 2015 წლის დეკემბრიდან 2017 წლის დეკემბრამდე.

ყოველთვიური საზედამხედველო კოეფიციენტები



2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი და პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი ძველი პილარ 1-ის რეგულაციის შესაბამისად შეადგენდა 20.8%-ს და 10.4%-ს (31 დეკემბერი 2016: 23.4% და 12.1%, შესაბამისად).

7.3.2 ცვლილება რისკის მიხედვით შეწონილ პოზიციებში

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, RWE, რომელიც შეადგენს ლ 1,355.4 მილიონს რისკის ტიპის მიხედვით იყოფა შემდეგნაირად: საკრედიტო რისკი შეადგენდა RWE-ს 73.8%-ს, საბაზრო რისკი შეადგენდა RWE-ს 0.3%-ს და საოპერაციო რისკი შეადგენდა RWE-ს 25.9%-ს. 2017 წლის 31 დეკემბერსა და 2016 წლის 31 დეკემბერს შორის, RWE საკრედიტო რისკთან დაკავშირებით გაიზარდა ლ 83.2 მილიონით, საოპერაციო რისკთან დაკავშირებით - ლ 120.8 მილიონით, ხოლო რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციები საბაზრო რისკთან დაკავშირებით გაიზარდა უმნიშვნელოდ ლ 1.5 მილიონით. ქვემო ორ ცხრილში წარმოდგენილია ცვლილება საკრედიტო და საოპერაციო RWE-ში 2016-2017 წლებში.

ცვლილება საკრედიტო რისკის RWE-ში

მილიონი ლ., თუ სხვაგვარად არ არის
მითითებული

2016 წლის ბოლოს საკრედიტო რისკის RWE	916.6
ზრდა სესხის პორტფელის ზრდის გამო	140.4
ზრდა უფრო მაღალი რისკის მიხედვით შეწონვის გამო	
არაუზრუნველყოფილი სესხებისთვის	51.4
FX სახსრების შემცირება სებ-ში	(127.5)
FX გამოწვეული საკრედიტო რისკი (არ არის აღრიცხული RW-ში და წარმოდგენილია პილარ 2-ის ბუფერის სახით)	(9.9)
სხვა ზრდა	28.7
2017 წლის ბოლოს საკრედიტო რისკის RWE	999.7

ცვლილება საოპერაციო რისკის RWE-ში

მილიონი ლ., თუ სხვაგვარად არ არის
მითითებული

2016 წლის ბოლოს საოპერაციო რისკის RWE	230.6
ზრდა 3 წლიანი საშუალო შემოსავლის ზრდის გამო, რომელიც გამოყენებულია ძირითადი ინდიკატორის გამოთვლაში	37.1
ერთჯერადი ზრდა უფრო მაღალი რისკის მიხედვით შეწონვის გამო, რომელიც დაადგინა სებ-მა	83.7
2017 წლის ბოლოს საოპერაციო რისკის RWE	351.4

7.4 კაპიტალის მართვა

ბანკი იღებს რისკებს, როგორც თავისი ბიზნეს მოდელის ჩვეულებრივ ნაწილს და ელოდება მცირე ფინანსურ ზარალს პერიოდულად. ჩვეულებრივ პირობებში, ასეთი ზარალი დაიფარება ბანკის შემოსავლებით. თუმცა, ნებისმიერ მოცემულ წელს, სხვადასხვა შიდა ან გარე ფაქტორების გამო, ზარალმა შესაძლოა გადააჭარბოს შემოსავლებს და საჭირო გახდეს მათი დაფარვა კაპიტალიდან.

ბანკის კაპიტალის მართვის მიზნები მოიცავს გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფას, საზედამხედველო და შიდა კაპიტალის მოთხოვნების დაცვით და კაპიტალის გონივრული რეზერვის შენარჩუნებით ბანკის ცნობილი (და რამდენამდე უცნობი) რისკებისგან დასაცავად.

7.4.1 კაპიტალის მართვის ორგანიზაცია

სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს გადაწყვეტილებებს ცვლილებების შესახებ ბანკის კაპიტალის სტრუქტურაში და ადგენს შემდეგს:

- კაპიტალის მინიმალური შიდა მოთხოვნები, განსაზღვრული RAS-ში;
- კაპიტალის დაგეგმვის, კაპიტალის გამოშვების და დივიდენდის განაწილების პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები;
- სტრატეგიები კაპიტალის პოტენციური დეფიციტის აღმოსაფხვრელად.

ბანკის მიერ საკუთარი კაპიტალის მართვა ეფუძნება მთავარ ინსტრუმენტს, ICAAP-ს. გარდა ამისა, კაპიტალის მართვის დამატებითი ინსტრუმენტის სახით, ბანკი ადგენს ალდგენის გეგმას, რომელიც მოიცავს საზედამხედველო კაპიტალის ზღვრულ მაჩვენებლებს და ალდგენის სტრატეგიებს.

7.4.2 კაპიტალის ადეკვატურობის მონიტორინგი და ანგარიშგება

ბანკი აკონტროლებს თავისი კაპიტალის ადეკვატურობის პარამეტრებს ყოველთვიურად კაპიტალის ადეკვატურობის დონის შესანარჩუნებლად მიღებული რისკების შესაბამისად. ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების მიღებით ERM დეპარტამენტი უზრუნველყოფს კაპიტალის კონტროლის ყველა პარამეტრის გამოითვლას და დროულად წარდგენას მმართველი საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის. იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია კაპიტალის ადეკვატურობის შემცირება სეზონის მიერ დადგენილ ზღვრებს ან RAS-ის მიერ დადგენილ ზღვრებს ქვემოთ, ბანკის სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია შეიმუშაოს სტრატეგია, რომელიც უნდა განახორციელოს მმართველმა საბჭომ აღნიშნული ტენდენციის კომპენსირებისთვის რისკების შეზღუდვის, შემცირების ან კაპიტალის ბაზის გაძლიერების გზით.

7.4.3 კაპიტალის დაგეგმვა

ICAAP-ის ნაწილი ითვალისწინებს კაპიტალის მომავალი მოთხოვნების დაგეგმვას ბანკის ბიზნეს გარემოს, ზრდის და სტრატეგიულ გეგმებთან დაკავშირებით. რისკის პროფილში პოტენციური ძირითადი ცვლილებები და აქედან გამომდინარე კაპიტალის მომავალი მოთხოვნები შეფასებულია ICAAP-ის გამოყენებით. აღნიშნული მონაცემი გამოიყენება სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამეთვალყურეო საბჭოს და მმართველი საბჭოს მიერ.

კაპიტალის დაგეგმვა შეტანილია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, რომელიც ითვალისწინებს რისკის სტრატეგიის და დასაშვები დონის შესაბამისობაში მოყვანას ბანკის კომერციულ მიზნებთან. კაპიტალის გეგმა შეიმუშავა მმართველმა საბჭომ და დაამტკიცა სამეთვალყურეო საბჭომ. მმართველი საბჭო პასუხისმგებელია კაპიტალის გეგმის და პოზიციის გადახედვასა და მონიტორინგზე. კაპიტალის გეგმა არის კაპიტალის, რისკის და შემოსავლების შეფასებული პროგნოზის (ბიუჯეტირებული) ფუნქცია.

7.5 კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცედურები

ICAAP გამოიყენება ბანკის მიერ რისკების დადგენის და შეფასების, აღნიშნული რისკების საპასუხოდ საკმარისი კაპიტალის შენარჩუნების და რისკის მართვის სათანადო მეთოდების გამოყენებით ადეკვატური კაპიტალიზაციის უზრუნველყოფისათვის მიმდინარე და მომავალ პერსპექტივაში. ICAAP-ის მთავარი კომპონენტებია ბანკის კაპიტალის არსებული, მომავალი და პოტენციური მოთხოვნების შეფასება. კაპიტალის მოქმედი მოთხოვნები განისაზღვრება რისკების სრული იდენტიფიკაციის, შეფასების და გაზომვის საფუძველზე და რისკის ზომების გადაყვანით საზედამხებდევლო და ეკონომიკური კაპიტალის ზომებში. კაპიტალის მომავალი მოთხოვნები განისაზღვრება ზემოთ მოცემული/იმავე ფორმით რისკის პროფილის და კაპიტალის მოთხოვნების პროგნოზის გამოყენებით, რომელიც მიიღება ბიზნესის და სტრატეგიული კაპიტალის დაგეგმვის პროცესის შედეგად. კაპიტალის პოტენციური მოთხოვნები და ფინანსური ზემოქმედებები ფასდება სტრუქტურული ტესტირების სტრუქტურით, რომელიც მიიღო მმართველმა საბჭომ და ინდოსირება მოახდინა სამეთვალყურეო საბჭომ. შედეგები ფასდება მარეგულირებლის და RAS-ის მიერ დადგენილი მოთხოვნების მიხედვით.

ICAAP-ს ახორციელებს მმართველი საბჭო მინიმუმ წელიწადში ერთხელ, საჭიროების შემთხვევაში კი მეტჯერ. შედეგები მიეთითება ICAAP-ის ანგარიშში და მოიცავს მინიმუმ შემდეგს:

- სეზ-ის და RAS-ის მიერ დადგენილი კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური კოეფიციენტების დაცვა;
- კაპიტალის ბაზის და კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების დაგეგმვა;
- კაპიტალის ადეკვატურობის შიდა მოთხოვნების შეფასება და ეკონომიკური კაპიტალის გამოთვლა;
- ლიკვიდურობის და დაფინანსების რისკის შეფასება;
- საკრედიტო რისკის, საბაზრო რისკის და საოპერაციო რისკის დეტალური შეფასება;
- საწარმოს მასშტაბით, კაპიტალის და ლიკვიდურობის სტრეს ტესტების შედეგები.

7.5.1 შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების მეთოდოლოგია

ბანკი აფასებს თავის შიდა კაპიტალის ადეკვატურობას შემდეგი კოეფიციენტით, არსებული მთლიანი კაპიტალი გაყოფილი კაპიტალის მთლიან მოთხოვნაზე. შიდა კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი, რომელიც აღემატება 100%-ს, ნიშნავს, რომ კაპიტალის მარაგი საკმარისია კაპიტალის მოთხოვნის დასაფარად, რომელიც განსაზღვრულია ბანკის რისკის პოზიციების საფუძველზე. კაპიტალის მარაგი და კაპიტალის მოთხოვნა განისაზღვრება შემდეგი სახით:

კაპიტალის მარაგი:

კაპიტალის მარაგი შეადგენს ბანკის მთლიან სააქციო კაპიტალს, რომელსაც აკლდება გადაფასების რეზერვი აქტივებზე და ემატება მეორადი კაპიტალი. ბაზელ 3-ის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, ბანკს არ შეაქვს გადაფასების რეზერვი ძირითად საშუალებებზე კაპიტალის მარაგში. მეორადი კაპიტალი მოიცავს ნებისმიერ შესაბამის ინსტრუმენტს პილარ 1-ის რეგულაციის სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად და ასევე მოიცავს საერთო შესაბამისი რეზერვების ნამეტს საერთო მოსალოდნელი ზარალის თანხაზე. ვინაიდან ბანკი იყენებს შიდა რეიტინგებზე (Internal Ratings Based - „IRB“) დაფუძნებულ მიდგომას RWE-ს გამოსათვლელად, მეორადი კაპიტალის შესაბამისი მარაგები საერთო მოსალოდნელ ზარალის თანხაზე შემოიფარგლება საკრედიტო RWE-ს 0.6%-ით.

კაპიტალის მოთხოვნა:

კაპიტალის მოთხოვნა შეადგენს კონსოლიდირებულ ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნას (Economic Capital Requirement “ECR”) ყველა რისკისთვის დამატებული არამატერიალური აქტივები. ეკონომიკური კაპიტალი არის კაპიტალის ოდენობა, რომელიც მოითხოვება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბანკი დარჩეს გადახდისუნარიანი. ეკონომიკური კაპიტალი განსხვავდება საზედამხედველო კაპიტალისგან იმ თვალსაზრისით, რომ საზედამხედველო კაპიტალი არის სავალდებულო კაპიტალი (მოთხოვნილი სეზ-ის მიერ), ხოლო ეკონომიკური კაპიტალი არის მოთხოვნილი კაპიტალის საუკეთესო შეფასება, რომელსაც ბანკი იყენებს შიდა ფარგლებში რისკების მართვისთვის.

ეკონომიკური კაპიტალი ფასდება საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო რისკებისთვის

შემდეგნაირად:

ECR საკრედიტო რისკთან დაკავშირებით:

საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის¹ მიერ შეთავაზებული ერთ-ფაქტორული მერტონის ტიპის საკრედიტო მოდელი გამოიყენება საკრედიტო ECR-ს შესაფასებლად საცალო საკრედიტო პორტფელისთვის და ქვეყნების, ცენტრალური ბანკების და კომერციული ბანკების პოზიციებისთვის. ბაზელ 2/3-ის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, ბანკი გამოთვლის რისკის ქვეშ მყოფ ღირებულებას (Value-at-Risk - “VAR”) 99.9%-იანი სანდოობის დონეზე ერთწლიანი დროის პერიოდში. აღნიშნული მაღალი სანდოობის დონე შეესაბამება საკრედიტო რეიტინგს A- და გულისხმობს იმის ალბათობას, რომ შეფასებული ECR გადააჭარბებს VAR-ს ათას წელიწადში ერთხელ. ბანკის IDR-ს გათვალისწინებით, რომელიც წარმოადგენს B+-ს, 99.9%-იანი სანდოობის დონე ითვლება მეტად კონსერვატიულად და შეესაბამება ბანკის რისკის სტრატეგიას. ეკონომიკური კაპიტალი, რომელმაც უნდა დაფაროს მხოლოდ მოულოდნელი ზარალი, გამოითვლება VAR შეფასებიდან მოსალოდნელი ზარალის გამოქვითვით.

VAR-ის გამოთვლებში გამოიყენება შემდეგი მონაცემები: სიზუსტის დონე, რისკი დეფოლტის შემთხვევაში (Exposure at Default “EAD”), დეფოლტის ალბათობა (Probability of Default - “PD”), კორელაცია, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (Loss Given Default “LGD”) და დაფარვის ვადის კორექტირება. საბალანსო ელემენტებისთვის, EAD შეადგენს მთლიან საბალანსო რისკს, გამოკლებული უმოქმედო აქტივები. საჭიროებისამებრ, აუთვისებელი კრედიტის ვალდებულებები შეტანილია EAD-ში 50%-იანი კონვერსიის ფაქტორის გათვალისწინებით. PD და LGD საცალო საკრედიტო პორტფელისთვის ფასდება ბანკის შიდა მონაცემების გამოყენებით. ქვეყნების, ცენტრალური ბანკებისა და კომერციული ბანკებისთვის, PD ფასდება Fitch Rating-ის სააგენტოს მიერ წარმოდგენილი რეიტინგების საფუძველზე და შესაბამისი PD (Fitch Rating-ზე დაყრდნობით) და LGD განისაზღვრება 45%-ით. დაფარვის ვადის კორექტირება გამოიყენება ქვეყნების, ცენტრალური ბანკების და კომერციული ბანკების ECR-ზე.

საკრედიტო ECR სხვა პოზიციებისთვის, მათ შორის ძირითადი საშუალებების, მატერიალური აქტივების, საცალო და კორპორაციული რისკების, სხვა საბალანსო რისკების და ბალანსგარეშე ელემენტების ჩათვლით, გამოითვლება სტანდარტული მიდგომის გამოყენებით პილარ 1-ის რეგულაციის შესაბამისად და 8% კაპიტალის მინიმალური მოთხოვნის გამოყენებით. ქვეყნის მიმდინარე რეიტინგის და უფრო მაღალი რისკის გათვალისწინებით, რომელიც დაკავშირებულია არარეიტინგული კორპორაციული კლიენტებისთვის სესხის გაცემასთან, არარეიტინგული კორპორაციის ყველა პოზიციას ენიჭება 150% რისკის წონა სტანდარტული მიდგომის გამოყენებით.

ECR საბაზრო რისკთან დაკავშირებით

ECR საბაზრო რისკისთვის მოიცავს ECR-ს სავალუტო რისკთან და საპროცენტო განაკვეთის რისკთან დაკავშირებით საბანკო ოპერაციების სააღრიცხვო ჟურნალში. ბანკი გამოთვლის ECR-ს სავალუტო რისკთან დაკავშირებით, როგორც მაქსიმალურ საერთო ღია სავალუტო პოზიციას, რომელსაც ინარჩუნებს ერთწლიანი პერიოდის განმავლობაში ანგარიშგების თარიღამდე, გამრავლებული 8%-ზე. ECR საპროცენტო განაკვეთის რისკთან დაკავშირებით საბანკო ოპერაციების სააღრიცხვო ჟურნალში გამოითვლება, როგორც NII სენსიტიურობა 200 bps ცვლილების მიმართ საპროცენტო განაკვეთებში.

¹ საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი, “კაპიტალის და კაპიტალის სტანდარტების გაზომვის საერთაშორისო კონვენგენცია“ 2006 წლის ივნისი.

ECR საოპერაციო რისკისთვის

ECR საოპერაციო რისკისთვის ფასდება საბაზო ინდიკატორის მიდგომის გამოყენებით პილარ 1-ის რეგულაციის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.

7.5.2 ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნები

კონსოლიდირებული (არა-საზედამხედველო) რისკის პოზიციის განსაზღვრის მიზნით, როგორც გამოთვლილია ECR-ის საფუძველზე, ბანკი აერთიანებს ECR-ს რისკის ტიპების მიხედვით, უბრალო დამატების გზით. არ არის გათვალისწინებული დივერსიფიკაციის სარგებელი, რომელიც განსაზღვრავს ბანკის კონსერვატიულ მიდგომას ECR შეფასებასთან დაკავშირებით. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ბანკის ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნები რისკის ტიპების მიხედვით.

ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნა რისკის ტიპების მიხედვით

მილიონი ლ, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	ცვლილება
საკრედიტო რისკი	129.5	111.0	17%
საბაზრო რისკი	6.0	4.6	30%
საოპერაციო რისკი	28.1	24.2	16%
ეკონომიკური კაპიტალის მთლიანი მოთხოვნა	163.6	139.9	17%

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი ECR ბანკისთვის შეადგენდა ლ 163.6 მილიონს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულ მაჩვენებელთან შედარებით, როდესაც მთლიანი ECR შეადგენდა ლ 139.9 მილიონს. ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნა საკრედიტო რისკისთვის გაიზარდა ლ 18.5 მილიონით, რაც ძირითადად განაპირობა საცალო საკრედიტო პორტფელის ზრდამ. ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნა საბაზრო რისკისთვის გაიზარდა 30%-ით წინა წელთან შედარებით, და ასახავს უფრო მაღალ ეკონომიკურ კაპიტალს საპროცენტო განაკვეთის რისკისთვის საბანკო ოპერაციების სააღრიცხვო ჟურნალში. ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნა საოპერაციო რისკისთვის გაიზარდა ლ 3.9 მილიონით, რადგან ბანკი იყენებს საბაზო ინდიკატორის მიდგომას, რომელიც სამ-წლიან საშუალო მაჩვენებლებს ეყრდნობა.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნა შეადგენდა ლ 20.5 მილიონით მეტს პილარ 1-ის რეგულაციით გათვალისწინებულ კაპიტალის მოთხოვნასთან შედარებით (RWE-ს 10.56%). ქვემოთ ცხრილში მოცემულია სხვაობები რისკის ტიპების მიხედვით ECR-სა და პილარ 1-ის რეგულაციით გათვალისწინებულ კაპიტალის მოთხოვნას შორის.

სხვაობა ECR და კაპიტალის მოთხოვნას შორის, პილარ 1 რეგულაციის შესაბამისად.

მილიონი ლ, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	31 დეკემბერი 2017			31 დეკემბერი 2016		
	ECR	საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნა (10.56%)	სხვაობა	ECR	საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნა (10.50%)	სხვაობა
საკრედიტო რისკი	129.5	105.6	24.0	111.0	96.2	14.8
საბაზრო რისკი	6.0	0.5	5.5	4.6	0.3	4.3
საოპერაციო რისკი	28.1	37.1	(9.0)	24.2	24.2	0.0
სულ	163.6	143.1	20.5	139.9	120.7	19.1

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნა საკრედიტო რისკისთვის შეადგენდა ლ 129.5 მილიონს, ხოლო კაპიტალის მოთხოვნა პილარ 1-ის რეგულაციის თანახმად ლ 24.0 მილიონით ნაკლები იყო და შეადგენდა ლ 105.6 მილიონს. მაღალი ECR საკრედიტო რისკისთვის ძირითადად განპირობებულია IRB მიდგომის გამოყენების გამო უფრო მაღალი ეკონომიკური კაპიტალით სავალდებულების, ქვეყნებისთვის და ცენტრალური ბანკებისთვის. ECR საბაზრო რისკისთვის შეადგენდა ლ 6.0 მილიონს, პილარ 1-ის რეგულაციით გათვალისწინებულ კაპიტალის მოთხოვნასთან შედარებით, რომელიც შეადგენდა ლ 0.6 მილიონს. სხვაობა უკავშირდება ლ 4.7 მილიონის კაპიტალის მოთხოვნას საპროცენტო განაკვეთის რისკისთვის საბანკო ოპერაციების სააღრიცხვო ჟურნალში, რომელიც არ არის შეტანილი პილარ 1-ის კაპიტალის მოთხოვნაში და უფრო მაღალ ECR-ს სავალდებულების რისკისთვის. ECR საოპერაციო რისკისთვის შეადგენდა ლ 28.1 მილიონს, ხოლო კაპიტალის მოთხოვნა პილარ 1-ის რეგულაციის მიხედვით შეადგენდა ლ 37.1 მილიონს. სხვაობა ლ 9.0 მილიონის ოდენობით ეხება იმ ფაქტს, რომ პილარ 1-ის რეგულაციის მიხედვით კაპიტალის მოთხოვნა საოპერაციო რისკისთვის შეადგენს RWE-ს 10.56%-ს, ხოლო RWE ტოლია ECR გაყოფილი 8%-ზე.

7.5.3 შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასება

ბანკმა შეაფასა თავისი შიდა კაპიტალის ადეკვატურობა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში.

შიდა კაპიტალის ადეკვატურობა

მილიონი ლ, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	ცვლილება
კაპიტალის მარაგი			
სააქციო კაპიტალი	226.2	186.3	21%
გადაფასების რეზერვი აქტივები	(29.0)	(20.2)	43%
მეორადი კაპიტალი ⁽¹⁾	61.1	69.1	-12%
კაპიტალის მარაგი	258.4	235.2	10%
კაპიტალის მოთხოვნა			
ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნა	163.6	140.2	17%
არამატერიალური აქტივები	26.3	21.5	23%
კაპიტალის მოთხოვნა	190.0	161.7	18%
შიდა კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	136.0%	145.4%	

(1) მეორადი კაპიტალი მოიცავს მისაღებ სუბორდინირებულ ვალს ლ 51.4 მილიონის და ლ 60.8 მილიონის ოდენობით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მთლიანი მისაღები რეზერვების ნამატს მთლიანი მოსალოდნელი ზარალის თანხაზე, რომელიც შემოიფარგლება საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციების 0.6%-ით, ლ 10.7 მილიონის და ლ 8.3 მილიონის ოდენობით 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად.

შიდა კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი, რომელიც აღემატება 100%-ს, მიუთითებს, რომ ბანკის კაპიტალი საკმარისი იქნება ნებისმიერი მოულოდნელი ზარალის დასაფარად, 99.9%-იანი სანდოობის დონით. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შიდა კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი შეადგენდა 136.0%-ს და შიდა კაპიტალის ბუფერი შეადგენდა ლ 68.4 მილიონს.

7.5.4 სტრეს ტესტები

ბანკი იყენებს მაკროეკონომიკურ სტრეს-ტესტებს ICAAP-ში თავისი საზედამხედველო ადეკვატურობის კოეფიციენტების დაგეგმვის მიზნით სხვადასხვა სცენარებში. სტრეს ტესტები ხელს უწყობს ბანკის მიერ საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების შესრულებას და შიდა კაპიტალის დაგეგმვის პროცესის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. ვინაიდან სტრეს ტესტირების სტრუქტურა განსაზღვრავს საერთო სახელმძღვანელო პრინციპებს და სცენარებს სტრეს ტესტებისთვის, მმართველი საბჭო ამტკიცებს საწყის პარამეტრებს და „შოკების“ სიმწვავეს, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნას კაპიტალის ადეკვატურობის შეფასებაში. მაკროეკონომიკური სტრეს ტესტის პარამეტრები და შედეგები ასევე გადაიხედება და დამტკიცდება სეზ-ის მიერ.

ბანკმა ბოლო სტრეს ტესტები ჩაატარა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სტრეს ტესტების შედეგებმა აჩვენა, რომ ბანკი შეძლებს რეცესიასთან გამკლავებას საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნების დარღვევის გარეშე (7.0% ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტისთვის, 8.5% პირველადი კაპიტალის კოეფიციენტისთვის და 10.5% საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტისთვის) რომელიც განსაზღვრულია პილარ 1-ის რეგულაციის შესაბამისად.

სტრეს ტესტის სცენარი აფასებს პოტენციურ ზარალს, რომელიც შეადგენს ₾ 60.0 მილიონს კრიზისულ სიტუაციაში. სტრესის სიმწვავის გათვალისწინებით, არ არის მოსალოდნელი შიდა კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 103.3%-ზე ნაკლები იყოს.

სტრეს ტესტის შედეგები მიუთითებს ბანკის ძლიერი კაპიტალიზაციის დონეზე.

7.6 ლევერიჯის კოეფიციენტი

BIS ბაზელ 3 ჩარჩო წარმოადგენს ერთიან, არა-რისკზე დაფუძნებულ ლევერიჯის კოეფიციენტს, სანდო დამატებითი ზომის სახით რისკზე დაფუძნებულ კაპიტალის მოთხოვნებთან დაკავშირებით. ერთიან ლევერიჯის კოეფიციენტის სტრუქტურას არსებითი მნიშვნელობა აქვს და ეფუძნება რისკზე დაფუძნებული კაპიტალის სტრუქტურას. ლევერიჯის კოეფიციენტი ადეკვატურად უნდა მოიცავდეს როგორც საბალანსო, ასევე ბალანსგარეშე ელემენტების ბანკის ლევერიჯის წყაროებს. ლევერიჯის კოეფიციენტი განისაზღვრება, როგორც კაპიტალის ზომა, რომელიც იყოფა პოზიციის ზომაზე.

ბანკი გამოთვლის თავის ლევერიჯის კოეფიციენტს საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, რომელიც მითითებულია 2014 წლის იანვრით დათარიღებულ “ბაზელ 3 ლევერიჯის კოეფიციენტის ჩარჩო და გამჟღავნების მოთხოვნებში” და რედაქტირებები გამოქვეყნებულია 2017 წლის დეკემბრით დათარიღებულ “ბაზელ 3 კრიზისის შემდგომი რეფორმების დასრულება”-ში. ბანკის მიზანია შეინარჩუნოს ლევერიჯის კოეფიციენტი, რომელიც მნიშვნელოვნად მაღალია ბაზელის კომიტეტის მიერ დაწესებულ 3% მინიმალურ მაჩვენებელზე. ბანკის ლევერიჯის კოეფიციენტი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 9.3%-ს და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 8.6%-ს. ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია მონაცემები ლევერიჯის კოეფიციენტის გამოთვლების შესახებ.

ლევერიჯის კოეფიციენტი

მილიონი ლ, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	ცვლილება
საბალანსო ელემენტების რისკის პოზიციები	1,799.8	1,639.8	10%
საბალანსო ელემენტები	1,826.4	1,661.6	10%
(აქტივის ოდენობა, დაქვითული პირველადი კაპიტალის განსაზღვრისას)	(26.6)	(21.8)	22%
ბალანსგარეშე ელემენტების რისკის პოზიციები	12.1	12.3	-2%
ბალანსგარეშე ელემენტების რისკის პოზიციები მთლიან პირობით თანხაზე	33.2	32.0	4%
(კორექტირებები კრედიტის ექვივალენტურ თანხებში კონვერსიაზე).	(21.1)	(19.6)	7%
წარმოებული გარიგებების რისკის პოზიციები	3.5	2.7	27%
სულ ლევერიჯის კოეფიციენტის პოზიციები	1,815.4	1,654.9	10%
პირველადი კაპიტალი	168.6	142.2	19%
ლევერიჯის კოეფიციენტი	9.3%	8.6%	

8 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კონტრაგენტი მხარის (კრედიტის მიმღები, მოვალე და ა.შ.) მიერ შეთანხმებული პირობების შესაბამისად ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული რისკი. როგორც წესი, აღნიშნული ვალდებულებები წარმოადგენენ ბანკის ტრადიციული არასავაჭრო საკრედიტო საქმიანობის, კონკრეტულად სესხების, შემადგენელ ნაწილს. საკრედიტო რისკის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი - დეფოლტის რისკი წარმოადგენს კონტრაგენტი მხარეების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული დანაკარგის რისკს. ბანკი ქვეყნის რისკს გამოყოფს, როგორც საკრედიტო რისკის ცალკე სახეობას. ბანკთან მიმართებაში, ქვეყანასთან დაკავშირებული რისკი წარმოადგენს საქართველოს მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან საკრედიტო ხარისხის მოულოდნელი გაუარესების შედეგად წარმოშობილ რისკს, რომელიც გამოწვეულია სოციალური მდელვარებით, პოლიტიკური არასტაბილურობით, ომით ან ქვეყანაში მიმდინარე სხვა არახელსაყრელი მოვლენებით. საკრედიტო რისკის უფრო დეტალურად განსაზღვრა შესაძლებელია კონცენტრაციის რისკით, რომელიც წარმოიშვება ერთი ან მეტი კონტრაგენტისთვის სარისკო საბანკო ოპერაციის შედეგად.

8.1 საკრედიტო რისკის პოზიცია

ბანკს შემუშავებული აქვს პოლიტიკა, სადაც საკრედიტო რისკის პოზიციები განსაზღვრული და კლასიფიცირებულია თანმიმდევრულად და შესაბამისად. საკრედიტო რისკის პოზიციის იდენტიფიკაციასთან და რისკის მიტიგაციის ელემენტების კლასიფიკაციასთან დაკავშირებულ მონაცემებზე დაკვირვება ხორციელდება რეგულარულად. აღნიშნული პოლიტიკა და პროცედურები ეგზავნება საქართველოს ეროვნულ ბანკს და ექვემდებარება რეგულარულად გადახედვას და მონიტორინგს.

პილარ 1-ის რეგულაციის საფუძველზე, ბანკის საკრედიტო რისკის მთლიანი მოცულობა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა ლ 1,819.9 მილიონს, წინა წელთან შედარებით 8%-იანი ზრდით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში დეტალურად არის წარმოდგენილი საკრედიტო რისკის პოზიციები პილარ 1-ის რეგულაციის შესაბამისად.

საკრედიტო რისკის პოზიცია პილარ 1-ის რეგულაციის საფუძველზე

მილიონი ლ, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	ცვლილება
ცენტრალური მთავრობები ან ცენტრალური ბანკები	352.0	507.5	-31%
კომერციული ბანკები	230.9	146.2	58%
კორპორაციული კლიენტები	59.3	57.9	3%
საცალო	759.1	634.2	20%
საცხოვრებელი ქონების იპოთეკით უზრუნველყოფილი	8.8	13.3	-34%
ვადაგადაცილებული სესხები	3.0	4.0	-26%
მაღალი რისკის კატეგორია	90.5	1.7	nmf
სხვა აქტივები	296.2	275.0	8%
საბალანსო ელემენტები	1,799.8	1,639.8	10%
გარესაბალანსო ელემენტები	10.9	11.4	-4%
უცხოური ვალუტით განპირობებული საკრედიტო რისკი	-	29.9	-100%
კონტრაგენტის საკრედიტო რისკი	9.2	7.4	24%
საკრედიტო რისკის მთლიანი მოცულობა	1,819.9	1,688.5	8%

ფინანსური ანგარიშების აქტივებსა და საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილ ბალანსის მუხლებს შორის კავშირი იხილეთ დანართის მე-7 ცხრილი.

სავალდებულო ანგარიშების მიზნებისთვის გამოყენებული თითოეული სტანდარტიზირებული საბალანსო უწყისის აქტივების საბალანსო ღირებულებებსა და კაპიტალის ადეკვატურობის გაანგარიშების მიზნით გამოყენებულ რისკის მოცულობებს შორის სხვაობის ნახვა შესაძლებელია დანართის მე-8 ცხრილში.

8.2 საკრედიტო რისკების მართვა

ბანკში საკრედიტო რისკების მართვას ხელმძღვანელობს საკრედიტო რისკების დირექტორი გენერალური დირექტორის მოადგილე), მმართველი საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს ზედამხედველობით. საკრედიტო რისკების დირექტორის ზედამხედველობის ქვეშ არის ოთხი დეპარტამენტი, კერძოდ:

- კონტრაგენტის საკრედიტო რისკის დამუშავება და ანალიზი;
- პორტფელის ხარისხის მართვა და ანგარიშგება;
- პრობლემური სესხის მართვა;
- კონტროლინგის დეპარტამენტი.

საკრედიტო რისკის მოცულობის შესაფასებლად მოწმდება კონტრაგენტის სხვადასხვა ტიპები და განისაზღვრება კონტრაგენტის დარჩენილი რისკი პორტფელის თითოეულ შემთხვევაში ან თითოეულ სეგმენტთან მიმართებაში. რისკის მოხდენის გავლენისა და ალბათობის თვალსაზრისით, მუდმივად ხორციელდება რისკ ფაქტორებისა და შედეგების შეფასება ემპირიული მონაცემების ანალიზის, ექსპერტის დასკვნის და შიდა საკრედიტო რეიტინგის (კრედიტ-სქორინგის) საფუძველზე.

8.2.1 გადაწყვეტილების მიღების პროცედურები

ბანკში დანერგილია სისტემები და პროცედურები, რომელთა მიხედვითაც გადაწყვეტილების მიღების პროცესი იყოფა სამ ძირითად კატეგორიად:

- რისკის დონე კორპორაციული კლიენტების შემთხვევაში;
- რისკის დონე ფიზიკური პირების შემთხვევაში;
- ფიზიკურ პირებზე გაცემული ავტომატიზირებული სესხის რისკის დონე.

კონტრაგენტის შეფასება და კრედიტის დამტკიცების პროცედურები (ეტაპები) ითვალისწინებს შემდეგს:

კორპორაციული კლიენტების შემთხვევაში:

- კლიენტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ განაცხადის მიწოდების პროცესი და კომპლექსური ანალიზი - განხორციელდება SME/CB საკრედიტო ანალიზის განყოფილების მიერ;
- კლიენტის ბიზნეს ოპერაციების სპეციფიკაციები/მართვის შეფასება - განხორციელდება SME/CB საკრედიტო ანალიზის განყოფილების მიერ;
- კლიენტის სამართლებრივი ექსპერტიზა (საჭიროების შემთხვევაში) – განხორციელდება ბანკის იურიდიული განყოფილების მიერ;
- უზრუნველყოფის შეფასება/ანალიზი – განხორციელდება ბანკის უზრუნველყოფის შეფასების განყოფილების მიერ (ადმინისტრაციისგან დამოუკიდებლად);
- კლიენტის რისკის შეფასება და ანალიზი (SME/CB-ის ანგარიშის საფუძველზე, კლიენტის ფულადი საშუალებების თავისუფალი ნაკადის ადეკვატურობა მოთხოვნილი სესხის მომსახურებისთვის) – განხორციელდება ბანკის საკრედიტო რისკის შეფასების განყოფილების მიერ.

ფიზიკური პირების შემთხვევაში:

- განაცხადის წარდგენის პროცესი და კლიენტისგან პირდაპირი, პირველწყაროდან მიღებული დოკუმენტაციის შეგროვება (შემოსავლის დამადასტურებელი მოწმობა, ვალდებულებები, უზრუნველყოფა, შემოსული თანხები და ოჯახის ხარჯები, სხვა საჭირო ინფორმაცია) - განხორციელდება ბანკის ოპერატორების/ფიზიკური პირების საკრედიტო მენეჯერების მიერ მომსახურების ცენტრებსა და ფილიალებში;
- კლიენტის საკრედიტო რეიტინგის გადახედვა და დადგენა - განხორციელდება საკრედიტო რისკებთან დაკავშირებული დამოუკიდებელი ჯგუფების მიერ.

ფიზიკურ პირებზე გაცემული ავტომატიზირებული კრედიტების შემთხვევაში:

- შეფასება ხორციელდება ავტომატური დამუშავების (დამტკიცება და უარყოფა) სისტემის მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს მინიმალურ მოთხოვნებზე (საკრედიტო რეიტინგი და შეწყვეტის კრიტერიუმები) დაფუძნებულ ხაზოვანი შემოწმების პროგრამული უზრუნველყოფის გადაწყვეტას - მეთოდოლოგიის, შეფასების ბარათებისა და ავტომატიზაციის გადახედვას და დამტკიცებას ახორციელებს მმართველი საბჭო.

გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ფარგლები (ლიმიტები) და უფლებამოსილებები გაყოფილია სხვადასხვა საკრედიტო კომიტეტებს შორის. საკრედიტო კომიტეტების სტრუქტურა და მოდელი მიღებული და დამტკიცებულია მმართველი საბჭოს მიერ. ბანკი იყენებს ცენტრალიზებული მიდგომის მოდელს, რა შემთხვევაშიც გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება კონცენტრირებულია სათაო ოფისის ხელში, ხოლო აღნიშნულთან დაკავშირებით ფილიალების მაქსიმალური ლიმიტი შეადგენს € 10 ათასს თითოეულ სესხზე.

ბანკში ფუნქციონირებს შემდეგი საკრედიტო კომიტეტები და შესაბამისი ლიმიტები:

კორპორაციულ კრედიტებთან დაკავშირებით:

- საკრედიტო კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს საკრედიტო რისკების დირექტორი და რომლის ზღვრული ოდენობა შეადგენს € 1.5 მილიონს;
- საკრედიტო კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი და რომლის ზღვრული ოდენობა შეადგენს 2.5 მილიონ აშშ დოლარს (ან მის ექვივალენტს);
- სესხები, რომელთა ოდენობა აღემატება 2.5 მილიონ აშშ დოლარს (ან მის ექვივალენტს); ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებას.

ფიზიკურ პირებზე გაცემულ კრედიტებთან დაკავშირებით:

- ინდივიდუალური დამტკიცების დონე საკრედიტო რისკის ანდერრაიტერისთვის € 30 ათასამდე ოდენობით;
- დაბალი დონის საკრედიტო კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს საკრედიტო რისკების დამუშავებისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსი და რომლის ზღვრული ოდენობა შეადგენს € 50 ათასს;
- მაღალი დონის საკრედიტო კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს საკრედიტო რისკების დირექტორი და/ან ფიზიკური პირების საბანკო მომსახურება და რომლის ზღვრული ოდენობა შეადგენს € 300 ათასს.

8.2.2 მონიტორინგი, პორტფელის მართვა და ანგარიშგება

მმართველი საბჭო შეაფასებს და ზედამხედველობას გაუწევს საკრედიტო პორტფელის მართვას. საკრედიტო რისკების ჯგუფი ახორციელებს საკრედიტო პორტფელის გადანაწილებისა და დაჯგუფების, ასევე რისკის ღირებულების ანალიზს, პროგნოზირებად გაანგარიშებას და ანგარიშგებას. პორტფელის ხარისხის მართვის და ანგარიშგების დეპარტამენტი აერთიანებს მონაცემებს და ანგარიშის სახით წარუდგენს შემდეგ მიმღებებს:

- საოპერაციო ანგარიშები, რომლებიც გამოიყენება ფილიალის/სტრუქტურული ერთეულის დონეზე ყოველდღიური სარისკო პორტფელის (Portfolio at Risk - "PAR") და საკრედიტო ზარალის დასაფარად განკუთვნილი რეზერვის (Loan Loss Provision - "LLP") გადახედვის და მართვის მიზნით;
- მართვის ანგარიშები სტრუქტურული ქვედანაყოფის დონეზე პროდუქტის/საქმიანობის მიმართულების და მისი ხარისხის (PAR, LLP, ცვლილებები შემადგენლობასა და კონცენტრაციებში) ყოველდღიურად/ყოველთვიურად გადახედვისა და მართვის მიზნით;
- უმაღლესი ხელმძღვანელობის ანგარიშები სტრუქტურული ქვედანაყოფის დონეზე პორტფელის უფრო კონსოლიდირებული ჯგუფების უზრუნველყოფის მიზნით.

ბანკში დანერგილია სისტემა, რომლის საფუძველზეც არსებობს პორტფელის მართვის და მონიტორინგის სამი დამოუკიდებელი დონე:

- კომპანიის სტრუქტურული ქვედანაყოფები, რომლებიც პასუხისმგებელია კონკრეტული პროდუქტის დამზადებაზე, კომერციული საქმიანობების შესახებ ყოველდღიურ/ყოველთვიურ ანგარიშებზე, რომლებიც ასევე ასახავს პორტფელის საერთო სტატისტიკას და ხარისხს (PAR და LLP);
- საკრედიტო რისკების მართვის ჯგუფი, კომერციული საქმიანობის მფლობელისგან დამოუკიდებლად, პასუხისმგებელია პორტფელის ხარისხის ყოველთვიურ მონიტორინგსა და ანგარიშებზე. ანგარიშები ასახავს PD-ს, LGD-ს, DPD-ს, PAR-ს და LLP-ს სხვადასხვა საკრედიტო პროდუქტებთან მიმართებაში. საკრედიტო რისკების მართვის ჯგუფი ვალდებულია მმართველ საბჭოს შეატყობინოს ისეთი გარემოების შესახებ, თუ პორტფელის პარამეტრებში აღინიშნება პროგნოზირებული დონეებიდან გადაცდომის შემთხვევები;
- ბანკში მოქმედებს ანგარიშების და პორტფელის გადახედვის სისტემა ფინანსური დეპარტამენტის დონეზე, რომელიც ბიუჯეტირების და დაგეგმვის მიზნებიდან გამომდინარე, პასუხისმგებელია საკრედიტო პორტფელის გადანაწილებასა და ანალიზზე.

8.2.3 საკრედიტო რისკის შეფასება

საკრედიტო რისკების შეფასება და გაზომვა ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმადაც ქვემოთ მოცემული ფაქტორები იცვლება მსესხებლის სხვადასხვა ტიპის მიხედვით:

- კრედიტუნარიანობასთან დაკავშირებული ფაქტორები;
- ხელმისაწვდომ მონაცემთა წყაროები;
- საკრედიტო რისკების დონეები.

როგორც უკვე აღინიშნა, ბანკმა მიიღო საკრედიტო პორტფელის დაყოფის სტანდარტები კონკრეტული რისკის საფუძველზე ბანკის ყველა მსესხებლის კრედიტუნარიანობის შესაფასებლად.

საქმიანი განხილვების საფუძველზე, ბანკმა გამოყო და განსაზღვრა შემდეგი საერთო სეგმენტები:

- სუვერენული სახელმწიფოები/ცენტრალური მთავრობები;
- ბანკები/დაწესებულებები;
- იურიდიული პირები;
- ფიზიკური პირები, მათ შორის ფართო მოხმარების პროდუქტის ბაზრის ფიზიკური პირის კრედიტები;
- კერძო საბანკო მომსახურების კლიენტები.

ბანკში დანერგილია სისტემა, რომლის საშუალებითაც საკრედიტო რისკის შეფასება ხდება კრედიტის გაცემის დროს. შესაბამისად, ნებისმიერი კრედიტის უზრუნველყოფა ხდება ინდივიდუალურად გაცემის მომენტში. ბანკი კლიენტის დონეს განიხილავს სკალის დაყოფის ფასის ექვივალენტურად.

რისკი განიხილება, როგორც დეფოლტის ალბათობა დაფარვის მოლოდინის გარეშე კონკრეტულ პროდუქტებთან და კლიენტის ჯგუფებთან დაკავშირებით. PD-ს და LGD-ს მოლოდინები ინტეგრირებულია ბანკის შეფასების ბარათებში, რომლებიც გამოიყენება კლიენტის ინდივიდუალური შეფასებისთვის და გადაწყვეტილების მისაღებად. როგორც წესი, სტატისტიკური მონაცემების გადახედვა და მოსალოდნელი დანაკარგების კორექტირება (შესაბამისად კორექტირებები შედის შეფასების ბარათებშიც) ხდება ყოველკვარტალურად.

საკრედიტო რისკის მართვის ჯგუფი პასუხისმგებელია თვალყური მიადევნოს ზარალის შემთხვევებს, მათ სტატისტიკას და შეამოწმოს შეფასების ბარათების ფორმები და ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღების მიზნით გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფის გადაწყვეტები.

8.2.4 გაუფასურება

რეგულირების მიზნით, ბანკი ახორციელებს თავისი საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას 2017 წლის 10 აგვისტოს დამტკიცებული "კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნის შესახებ" საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციის შესაბამისად. შემოწმებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან დაკავშირებით, ბანკი შესაძლო დანაკარგების რეზერვების გაანგარიშებას ახორციელებს უახლესი IFRS-ის სტანდარტების შესაბამისად.

გაუფასურების მეთოდოლოგია საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციის საფუძველზე

2017 წელს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაამტკიცა განახლებული რეგულაცია "კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და მოსალოდნელი დანაკარგების რეზერვების გამოყენების" შესახებ იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომერციულ ბანკებს ჰქონდეთ საკუთარი აქტივების კლასიფიკაციისა და ზარალის დასაფარად რეზერვების გამოყოფის ადეკვატური შიდა პროცედურები და ანგარიშგების სტანდარტები. მეთოდოლოგიაში მთელი რიგი ცვლილებების გათვალისწინებით, ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება იყო "სესხის მომსახურების" (Payment-To-Income - PTI) და "სესხის უზრუნველყოფის" (Loan-To-Value - LTV) კოეფიციენტები. აღნიშნული კოეფიციენტების დარღვევა განაპირობებს რისკის უფრო მაღალ შეწონილ კოეფიციენტს რეალური ზეგავლენის საფუძველზე და რისკის მიხედვით შეწონილ გაზრდილ რისკს. რისკის მიხედვით შეწონილი მაღალი რისკი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სესხი კლასიფიცირებულია სტანდარტულ კატეგორიაში და შემოსავლის ძირითად წყაროს არ წარმოადგენს ბიზნეს საქმიანობები. ბიზნეს სესხებთან (კორპორაციული, მცირე, საშუალო და მიკრო საწარმოებზე გაცემული სესხები) დაკავშირებით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა გონივრული რენტაბელობის, შესრულების ეფექტიანობის და რისკების შეფასების კოეფიციენტები, კერძოდ: ვალი/ EBITDA, EBITDA/საპროცენტო ხარჯები, EBIT/საპროცენტო ხარჯები და კაპიტალი/აქტივები. ახალი რეგულაციით დადგენილი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, ბანკმა წარმატებით შეიმუშავა და დანერგა შესაბამისი ინფრასტრუქტურა და პოლიტიკა, რომელიც სრულად შეესაბამება საზედამხედველო მოთხოვნებს და ადეკვატურად წარმოადგენს ბანკის ფინანსურ პოზიციას. ამავდროულად, ბანკი ახდენს გაუფასურების არსებული მეთოდოლოგიის ოპტიმიზაციას, რომლის მიზანია საკუთარი აქტივების ხარისხის შესახებ ზუსტი, სრული და განახლებული ინფორმაციის აღრიცხვა. საკრედიტო რისკების მართვის არსებული მექანიზმი შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის აქტივების კლასიფიკაციას, რომელიც მოიცავს ხუთ კატეგორიას LLP-ს შესაბამის განაკვეთთან ერთად:

- სტანდარტული – 2%;
- საყურადღებო – 10%;
- არასტანდარტული – 30%;
- საეჭვო – 50%;
- უიმედო – 100%.

ბანკი სწავლობს სხვადასხვა მაინიცირებელ ფაქტორს ძირითადი აქტივის ზუსტი კატეგორიის შესაფასებლად, სადაც DPD/PAR წარმოადგენს კლასიფიკაციის მთავარ ფაქტორს. გარდა ამისა, ბანკმა შეიმუშავა და გააუმჯობესა საკრედიტო რისკების მონიტორინგი მსესხებლების ფინანსური მდგომარეობის ანალიზის, მათ შორის უზრუნველყოფის საგნის მუდმივი გადაფასების, საფუძველზე. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს პოტენციური საკრედიტო გაუფასურების ადრეულ გამოვლენას.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გაუფასურების მეთოდოლოგია

სესხების გაუფასურებასთან დაკავშირებით ძირითადი საკითხებია არის თუ არა სესხის ძირითადი თანხა ან პროცენტი ვადაგადაცილებული ან კონტრაგენტების ფულადი საშუალებების ნაკადებში არსებობს თუ არა რაიმე სახის გამოვლენილი სირთულე ან აღინიშნება თუ არა კონტრაქტის თავდაპირველი პირობების დარღვევა. ბანკი გაუფასურების შეფასებას ახორციელებს ორი მიმართულებით: ინდივიდუალურად შეფასებული დარიცხვები და კოლექტიურად შეფასებული დარიცხვები.

ინდივიდუალურად შეფასებული დარიცხვები

ბანკი თითოეული ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხისთვის შესაბამის დარიცხვას განსაზღვრავს ინდივიდუალურად. ინდივიდუალური შეფასების ძირითადი ფაქტორი ყველა სესხთან მიმართებაში გულისხმობს არის თუ არა ძირითადი თანხა ან მისი პროცენტი ვადაგადაცილებული 90 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში. დარიცხვის ოდენობების განსაზღვრის დროს განხილული საკითხები მოიცავს კონტრაგენტის ბიზნეს გეგმის სტაბილურობას, ასევე მის შესაძლებლობას გააუმჯობესოს შესრულების ეფექტიანობა ფინანსური სირთულის წარმოშობის შემდეგ, პროგნოზირებულ შემოსულობებსა და მოსალოდნელი დივიდენდის გადახდებს გააკოტრების შემთხვევაში, სხვა ფინანსური მხარდაჭერის არსებობას და უზრუნველყოფის სალიკვიდაციო ღირებულებას, სავარაუდო ფულადი ნაკადების ვადებს. გაუფასურებით გამოწვეული ზარალის შეფასება ხდება ანგარიშგების წარდგენის დღეს, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ გაუთვალისწინებელი გარემოებები არ საჭიროებს გადაუდებელ ყურადღებას.

კოლექტიურად შეფასებული დარიცხვები

დარიცხვების შეფასება ხორციელდება ყოველ საანგარიშგებო დღეს. საანგარიშგებო ხორციელდება ერთგვაროვანი პროდუქტებით, რაც ნიშნავს იმას, რომ სტატისტიკური მონაცემების და პარამეტრების შეგროვება და საანგარიშგება ხდება თითოეული პროდუქტისთვის ინდივიდუალურად. PD-ს განსაზღვრის მიზნით, ბანკი იყენებს გაკოტრების ზღვრულ განაკვეთს (Marginal Mortality Rate - “MMR”) იმისთვის, რომ განსაზღვროს დეფოლტის ალბათობა სხვადასხვა საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებით, მათი ხანდაზმულობის ვადის (კრედიტის გაცემიდან ანგარიშგების დღემდე თვეების რაოდენობა) მიხედვით. ვადაგადაცილებული კრედიტების (რომელიც განსაზღვრულია, როგორც $DPD > 90$) ამოღების კოეფიციენტი (Recovery Rate - “RR”) ითვალისწინებს დეფოლტის თარიღიდან, ერთობლივად, ანგარიშგების თარიღამდე გადახდილ

ნაღდ თანხას. გადახდილი თანხები დისკონტირებულია პროდუქტის საშუალო მოქმედი შეწონილი საპროცენტო განაკვეთით. LGD უდრის 1 – RR. ანალიზის პერიოდის განმავლობაში ჩამოწერილი კრედიტები მიჩნეულია ვადაგადაცილებულ კრედიტებად და გათვალისწინებულია PD-ს და LGD-ს განსაზღვრაში. ანგარიშგების დღეს საკრედიტო პორტფელი კლასიფიცირებულია სამ კატეგორიად: სტანდარტული პორტფელი, რომელიც ექვემდებარება დეფოლტის ალბათობას მომდევნო 12 თვეში; არასტანდარტული პორტფელი, რომელიც ექვემდებარება დეფოლტის ალბათობას მთლიანი ვადის განმავლობაში და ვადაგადაცილებული პორტფელი.

- სტანდარტული პორტფელის შემთხვევაში, შესაძლო საკრედიტო ზარალის დარიცხვა უდრის მთლიან ფაქტობრივ დავალიანებას PD-ს და LGD-ს 12 თვის განმავლობაში;
- არასტანდარტული პორტფელის შემთხვევაში, შესაძლო საკრედიტო ზარალის დარიცხვა უდრის მთლიან ფაქტობრივ დავალიანებას PD-ს და LGD-ს მთლიანი ვადის განმავლობაში;
- ვადაგადაცილებული პორტფელის შემთხვევაში, შესაძლო საკრედიტო ზარალის დარიცხვა უდრის მთლიან ფაქტობრივ დავალიანებას მხოლოდ LGD-სთან დაკავშირებით.

„ფასს“ 9

„ფასს“ 9-ის შესაბამისად, ბანკი ვალდებულია აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების (expected credit losses - “ECL”) რეზერვი ყველა თავის სავალო ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით ამორტიზირებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (fair value through other comprehensive income - “FVOCI”), ასევე სასესხო ვალდებულებები და ფინანსური გარანტიები. რეზერვი ეფუძნება მომდევნო თორმეტ თვიანი დეფოლტის ალბათობასთან დაკავშირებულ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს, თუ საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, რა შემთხვევაშიც რეზერვი დაეფუძნება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს აქტივების მომსახურების ვადის განმავლობაში. თუ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს გაცემული ან შეძენილი გაუფასურებული კრედიტის განმარტებას, რეზერვი დაეფუძნება ცვლილებას ECL-ის არსებობის მანძილზე.

„ფასს“ 9-ში წარმოდგენილი გაუფასურების ზარალების აღიარების ახალი მოდელის შესაბამისად, არსებობს „სამ ეტაპიანი“ მიდგომა, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ცვლილებას თავდაპირველი აღიარების შემდეგ. პრაქტიკულად, ახალი წესები ნიშნავს, რომ ორგანიზაციებს მოუწევთ უშუალო (პირდაპირი) ზარალის ასახვა ECL-ს თორმეტ თვიანი პერიოდისთვის იმ ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარების მომენტიდან, რომელთაც არ განუცდიათ საკრედიტო რისკით გაუფასურება.

იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, გაუფასურების გაზომვა ხდება ECL-ის არსებობის მანძილზე და არა თორმეტ თვიანი ECL-ის საფუძველზე. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია „ფასს“ 9-ის „სამ ეტაპიანი“ მიდგომა რეზერვირებასთან დაკავშირებით:

„ფასს“ 9-ის რეზერვირების ეტაპები

ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3
ფინანსური ინსტრუმენტის გაცემის ან შეძენისთანავე, 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში და განისაზღვრება ზარალის რეზერვი.	იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა და შედეგად საკრედიტო ხარისხი არ განიხილება დაბალ საკრედიტო რისკად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება სრული არსებობის განმავლობაში.	იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი გაიზარდა იმ ნიშნულამდე, რომ ჩათვლება საკრედიტო რისკით გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებად, საპროცენტო შემოსავალი გაანგარიშდება ამორტიზირებული ღირებულების საფუძველზე (ანუ ზარალის რეზერვთან კორექტირებული მთლიანი საბალანსო ღირებულება). ამ ეტაპზე ფინანსური აქტივები შეფასდება ინდივიდუალურად.
აღნიშნული შესაძლოა გამოყენებული იყოს საკრედიტო ზარალების თავდაპირველი მოლოდინების ნაცვლად.	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სრული არსებობის განმავლობაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ორგანიზაციის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის გაცემის ან შეძენის მომენტიდან.	აღნიშნულ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირდებით კვლავ აღიარდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სრული არსებობის განმავლობაში.
ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით, საპროცენტო შემოსავალი გაანგარიშდება მთლიანი საბალანსო ღირებულების საფუძველზე (ანუ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებთან მიმართებაში კორექტირების გარეშე).	ფინანსურ აქტივებზე საპროცენტო შემოსავალი გაანგარიშდება იმავე წესით, როგორც მითითებულია 1-ელ ეტაპში.	აღნიშნულ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირდებით კვლავ აღიარდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სრული არსებობის განმავლობაში.

2018 წლის 1 იანვრიდან, ბანკი გეგმავს კორექტირება გაუკეთოს გაუფასურების არსებულ მეთოდოლოგიას „ფასს 9“-ის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

8.2.5 საკრედიტო შეფასების გარე ინსტიტუტები

საქართველოს ეროვნული ბანკის მარეგულირებელი ჩარჩოს თანახმად, ბანკებს უფლება აქვთ გამოიყენონ საკრედიტო რეიტინგის მომსახურება საკრედიტო შეფასების გარე ინსტიტუტებისგან (External Credit Assessment Institutions - "ECAIs"), რათა განსაზღვრონ რისკის წონა. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილია შესაბამისი ECAI-ების ჩამონათვალი, რომლებიც პასუხობენ ობიექტურობის, დამოუკიდებლობის, უწყვეტი განხილვისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს, რაც, შესაბამისად, საშუალებას იძლევა, რათა კრედიტუნარიანობის კუთხით მიღებული შეფასებები აკმაყოფილებდნენ სანდოობის და გამჭვირვალობის მოთხოვნებს. ბანკს შეუძლია დაასახელოს ერთი ან მეტი შესაბამისი ECAI, რომელიც გამოყენებულ იქნება აქტივებისა და გარესაბალანსო პუნქტებისთვის რისკის წონითი კოეფიციენტის დასადგენად. თუ გამოვლინებისთვის ხელმისაწვდომია შესაბამისი ECAI-ს საკრედიტო შეფასება, მაშინ მისი რისკის წონა განისაზღვრება "კომერციული ბანკებისთვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების დებულებების" შესაბამისად და გამოიყენება ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების გაანგარიშების მიზნით. გამოვლინებაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ყველა თანხა – როგორც ძირითადი, ისე მასზე დარიცხული პროცენტები.

გარე საკრედიტო რისკების შეფასების მიზნით ბანკს შერჩეული აქვს Fitch Ratings-ისა და Standard & Poor's Rating-ის სერვისები. ეს რეიტინგები გამოიყენება საკრედიტო ხარისხის ეკვივალენტური საფეხურების განსაზღვრისა და იმ სათანადო რისკ-წონის მინიჭებისას, რომელიც შეესაბამება სეზონის საკრედიტო ხარისხის შეფასების შვალას. ბანკი უწყვეტ რეჟიმში იყენებს შესაბამისი ECAI-ს მიერ მომზადებულ საკრედიტო შეფასებებს გარკვეული კლასის საქონლისთვის და აქედან გამომდინარე – ამ კლასს მიკუთვნებული ყველა რისკისთვის.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა გამოიყენა ECAI-ები შემდეგი პუნქტების რისკის წონის გამოსათვლელად:

- უცხოურ ვალუტაში გამოსახული რისკის პოზიციები ცენტრალური სახელმწიფოს და ცენტრალური ბანკების მიმართ;
- კომერციული ბანკების მიმართ არსებული რისკის პოზიციები;
- კორპორაციების მიმართ არსებული რისკის პოზიციები.

ადგილობრივ ვალუტაში გამოსახული რისკის პოზიციები საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს მთავრობის მიმართ 0% რისკის წონით ფასდება.

8.3 საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები

პილარ 1-ის რეგულაციის საფუძველზე, ბანკებს უფლება აქვთ გამოიყენონ მხოლოდ საკრედიტო რისკების სტანდარტიზირებული მიდგომა (Standardised Approach to Credit Risk - "SACR"), რომელიც ეფუძნება რისკების მიხედვით ერთიან შეწონვას ან გარე რეიტინგებს. გარე რეიტინგების გამოყენების მიზნით, ბანკმა შეარჩია სარეიტინგო სააგენტოები „Fitch Ratings“ და „Standard & Poor's Rating Services“. აღნიშნული რეიტინგები ასახავს ეკვივალენტური საკრედიტო ხარისხის დონეებს, როგორც ეს მოთხოვნილია პილარ 1-ის რეგულაციის ჩარჩოთი. საკრედიტო რისკების სრულად შემცირებისთვის, ბანკი განიხილავს მხოლოდ ოქროს და დეპოზიტებს, იმის მიუხედავად, რომ საცხოვრებელი ქონების სახით წარმოდგენილი უზრუნველყოფა ამცირებს რისკის მიხედვით შეწონვას. ქვემოთ მოცემულ ცხრილში განსაზღვრულია საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები საკრედიტო რისკის მითიგაციის ("CRM") გამოყენებამდე, გამოიყენება საკრედიტო რისკის მითიგაცია და საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები საკრედიტო რისკის მითიგაციის შემდეგ.

საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები პილარ 1-ის რეგულაციის საფუძველზე

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით									კრედიტის RWE CRM- მდე	CRM	კრედიტის RWE CRM-ის შემდეგ
მილიონი ლ., თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	0%	20%	35%	50%	75%	100%	150%	250%			
მთავრობები ან ცენტრალური ბანკები	276.5	-	-	-	-	75.5	-	-	75.5	-	75.5
კომერციული ბანკები	-	225.1	-	5.0	-	0.8	-	-	48.3	-	48.3
კორპორაციული კლიენტები	-	-	-	2.3	-	57.0	-	-	58.2	4.2	54.0
ფიზიკური პირები	-	-	-	-	759.1	-	-	-	569.3	16.9	552.4
საცხოვრებელი ქონების იპოთეკით უზრუნველყოფილი	-	-	8.8	-	-	-	-	-	3.1	-	3.1
ვადგადაცდილებული სესხები	-	-	-	0.3	-	2.1	0.6	-	3.1	0.5	2.6
მაღალი რისკის კატეგორია	-	-	-	-	-	2.6	86.1	1.8	136.3	27.7	108.5
სხვა აქტივები	159.0	1.8	-	-	-	135.4	-	-	135.7	-	135.7
საბალანსო ელემენტები	435.5	226.9	8.8	7.6	759.1	273.4	86.7	1.8	1,029.6	49.4	980.1
გარესაბალანსო ელემენტები	-	-	-	-	0.0	10.9	-	-	10.9	0.5	10.4
უცხ. ვალუტით განპირობებული საკრედიტო რისკი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
კონტრაგენტის საკრედიტო რისკი	-	-	-	-	-	-	-	-	9.2	-	9.2
სულ	435.5	226.9	8.8	7.6	759.1	284.3	86.7	1.8	1,049.7	49.9	999.7

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით									კრედიტის RWE CRM- მდე	CRM	კრედიტის RWE CRM-ის შემდეგ
მილიონი ლ., თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	0%	20%	35%	50%	75%	100%	150%	250%			
მთავრობები ან ცენტრალური ბანკები	304.5	-	-	-	-	203.0	-	-	203.0	-	203.0
კომერციული ბანკები	-	138.0	-	7.2	-	0.9	-	-	32.2	-	32.2
კორპორაციული კლიენტები	-	-	-	2.3	-	55.5	-	-	56.7	4.7	52.0
ფიზიკური პირები	-	-	-	-	634.2	-	-	-	475.7	21.7	453.9
საცხოვრებელი ქონების იპოთეკით უზრუნველყოფილი	-	-	13.3	-	-	-	-	-	4.6	-	4.6
ვადგადაცდილებული სესხები	-	-	-	0.2	-	3.2	0.6	-	4.2	0.1	4.1
მაღალი რისკის კატეგორია	-	-	-	-	-	-	-	1.7	4.3	-	4.3
სხვა აქტივები	145.0	0.9	-	-	-	129.2	-	-	129.4	-	129.4
საბალანსო ელემენტები	449.5	138.9	13.3	9.8	634.2	391.9	0.6	1.7	910.0	26.6	883.4
გარესაბალანსო ელემენტები	-	-	-	-	10.9	0.5	-	-	8.6	0.5	8.1
უცხ. ვალუტით განპირობებული საკრედიტო რისკი	-	-	-	-	-	-	-	-	22.5	4.8	17.6
კონტრაგენტის საკრედიტო რისკი	-	-	-	-	-	-	-	-	7.4	-	7.4
სულ	449.5	138.9	13.3	9.8	645.1	392.4	0.6	1.7	948.5	31.9	916.6

საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ მე-11 დანართის ცხრილში. CRM-ის დეტალური ჩამონათვალი იხილეთ დანართის მე-12 ცხრილში, ხოლო CRM-ს შედეგების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართის მე-13 ცხრილში. კონტრაგენტის საკრედიტო რისკის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია დანართის მე-15 ცხრილში.

8.4 საკრედიტო რისკის კონცენტრაცია

ბანკის საცალო სეგმენტზე ორიენტირებული ბიზნეს მოდელი განაპირობებს დეტალიზირებულ საკრედიტო პორტფელს, შესაბამისად, ერთიდასახელებიანი კონცენტრაცია დაახლოებით ნულის ტოლია, ხოლო ჰერფინდელ-ჰირშმანის ინდექსი (HHI) 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 0.0002%-ს. ეკონომიკურ სექტორებს შორის დივერსიფიკაცია ასევე მაღალია, რაც ნიშნავს სექტორის დაბალ კონცენტრაციას, რომელიც გაზომილია HHI-ზე დაყრდნობით და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 9.46%-ს. არ არსებობდა რაიმე ხარისხობრივი მახასიათებლები, რომლებიც მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ ბანკი ექვემდებარება საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკს.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი სრულ შესაბამისობაში იყო RAS-ის შესაბამისად და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ კონცენტრაციის ლიმიტებთან.

8.5 რესტრუქტურირებული კრედიტები

ბანკმა მიიღო და დანერგა რესტრუქტურიზაციის მკაცრი პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკის შესაბამისად, უზრუნველყოფის გარეშე საკრედიტო რისკის რესტრუქტურიზაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ნათლად განსაზღვრავს შემოსავლის შემოწმებულ წყაროს, რომელიც საკმარისია რესტრუქტურირებული გრაფიკის ფარგლებში კრედიტის დასაფარად. რესტრუქტურირებული არაუზრუნველყოფილი საკრედიტო რისკის LLP-ს კოეფიციენტი უდრის იმ მაქსიმალურ ლიმიტს, რომელიც არსებობდა კრედიტთან მიმართებაში რესტრუქტურიზაციამდე. ბანკმა დანერგა საუკეთესო პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც შემდგომი რესტრუქტურიზაციები არ არის მხარდაჭერილი და ექვემდებარება მაღალი დონის საკრედიტო კომიტეტის მიერ დამტკიცებას. რესტრუქტურიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება იმ სტრუქტურული ერთეულისგან დამოუკიდებლად, რომელიც პასუხისმგებელია კრედიტების ამოღებაზე ადმინისტრაციის დონეზე. ქვემოთ ცხრილში მითითებულია გადაუხდელი რესტრუქტურირებული კრედიტების რაოდენობა და მთლიანი მოცულობა.

რესტრუქტურირებული კრედიტები

მილიონი ლ., თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	კორპორაციული სტრუქტ. ქვედანაყოფი		ფიზიკური პირები სტრუქტ. ქვედანაყოფი		სულ	
	რაოდენობა	მთლიანი მოცულობა	რაოდენობა	მთლიანი მოცულობა	რაოდენობა	მთლიანი მოცულობა
ანგარიშგების თარიღი						
2016 წლის 31 დეკემბრის						
მდგომარეობით, სადაც:	2	0.5	6,507	18.7	6,509	19.2
- ვადაგადაცილების გარეშე	-	-	4,630	14.2	4,630	14
- <30 დღე ვადაგადაცილება	-	-	456	1.4	456	1
- 30-60 დღე ვადაგადაცილება	-	-	95	0.4	95	0
- 60-90 დღე ვადაგადაცილება	-	-	78	0.2	78	0
- 90-150 დღე ვადაგადაცილება	-	-	87	0.3	87	0
- >150 დღე ვადაგადაცილება	2	0.5	1,161	2.3	1,163	3
სულ NPL (90+ ვადაგადაცილებული დღეები)	2	0.5	1,248	2.6	1,250	3
პრობლემური კრედიტების (NPL) კოეფიციენტი:	100%	100%	19%	14%	19%	16%
2017 წლის 31 დეკემბრის						
მდგომარეობით, სადაც:	1	0.1	6,337	16.7	6,338	16.8
- ვადაგადაცილების გარეშე	1	0.1	4,434	12.4	4,435	12.4
- <30 დღე ვადაგადაცილება	-	-	348	0.8	348	0.8
- 30-60 დღე ვადაგადაცილება	-	-	84	0.4	84	0.4
- 60-90 დღე ვადაგადაცილება	-	-	64	0.2	64	0.2
- 90-150 დღე ვადაგადაცილება	-	-	97	0.3	97	0.3
- >150 დღე ვადაგადაცილება	-	-	1,310	2.7	1,310	2.7
სულ NPL (90+ ვადაგადაცილებული დღეები)	-	-	1,407	3.0	1,407	3.0
პრობლემური კრედიტების კოეფიციენტი:	0%	0%	22%	18%	22%	18%

8.6 საკრედიტო რისკის ჰეჯირება და მიტიგაცია

ბანკი იყენებს საკრედიტო რისკის მიტიგაციის სხვადასხვა ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს მოვალის გადახდის უზუნარობის რისკისგან ნაწილობრივ ან სრულად დაცვას. ორი ძირითადი კატეგორია არის პირადი გარანტიები და უზრუნველყოფა. პირადი გარანტიები წარმოადგენს მესამე მხარის მიერ გაკეთებულ ვალდებულებებს პირველი რიგის მოვალის შეცვლასთან დაკავშირებით ამ უკანასკნელის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. კრედიტის დამტკიცების პროცესის განმავლობაში, ფასდება გარანტის მიერ დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა. ბანკის უზრუნველყოფა პირველ რიგში მოიცავს შემდეგს:

- საცხოვრებელი და კომერციული უძრავი ქონება;
- ოქრო და სხვა ძვირფასი მეტალები;
- სატრანსპორტო საშუალებები;
- ნაღდი ფული და ფულის ექვივალენტები (დეპოზიტები, CDs).

უზრუნველყოფის საგნის ღირებულების შესაფასებლად გამოიყენება რისკის ფაქტორები, რომელიც ასახავს მის ხარისხსა და ლიკვიდურობას. უზრუნველყოფის საგნის შეფასების პროცესი მიმდინარეობს საკრედიტო განაცხადის წარდგენისა და ასევე მისი ფინანსური მონიტორინგის პროცესისგან დამოუკიდებლად. საკრედიტო რისკების მართვის დეპარტამენტი პასუხისმგებელია გარანტიის და უზრუნველყოფის შეფასების საოპერაციო ინსტრუქციის დამტკიცებაზე კრედიტის გაცემის ეტაპის განმავლობაში ან საკრედიტო განაცხადის განახლების შემდეგ. ბანკის მიმდინარე დავალიანების უზრუნველსაყოფად დაგირავებული აქტივების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დანართის მე-5 ცხრილში, სექცია N5.

ბანკი იყენებს CRM-ის ინსტრუმენტებს რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების შესამცირებლად. საკრედიტო რისკების მიტიგაცია შესაბამისობაშია ბანკის მიერ მიღებულ და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებულ საკრედიტო რისკების მიტიგაციის პოლიტიკასთან.

9 საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის საბაზრო ფასის ან კურსის, მათ შორის არახელსაყრელი საპროცენტო განაკვეთების და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზარალის რისკი. საბაზრო რისკი წარმოიშობა ძირითადად სავაჭრო საქმიანობებიდან. ბანკს არ ემუქრება სავაჭრო საქმიანობებთან დაკავშირებული საბაზრო რისკის საფრთხე, ვინაიდან RAS-ის შესაბამისად, ბანკი მონაწილეობს მხოლოდ შეზღუდულ სავაჭრო საქმიანობებში. საბანკო საქმიანობებთან დაკავშირებული საბაზრო რისკი მოიცავს აქციების წილზე ზარალის რისკს და საბანკო საშუაშალო ოპერაციებიდან წარმოშობილ საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკს. ბანკს ემუქრება საპროცენტო და სავალუტო რისკის საფრთხე საბანკო პორტფელში.

9.1 სავალუტო რისკი

9.1.1 სავალუტო პოლიტიკა და ლიმიტები

სავალუტო პოლიტიკის მიზანია სავალუტო რისკების მართვასთან დაკავშირებით პარამეტრების განსაზღვრა. სავალუტო კურსის რისკის მართვის პროცესი მოიცავს:

- შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებას სავალუტო რისკის დადგენისა და რაოდენობრივი გაზომვის მიზნით;
- ღია სავალუტო პოზიციის ყოველდღიურ მონიტორინგს;
- სავალუტო რისკების მინიმუმამდე დაყვანას დადგენილ ლიმიტებთან შესაბამისობის გზით;
- გაზრდილი სავალუტო რისკის არსებული და მოსალოდნელი ნეგატიური ტენდენციების გამოვლენას, რასაც მოსდევს მისი გამომწვევი მიზეზების და შედეგების ანალიზი;
- სავალუტო რისკის მართვის სტრატეგიის შესახებ რეკომენდაციების უზრუნველყოფას;
- სავალუტო ოპერაციებში გამოყენებული ინსტრუმენტების სახეობების და ლიმიტების განსაზღვრას.

შიდა ლიმიტების დადგენის საფუძველია: აქტივობა ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე, ბანკების და მათი კლიენტების აქტიურობა ინდივიდუალურ ვალუტებში, ოპერაციების ფაქტობრივი მოცულობა და შესაბამისი პერიოდებისთვის გაცვლითი კურსის ცვალებადობა. სავალუტო პოზიციის ლიმიტები განისაზღვრება როგორც მთლიანი ღია სავალუტო პოზიციისთვის (open FX position - “OCP”), ასევე ინდივიდუალური სავალუტო პოზიციებისთვის. აშშ დოლარის (US\$) შემთხვევაში, ღია სავალუტო პოზიცია შემოიფარგლება მინიმალური ნებადართული კაპიტალის 17%-ით, ხოლო სხვა ვალუტების შემთხვევაში ღია სავალუტო პოზიცია ლიმიტირებულია მინიმალური ნებადართული კაპიტალის 3%-ით. ღია სავალუტო პოზიცია იმართება ხაზინის დეპარტამენტის მიერ ცენტრალიზებულ დონეზე.

სავალუტო პოლიტიკა ადგენს მოცულობის ლიმიტებს თითოეულ სავაჭრო ოპერაციაზე, მათ შორის სავალუტო ფორვარდებთან და სავალუტო სვოპებთან დაკავშირებით. სავალუტო პოლიტიკა ასევე განსაზღვრავს სავაჭრო პოზიციის მთლიანი შიდა დღიური ვაჭრობის ლიმიტებს და სავაჭრო პოზიციების ლიმიტებს. ლიმიტები განსაზღვრულია ხაზინის დეპარტამენტისთვის.

სავალუტო პოლიტიკა განსაზღვრავს ყოველდღიური VAR-ის ლიმიტს ღია სავალუტო პოზიციაზე. ყოველდღიური სარისკო ღირებულება იზომება ღია პოზიციებზე მხოლოდ აშშ დოლარში და რუსულ რუბლში, რადგან ჩვეულებრივი სავალუტო საქმიანობების დროს ბანკს არ გააჩნია მნიშვნელოვანი ღია პოზიციები სხვა უცხოურ ვალუტაში. ყოველდღიური VAR გაანგარიშდება როგორც ჯამურ ასევე თითოეული ვალუტის ჭრილში დათვლილ ღია სავალუტო პოზიციაზე. მნიშვნელოვანი რისკის აღმოჩენის შემთხვევაში ინფორმაცია წარედგინება მმართველ საბჭოს ხაზინის დეპარტამენტის მიერ. საჭიროების შემთხვევაში, ხაზინის დეპარტამენტი შეიმუშავებს კორექციის გეგმას და წარუდგენს ALCO-ს.

9.1.2 რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიცია და კაპიტალის მოთხოვნა

პილარ 1-ის რეგულაციის საფუძველზე, გამოიყენება საბაზრო რისკის ვიწრო განმარტება, რადგან ის ითვალისწინებს მხოლოდ სავალუტო რისკს. სავალუტო რისკთან დაკავშირებით რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიცია უდრის საერთო ღია სავალუტო პოზიციას, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციაში, რომელიც ეხება კომერციული ბანკების საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტების დადგენას, გაანგარიშებას და დაცვის წესს. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბაზროს რისკთან დაკავშირებით რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიცია შეადგენდა ლ 4.3 მილიონს, ლ 0.5 მილიონიანი მთლიანი კაპიტალის მოთხოვნით (მათ შორის პილარ 2-ის კაპიტალის ბუფერები), რომელიც მიუთითებს სავალუტო ბაზრის სპეკულაციების მიმართ ბანკის დაბალ აპეტიტს.

9.1.3 სტრეს ტესტები

ვინაიდან, VAR ითვალისწინებს პოტენციური ზარალების პროგნოზირებას ნორმალურ საბაზრო პირობებში, მას ემატება სტრეს ტესტების გამოთვლა. აღნიშნული სტრეს ტესტები აფასებენ რისკს, რომელიც ემუქრება ბანკს სხვადასხვა სცენარით დაშვებული მოლოდინების საფუძველზე. სტრეს ტესტები ტარდება ყოველთვიურად არსებულ საბანკო პორტფელთან და ბალანსგარეშე სავალუტო პოზიციებთან დაკავშირებით.

9.2 საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთების მოძრაობა გავლენას ახდენს წმინდა საპროცენტო შემოსავალზე (“NII”) და შესაბამისად, NIM-ზე. საპროცენტო აქტივებიდან მიღებული შემოსავალი და საპროცენტო ვალდებულებების ხარჯები მჭიდრო კავშირშია საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობასთან, რადგან საპროცენტო განაკვეთების ცვლილება გავლენას ახდენს ბანკის აქტივების, ვალდებულებების და ბალანსგარეშე ინსტრუმენტების ღირებულებაზე.

ძირითადი საპროცენტო რისკი წარმოიშობა დაფარვის ვადებს შორის სხვაობებით ფიქსირებულ საპროცენტო აქტივებსა, ვალდებულებებსა და ბალანსგარეშე პოზიციებს შორის..

9.2.1 საპროცენტო რისკის შეფასება და მართვა

ბანკის მიერ საპროცენტო განაკვეთის რისკის შესაფასებლად გამოყენებული მეთოდოლოგია ითვალისწინებს არსებული მდგომარეობის ანალიზს (gap ანალიზი). აღნიშნული ანალიზი მოიცავს აქტივებისა და ვალდებულებების დაჯგუფებას დაფარვის ვადის მიხედვით, ან იმ პერიოდის მიხედვით, რომლის განმავლობაშიც საპროცენტო განაკვეთი შეიცვლება, როგორც არის სამ თვეზე ნაკლები ვადა, სამი თვიდან ერთ წლამდე და ა.შ. კატეგორიის დეფიციტი გამოიხატება უ-ში მოცემული აქტივების ღირებულებას გამოკლებული პასივები. მნიშვნელოვანი, ნეგატიური დეფიციტი მიუთითებს, რომ შესაბამისი პერიოდისთვის ბანკს გააჩნია აქტივებთან შედარებით მეტი მოცულობის ვალდებულებები, რომლებიც გადაფსდა და შესაბამისად, ბანკს დაემუქრება საპროცენტო განაკვეთების გაზრდის საფრთხე. პოზიტიური დეფიციტი მიუთითებს საპროცენტო განაკვეთების შემცირებაზე. ბანკის აქტივებთან და ვალდებულებებთან საპროცენტო განაკვეთების შეუსაბამობა იცვლება იმ საპროცენტო შემოსავლის მქონე მიმდინარე ანგარიშებზე არსებულ ნაშთებთან შესაბამისობაში მოყვანით, რომლებიც ხელახლა გადანაწილებულია დაფარვის ვადის მიხედვით - „1 თვემდე“ დაფარვის პერიოდიდან დაწყებული შესაბამის საკონტაქტო ვადებამდე.

ბანკი იყენებს აღრიცხვის სისტემას, რომელიც გულისხმობს პროდუქტების კატეგორიების მთავარი ტენდენციების დადგენას და აღნიშნული ტენდენციებიდან გადახვევის მონიტორინგს, საპროცენტო განაკვეთის რისკის ცვლილებების შეფასების მიზნით.

არსებული მდგომარეობის ანალიზის (gap ანალიზი) გარდა, საპროცენტო განაკვეთის რისკის შესაძლო ცვლილებების უკეთესად შეფასების მიზნით ყოველთვიურად ხორციელდება შემდეგი მონაცემების ანალიზი:

- კრედიტის ძირითადი თანხის ვადაზე ადრე დაფარვები - კრედიტის დაფარვის გრაფიკის დარღვევა განიხილება გამაფრთხილებელ სიგნალად და მიუთითებს საკრედიტო პროდუქტის საბაზრო პირობების ცვლილებაზე;
- სავალდებულო საკრედიტო ბარათების შემცირება - საკრედიტო ბარათების პორტფელში მოცულობის ან ზრდის კოეფიციენტის შემცირება, თუ ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული, წარმოადგენს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების გათვალისწინებით დეტალური ანალიზის საფუძველს;
- ვადიანი დეპოზიტების ვადაზე ადრე დარღვევა - საშუალო პარამეტრებიდან გადაცდომის შემთხვევაში, რომელიც განიხილება საპროცენტო განაკვეთებში ცვლილებების ინდიკატორად, განისაზღვრება რეალური ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს ტენდენციებზე და შეფასდება საპროცენტო განაკვეთის რისკზე პოტენციური ზეგავლენა;
- დეპოზიტების დაფარვის ვადის შემცირება - გაანალიზდება სადეპოზიტო სერტიფიკატების („CD“) პორტფელი ზრდის პარამეტრების და ვადის ფაქტორების გამოყენებით;
- მიმდინარე ანგარიშის ნაშთები შესაბამისი 200 დღიანი მცოცავი საშუალოს საფუძველზე - მიმდინარე და მოთხოვნამდე ანგარიშების ანალიზი განხორციელდება ფაქტობრივი ნაშთების შესაბამის 200 დღიანი მცოცავი საშუალოს მაჩვენებლებთან შედარებით. მნიშვნელოვანი გადახვევები გათვალისწინებული უნდა იქნას დაუყოვნებლივ, ხოლო მათი გამომწვევი მიზეზები - საფუძვლიანად შესწავლილი. შედეგები გამოიყენება საპროცენტო განაკვეთებში პოტენციური ცვლილებების შესაფასებლად.
- ცვლილებები საპროცენტო განაკვეთებში;
- ცვლილებები შემოსავლიანობის მრუდში.

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის ფარგლებში, ბანკი ახორციელებს მაკროეკონომიკური და ფინანსური მონაცემების ანალიზს და განსაზღვრავს იმ ფაქტორებს, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს საპროცენტო განაკვეთის დონეებზე ან შემოსავლიანობის მრუდზე. პროგნოზების საფუძველზე, ბანკი შეაფასებს პროდუქტის პირობების შეცვლის საჭიროებას და განსაზღვრავს პრიორიტეტებს.

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის პროცესში, ბანკი იყენებს შემოსავლების მეთოდს, რომელიც ორიენტირებულია ერთწლიანი პერიოდის განმავლობაში გამოცხადებულ მოგებასთან დაკავშირებულ რისკებზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, საპროცენტო განაკვეთის რისკის შეფასება ხდება gap ანალიზის მეშვეობით, სადაც შეჯამებულია შეუსაბამოების გადაფასება ყოველ განსაზღვრულ დროის პერიოდთან მიმართებაში და წმინდა საპროცენტო შემოსავალზე პოტენციური ზეგავლენა ერთი წლის განმავლობაში, მოცემული განაკვეთის ცვლილების შემთხვევაში.

შეფასებული საპროცენტო განაკვეთის რისკი არ უნდა იწვევდეს წმინდა საპროცენტო მარჟის (NIM) ცვლილებას არა უმეტეს 50 საბაზისო პუნქტით (“bps”).

იმ შემთხვევაში, თუ ანალიზის შედეგად გამოვლინდება ნეგატიური ტენდენციები, ჩატარდება დეტალური ანალიზი აქტივების და ვალდებულებების მოცულობასთან, დაფარვის ვადების სტრუქტურებთან და საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილებებთან დაკავშირებით. საჭიროების შემთხვევაში, გადაწყვეტილებების მიღება მოხდება ALCO-ს მიერ.

9.2.2 საპროცენტო რისკის შემოსავლის სენსიტიურობა და ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნა

საპროცენტო განაკვეთის რისკის ზეგავლენა წმინდა საპროცენტო შემოსავალზე ფასდება ერთ წლიანი პერიოდის განმავლობაში. საწყისი წერტილია საპროცენტო პოზიცია (რომელიც ყოველთვიურად ეცნობება საქართველოს ეროვნულ ბანკს), რომელიც იცვლება უფრო რელევანტური გადაფასების პირობების საფუძველზე. საპროცენტო პოზიცია კორექტირდება შემდეგი დაშვებების გამოყენებით:

აქტივების შემთხვევაში:

- უცხოური ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშებზე არსებული ნაშთები, რომელთა საპროცენტო განაკვეთი არსებული საბაზრო პირობებიდან გამომდინარე ნულია, გადატანილი იქნება არასაპროცენტოდან მცოცავ საპროცენტო განაკვეთზე ერთთვიანი ინტერვალის განმავლობაში;
- იმ ვადაგადაცილებული კრედიტების წილი, რომელთა დაფარვაც ჩვეულებრივ ხდებოდა პრობლემურ კრედიტებად ჩათვლამდე, ერთ წელზე მეტი პერიოდიდან გადატანილი იქნება შესაბამის პერიოდზე;
- მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტები გადანაწილდება ერთთვიან და სამთვიან პერიოდზე.

ვალდებულებების შემთხვევაში:

- საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მქონე ვადიანი დეპოზიტები განთავსდება შესაბამის საპროცენტო განაკვეთის გადახედვის ვადაზე, დაფარვის ვადის ნაცვლად;
- იურიდიული პირების საპროცენტო მიმდინარე ანგარიშები განაწილება მათი სახელშეკრულებო ვადის საფუძველზე;
- დარღვეული ვადიანი დეპოზიტების საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები განისაზღვრება ერთვადი დაფარვის ინტერვალის განმავლობაში.

კორექტირებული საპროცენტო პოზიციის გამოყენებით, ბანკი ახორციელებს საპროცენტო განაკვეთის რისკის ზეგავლენის გაანგარიშებას ყოველი შესაბამისი პერიოდისთვის და ასევე აფასებს ერთი წლის განმავლობაში მთლიანი წმინდა საპროცენტო შემოსავლის სენსიტიურობა საპროცენტო განაკვეთების კონკრეტულ ცვლილებებთან მიმართებაში. დაშვებულია, რომ საპროცენტო განაკვეთი გაიზარდოს 200 საბაზისო პუნქტით. წმინდა საპროცენტო შემოსავლის სენსიტიურობა გაანგარიშდება 200 საბაზისო პუნქტიანი ცვლილების მეშვეობით, უცხოურ ბანკებში არსებული საკორესპონდენტო ანგარიშების გარდა, რომელთა მიმართ გამოიყენება 50 საბაზისო პუნქტიანი ზრდა.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წმინდა საპროცენტო შემოსავლის სენსიტიურობა საპროცენტო განაკვეთის 200 საბაზისო პუნქტიან ცვლილებასთან მიმართებაში იყო ნეგატიური ლ 4.7 მილიონი. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წმინდა საპროცენტო შემოსავლის სენსიტიურობა საპროცენტო განაკვეთის 200 საბაზისო პუნქტიან ცვლილებასთან მიმართებაში იყო უარყოფითი ლ 3.3 მილიონი.

9.2.3 საპროცენტო რისკის ჰეჯირება

ხაზინის დეპარტამენტი საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვისა და ჰეჯირებისთვის იყენებს შემდეგ ინსტრუმენტებს:

- რეპო გარიგებები;
- საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებული ფორვარდული შეთანხმებები;
- საპროცენტო განაკვეთის სვოპები.

ვინაიდან, შიდასაბანკო დერივატივების ბაზარი უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ პროდუქტებთან დაკავშირებით კვლავ შემუშავების პროცესშია, საპროცენტო განაკვეთის რისკის შემცირების მიზნით ძირითად ქმედებას წარმოადგენს ბანკის პროდუქტების საპროცენტო განაკვეთებში შესაბამისი ცვლილება.

10 საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი შეიძლება გამოწვეული იყოს არაადეკვატური შიდა პროცესების, ადამიანთა ქმედებების, სისტემებისა და გარე ფაქტორების შედეგად, განზრახ, შემთხვევით ან ბუნებრივი მოვლენების გამო. გარე ფაქტორები მოიცავს თაღლითობას, წყალდიდობებს, ხანძარს, მიწისძვრებს და ტერორისტულ აქტებს ან ჰაკერულ შეტევებს. საოპერაციო რისკში გათვალისწინებულია შესაბამისობის, ინფორმაციის უსაფრთხოების და სამართლებრივი რისკები. საოპერაციო რისკი არ მოიცავს სტრატეგიულ და სარეპუტაციო რისკებს.

10.1 საოპერაციო რისკის მართვის სტრუქტურა

ბანკმა განსაზღვრა ORM-ის მართვის მექანიზმი და იღებს ყველა შესაძლო ზომას, რათა შეისწავლოს სხვადასხვა ზეგავლენის ფაქტორები საოპერაციო რისკზე. რომელიც წარმოიშობა არაადეკვატური შიდა პროცესების, ხალხის და სისტემების ან გარე ფაქტორების შედეგად. საოპერაციო რისკის მართვის მექანიზმის მიზანია უზრუნველყოს ბანკის მიერ საოპერაციო რისკის ეფექტურად დამუშავება, შეფასება, მართვა და ანგარიშგება.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ORM-ის მექანიზმის და ყველა ძირითადი პოლიტიკის განსაზღვრაზე, დამტკიცებასა და პერიოდულ შემოწმებაზე. ORM-ის მექანიზმის თვალსაზრისით, მმართველი საბჭოს ძირითადი ფუნქციაა ხელი შეუწყოს საოპერაციო რისკის მართვის პოლიტიკების, პროცესების და სისტემების თანმიმდევრულ განხორციელებას. აღნიშნული ითვალისწინებს ყველა პროდუქტს, მომსახურებასა და ოპერაციას. მმართველი საბჭო უზრუნველყოფს საოპერაციო რისკის მართვის ერთეულების დამოუკიდებლობას.

ბანკის ფარგლებში მოქმედი ORM-ის დეპარტამენტი მჭიდროდ თანამშრომლობს საოპერაციო რისკების თანამშრომლებთან, რომლებიც ჩართულნი არიან ძირითად საბანკო საქმიანობაში. ბანკის ORM-ის დეპარტამენტი ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ზედამხედველობით და ექვემდებარება აუდიტის კომიტეტის მიერ ხშირ შემოწმებას. უფრო კონკრეტულად, ORM-ის დეპარტამენტი პასუხისმგებელია შემდეგ დავალებებზე:


- საოპერაციო რისკის ფუნქციის მართვა, ბანკის საოპერაციო რისკის კონტროლის სტრატეგიების შემუშავება და განხორციელება;
- მეთოდების განსაზღვრა ბანკის მასშტაბით საოპერაციო რისკის გამოვლენის, შეფასების და შემცირების მიზნით;
- საოპერაციო რისკების მუდმივი კონტროლი, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა დაკავშირებული საქმიანობის რისკების კონტროლსაც;
- საოპერაციო რისკის კულტურის განვითარება და ხელშეწყობა ბანკის მასშტაბით.

ქვემოთ ჩამოთვლილი სტრუქტურული ერთეულები გაერთიანებულია ORM-ის დეპარტამენტის ქოლგის ქვეშ:

- სამართლებრივი შესაბამისობის განყოფილება;
- AML განყოფილება;
- მომხმარებლის მართვა და ძირითად საბანკო და სხვა სისტემებზე წვდომის უზრუნველყოფა;
- საბანკო ბარათები და ელექტრონული ვაჭრობის კონტროლი;
- მონაცემთა ბაზის გასუფთავება;
- პროცედურებისა და პროცესის კონტროლი;
- ახალი რისკის დამტკიცება (New risk approval - “NRA”);
- სარისკო შემთხვევის მონაცემთა ბაზის (Risk event database - “RED”) მართვა;
- თაღლითობის პრევენცია;
- ბიზნეს პროცესის რისკის შეფასება და ოპტიმიზაცია.

საოპერაციო რისკის სტრუქტურა წარმოდგენილია ქვემოთ დიაგრამაში.

საოპერაციო რისკის სტრუქტურა



ბანკმა შექმნა ინფორმაციული უსაფრთხოების დეპარტამენტი და ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემების (Information Security Management Systems - "ISMS") სახით შეარჩია ISO 27001 სტანდარტი, როგორც მისი ძირითადი საბაზისო მექანიზმი უსაფრთხოების სასურველი დონის მისაღწევად. ISMS-ის მიზანია ბანკის ინფორმაციული აქტივების დაცვა და მათი კონფიდენციალობის, ერთიანობის და ხელმისაწვდომობის (confidentiality, integrity and availability – „CIA“) უზრუნველყოფა. ISMS-ს შემუშავებული მექანიზმი, რომელიც შედგება ოთხ ეტაპიანი ციკლისგან - "დაგეგმვა, შესრულება, შემოწმება და ქმედება" (Plan, Do, Check and Act - "PCDA") ხელს უწყობს ბანკის ინფორმაციული აქტივების კონფიდენციალობასთან, ერთიანობასთან და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული რისკის პოზიციების დადგენას და აღმოფხვრას. ISMS-ის მექანიზმი უზრუნველყოფს ბანკის ინფორმაციული უსაფრთხოების შექმნის, განხორციელების, ოპერირების, მონიტორინგის, გადახედვის, დაცვის და გაუმჯობესების სისტემატური მიდგომის ფორმირებას.

10.2 საოპერაციო რისკის შეფასება და ახალი რისკის დამტკიცების პროცესი

საოპერაციო რისკის თვითშეფასების მიზანია საოპერაციო რისკზე ბანკის ზეგავლენის შეფასება იმისთვის, რომ გაუმჯობესდეს რისკის მონიტორინგი და უზრუნველყოფილი იქნას მიტიგაციის ინსტრუმენტები. ბიზნეს პროცესები აღრიცხული და დოკუმენტირებულია ბიზნეს პროცესების კატალოგში. თითოეულ ბიზნეს პროცესს ემუქრება საქმიანობის ტიპისთვის დამახასიათებელი, თანდაყოლილი რისკების საფრთხე როდესაც არ არის გათვალისწინებული პრევენციის და კონტროლის მექანიზმები. თითოეული ბიზნეს პროცესისთვის, მთავარი საოპერაციო რისკების გამოვლენა ხდება შემდეგი წყაროებიდან უზრუნველყოფილი ინფორმაციის საფუძველზე: კლიენტის მოთხოვნები, აუდიტის დასკვნები, ინფორმაციული ტექნოლოგიები, სამართლებრივი და ნორმატიული შემთხვევები, და უკვე დამდგარი შემთხვევები. აღნიშნული ბიზნეს პროცესები დამატებით დაკავშირებულია შესაბამის გარე და შიდა რეგულაციებთან. რისკების შეფასების მატრიცა შემუშავებულია და გამოიყენება ბიზნეს პროცესის რისკის დონის განსაზღვრისთვის, რისკის შემთხვევების სირთულის დონის და სიხშირის გაანგარიშების საფუძველზე. ინდივიდუალური ბიზნეს პროცესის რისკის შეფასების მატრიცის საფუძველზე შემუშავდა რისკების რუკა მთლიანი ბანკის მასშტაბით. შეფასების საფუძველზე, კორექტირების პროცესშია რისკების პრევენციის და/ან მიტიგაციის ზომებში გამოვლენილი ნებისმიერი ხარვეზი. კლიენტებისთვის შეთავაზებულ ყველა არსებითად ახალ ან არსებითად შეცვლილ ბიზნეს პროცესთან, პროდუქტთან და მომსახურებასთან, ასევე ინსტრუმენტებთან დაკავშირებით საჭიროა ახალი რისკის დამტკიცების (new risk approval - "NRA") პროცედურის გავლა მათ განხორციელებამდე ან პირველად გამოყენებამდე. ახალი რისკის დამტკიცება აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეფასებული იქნას ყველა ახალი საოპერაციო რისკი და მოხდეს ყველა საჭირო მოსამზადებელი პროცედურა და შემოწმება პროდუქტის ან მომსახურების წარმატებით განხორციელებისთვის. ახალ პროცესზე პასუხისმგებელი თანამშრომელი ORM-ის დეპარტამენტთან ერთად განსაზღვრავს თუ რა ფორმით უნდა მოხდეს ახალი რისკის დამტკიცება. აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს ორი ვარიანტი:

- NRA არ არის საჭირო;
- NRA მიზანშეწონილია დამატებითი დეპარტამენტების პირდაპირი ჩართულობით, როგორც ეს მითითებულია NRA-ს ფორმაში.

2016 წელს NRA-ს პროცესი ინტეგრირებული იყო IT პროექტების მართვის სისტემასთან, რომელიც ამცირებს საბანკო სისტემებში ცვლილებების შეტანის რისკს ORM-ის და ინფორმაციული უსაფრთხოების დეპარტამენტების მიერ ახალი რისკების შეფასების განხორციელების გარეშე. ცვლილების ბუნებიდან გამომდინარე, რისკის შეფასების პროცესში ჩართულია ყველა შესაბამისი დეპარტამენტი, მათ შორის ინფორმაციული უსაფრთხოების, იურიდიული, ბიზნესის და/ან ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტები. კონსოლიდირებული დასკვნები მომზადებული იქნა NRA-ის წერილობითი ფორმით დეტალურ რეკომენდაციებთან ერთად, რომელიც წარედგინა დავალებაზე უფლებამოსილ პირს შემდგომი დანერგვისთვის, დამტკიცების არსებული შიდა პროცედურების შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ აუცილებელი არ იქნება NRA-ის ჩატარება, დავალებაზე უფლებამოსილ პირს მაინც მიეწოდება გარკვეული რეკომენდაციები ფუნქციონალურ გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ახალი პროდუქტის/პროცესის არსიდან გამომდინარე, NRA-ის პროცესს შესაძლოა ასევე ზედამხედველობა გაუწიოს მმართველმა საბჭომ.

10.3 საოპერაციო რისკის შემთხვევების მონაცემთა ბაზა

საოპერაციო რისკის შემთხვევა არის ნებისმიერი მოვლენა, როდესაც კონტროლის ნაკლებობის ან არარსებობის გამო, ბანკმა განიცადა ან შესაძლოა განიცადა ზარალი. RED შემუშავდა და მოქმედებს, რათა უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი მოვლენა, ზარალი და შეცდომა დოკუმენტურად დამტკიცებული იქნას და სათანადოდ მოხდეს მათი დამუშავება. ის უზრუნველყოფს ბანკს ტექნიკური ინსტრუმენტით, რომლის მეშვეობითაც ხდება უკვე მომხდარი და პოტენციური სარისკო შემთხვევების სისტემატური შენახვა. აღნიშნული ინფორმაცია გამოიყენება რისკების იდენტიფიკაციის და მათი მართვის შესაბამისი მიდგომების გასაუმჯობესებლად. მონაცემების შეგროვება და შესაბამისი ანალიზი ტარდება ORM-ის დეპარტამენტის მიერ ცენტრალიზებული ფორმით. RED-ში ყველა სარისკო შემთხვევის სრულყოფილი დოკუმენტაციის უზრუნველსაყოფად, ყველა მენეჯერს ან პროცესის მფლობელს მოეთხოვება დაადასტურონ RED-ში დაფიქსირდა თუ არა უახლოეს პერიოდში რაიმე სარისკო შემთხვევა ან მის შესახებ ეცნობა თუ არა ORM-ის პასუხისმგებელ თანამშრომელს.

10.4 რაოდენობრივი მონაცემები საოპერაციო ზარალების შესახებ

ბოლო სამი წლის განმავლობაში მთლიანი საოპერაციო ზარალი შეადგენდა ლ 5.6 მილიონს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სტატისტიკური საოპერაციო ზარალის შესახებ მონაცემები (დაუმრგვალელებელი ოდენობები მოცემულია დანართის მე-18 ცხრილში).

გასული პერიოდის საოპერაციო ზარალი

მილიონი ლ, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	2015	2016	2017	სულ
დანაკარგების მთლიანი მოცულობა	2.1	1.7	1.8	5.6
დანაკარგების მთლიანი მოცულობა, რომლებიც აღემატება ლ 10,000	1.4	0.9	0.8	3.1
მოვლენების რაოდენობა, რომელთა დანაკარგიც აღემატება ლ 10,000	24	24	22	70
5 უმსხვილესი დანაკარგის საერთო მოცულობა	0.7	0.5	0.4	1.6

ბოლო სამი წლის განმავლობაში (2015-2017), საოპერაციო რისკები კონცენტრირებული იქნა საშუალო მნიშვნელობაზე ოთხი ტიპის მიხედვით, რამაც შეადგინა ბანკის მთლიანი საოპერაციო ზარალების 86.1%:


- სალაროს შეცდომები წარმოადგენდა მთლიანი საოპერაციო ზარალების 28.4%-ს. ამგვარი შეცდომების შედეგად დამდგარი დანაკარგები მცირეა, თუმცა საკმაოდ ხშირი და წარმოადგენს ზარალის შემთხვევების მთლიანი რაოდენობის 87.3%-ს;
- შიდა თაღლითობაზე მოდიოდა საოპერაციო ზარალების 27.2%. ასეთი ზარალები არ არის ხშირი და წარმოადგენს ზარალის შემთხვევების მთლიანი რაოდენობის მხოლოდ 1.6%;
- გარე თაღლითობაზე მოდიოდა საოპერაციო ზარალების 20.0%. ასეთი ზარალები იშვიათია, თუმცა აჩვენებს მზარდ ტენდენციას ბოლო სამი წლის მანძილზე;
- კლიენტების მოთხოვნებზე მოდიოდა ზარალის 10.7%. კლიენტების მოთხოვნების ზარალის რაოდენობა ბოლო სამი წლის განმავლობაში შემცირდა 40%-ზე მეტით.

საოპერაციო ზარალები რისკის შემთხვევის მიხედვით დეტალურად წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ სქემაში.

რისკის შემთხვევების მიხედვით საოპერაციო რისკის ზარალების შესახებ ინფორმაცია (2015-2017)


მოცულობა

- სალაროს შეცდომები
- შიდა თაღლითობა
- გარე თაღლითობა
- კლიენტების მოთხოვნები
- სხვა



შემთხვევების რაოდენობა

- სალაროს შეცდომები
- შიდა თაღლითობა
- გარე თაღლითობა
- კლიენტების მოთხოვნები
- სხვა



10.5 კაპიტალის მოთხოვნა

ბანკი საოპერაციო რისკებთან დაკავშირებული RWE-ს გასაანგარიშებლად იყენებს ძირითად ინდიკატორის მიდგომას. 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საოპერაციო რისკის RWE შეადგენდა ლ 351.4 მილიონს ლ 37.1 მილიონიანი მთლიანი კაპიტალის მოთხოვნით (RWE-ს 10.56%-ზე), ხოლო 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საოპერაციო რისკის RWE იყო ლ 230.6 მილიონი და კაპიტალის მოთხოვნა - ლ 24.2 მილიონი (RWE-ს 10.50%-ზე). 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ECR შეადგენდა ლ 28.1 მილიონს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში დეტალურად წარმოდგენილია საოპერაციო რისკის RWE-ს გაანგარიშება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (დაუმრგვლებელი ოდენობები მოცემულია დანართის მე-19 ცხრილში).

რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები საოპერაციო რისკთან დაკავშირებით

მილიონი ლ, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	2015	2016	2017	საშუალო
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	113.0	118.1	149.6	126.9
წმინდა საკომისიო შემოსავალი	42.0	60.3	66.4	56.2
სხვა არასაპროცენტო შემოსავალი	7.8	2.1	3.9	4.6
სულ დაქვითვამდე	162.7	180.6	219.9	187.7
დაქვითვები: ძირითადი საშუალებების რეალიზაციის შედეგად მოგება / (ზარალი)	0.0	1.5	(0.5)	0.3
სულ დაქვითვების შემდეგ	162.8	179.1	220.4	187.4
ძირითადი ინდიკატორის მაჩვენებელი (მთლიანი რაოდენობის 15% დაქვითვების შემდეგ)				28.1
RWE საოპერაციო რისკთან დაკავშირებით (ძირითადი ინდიკატორის მაჩვენებელი გაყოფილი 8%-ზე)				351.4

უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პილარ 1-ის რეგულაციის შესწორებამდე, ბანკმა გამოთვალა რისკის მიხედვით შეწონილი რისკი პოზიცია საოპერაციო რისკთან დაკავშირებით ძირითადი ინდიკატორის 10.5%-ზე გაყოფით, ნაცვლად 8%-ისა. ძირითადი ინდიკატორის 10.5%-ზე გაყოფის შედეგად, შეწონილი რისკის პოზიცია საოპერაციო რისკთან დაკავშირებით იყო ლ 267.7 მილიონი, ლ 83.7 მილიონით ნაკლები.

ბანკი ვარაუდობს, რომ გასული პერიოდის ზარალის მონაცემების საფუძველზე, რომელიც ბოლო სამი წლის განმავლობაში ჯამში შეადგენდა ლ 5.6 მილიონს, საოპერაციო რისკისთვის გამოყოფილი მინიმალური კაპიტალი ლ 37.1 მილიონის ოდენობით საკმარისზე მეტია საოპერაციო რისკებიდან წარმოშობილი გაუთვალისწინებელი ზარალების დასაფარად მომდევნო 12 თვის განმავლობაში.

10.6 კორპორაციული დაზღვევა

სამეთვალყურეო საბჭომ განსაზღვრა კონკრეტული მოთხოვნა, რომ ბანკი ჰეჯირებული უნდა იყოს საოპერაციო რისკების მიმართ დაზღვევის მეშვეობით. ბანკის პოლიტიკის მიხედვით, ქონებრივ დაზღვევას (ყველა რისკი), დირექტორების და ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის დაზღვევას, ბანკების კომპლექსურ დაზღვევას, კომპიუტერული დანაშაულის და ავტოპარკის დაზღვევას უზრუნველყოფს საერთაშორისოდ აღიარებული სადაზღვევო კომპანია.

ERM დეპარტამენტი პასუხისმგებელია სადაზღვევო დოკუმენტაციის დროულად განახლებისა და შესაბამისი სადაზღვევო კომპანიისთვის ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფაზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში.

არსებული კორპორაციული დაზღვევა ითვალისწინებს შემდეგს:

- ქონების დაზღვევა (ყველა რისკი);
- დირექტორების და ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის დაზღვევა;
- კომპლექსური საბანკო და კომპიუტერული დანაშაულის დაზღვევა;
- ავტოპარკის დაზღვევა;
- ბანკომატების და სწრაფი გადახდის ტერმინალების დაზღვევა;
- ჯანმრთელობის დაზღვევა ბანკის ყველა თანამშრომლისთვის.

11 ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი წარმოიშობა, როდესაც ბანკი ვერ შეასრულებს გადახდის ვალდებულებებს დათქმულ ვადაში ან შეასრულებს აღნიშნულ ვალდებულებებს ზედმეტი ხარჯებით.


11.1 ლიკვიდობის რისკის მართვა და კონტროლი

ლიკვიდობის ადეკვატურ მართვას არსებითი მნიშვნელობა აქვს ბანკისთვის, რათა მაღალი ხარისხით უზრუნველყოს როგორც ყოველდღიური ლიკვიდობის ვალდებულებების გადაწყვეტა, ასევე ლიკვიდობის სტრესულ პერიოდებთან გამკლავება, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს საბანკო ან საბაზრო შემთხვევების შედეგად. ლიკვიდობის რისკის მართვის ერთერთი ძირითადი მიზანია ასევე იმის უზრუნველყოფა, რომ ბანკის საქმიანობების დაფინანსება ხორციელდება ყველაზე ეფექტური გზით ლიკვიდობის ყოველდღიური ვალდებულებების მართვის და საზედამხედველო შეზღუდვების დაცვის საფუძველზე. აღნიშნული მიზნების და ამოცანების გაერთიანების შედეგად, მართვის პოლიტიკასთან ერთობლიობაში, ბანკს შესაძლებლობა ექნება სტაბილურად განავითაროს თავისი საქმიანობები რომელიც თანხვედრაში იქნება RAS-ის ლიმიტებთან.

ბანკს გააჩნია ლიკვიდურობის რისკის კონტროლის კომპლექსური მექანიზმი, რათა ნებისმიერ დროს გააჩნდეს ლიკვიდურობის საკმარისი რეზერვი, უზრუნველყოს დაფინანსების დივერსიფიცირებული სტრუქტურა, მართოს დაფარვის ვადებთან დაკავშირებული რისკები, შეასრულოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სტანდარტები და შეინარჩუნოს შიდა ბუფერები RAS-ის შესაბამისად.

ხაზინის დეპარტამენტი ლიკვიდობის რისკს მართავს ცენტრალიზებულ დონეზე და ვალდებულია ანგარიში წარუდგინოს მმართველ საბჭოს სულ მცირე კვირაში ერთხელ. ლიკვიდობის რისკის მართვის, მათ შორის ლიკვიდობის რისკის ლიმიტების განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს და მონიტორინგს აწარმოებს ALCO.

ლიკვიდობის რისკის მართვის და კონტროლის პროცესში ძირითადი ფუნქციები და პასუხისმგებლობები:



11.2 ლიკვიდობის მოთხოვნები

ლიკვიდობის რისკის შიდა მართვის და კონტროლის გარდა, საქართველოს ეროვნული ბანკი საქართველოში მოქმედი ყველა ბანკისგან მოითხოვს ლიკვიდობის კოეფიციენტის მინიმალური მაჩვენებლებისა და LCR-ის სტანდარტების დაცვას.

ლიკვიდობის კოეფიციენტის მინიმალური მაჩვენებელი წარმოადგენს ბანკის არსებული ლიკვიდობის პოზიციის სტატისტიკურად წარმოდგენას და გაანგარიშდება ლიკვიდური აქტივების ვალდებულებებზე გაყოფით საქართველოს ეროვნული ბანკის მეთოდოლოგიის შესაბამისად. აუცილებელია ყოველდღიური კოეფიციენტის გამოთვლა, თუმცა ბანკი ვალდებულია დაიცვას 30%-იანი მინიმალური ლიმიტი ყოველთვიურ საშუალო მაჩვენებლებთან მიმართებაში. ბანკის ლიკვიდობის რისკისადმი აპეტიტი ითვალისწინებს მუდმივად 10%-იანი ბუფერის შენარჩუნებას ლიკვიდობის კოეფიციენტის მინიმალური მაჩვენებლისთვის.

2014 წლის სექტემბერში, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა წარადგინა ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი, თუმცა ის ძალაში შევიდა მხოლოდ 2017 წელს. ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის გაანგარიშება ხდება ბაზელ 3-ის ჩარჩოს შესაბამისად, თუმცა, გამოიყენება გადინებების მაღალი მაჩვენებლები. ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი გათვალისწინებულია იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს ბანკს გაუმკლავდეს ლიკვიდობის რისკს ერთიანი სტრესულ პერიოდში. კოეფიციენტი განისაზღვრება, როგორც მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების ოდენობა, შეფარდებული მთლიან წმინდა ფულად გადინებებთან. საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნაა, რომ ყველა ბანკმა ყოველდღიურად დაიცვას მინიმალური მთლიანი ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი 100%-ის ოდენობით, ლარის LCR 75%, ხოლო უცხოური ვალუტის LCR 100%. ბანკის დასაშვები რისკის დონე უნდა აკმაყოფილებდეს ეროვნული ბანკის ჯამურ და უცხოური ვალუტის LCR-ს მინიმალურ მოთხოვნებს, ხოლო ლარის LCR-თან მიმართებაში, ნებისმიერ დროს უნდა შეინარჩუნოს 30%-იანი ბუფერი.

ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი და ლიკვიდობის კოეფიციენტის მინიმალური მაჩვენებლები

	Q4 2016	Q1 2017	Q2 2017	Q3 2017	Q4 2017
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი					
LCR (ჯამური), კვარტალის ბოლო დღე	292.2%	314.0%	294.9%	300.8%	287.3%
LCR (ჯამური), მინიმალური შესაბამისი კვარტალისთვის	261.6%	268.3%	274.5%	277.2%	273.1%
LCR (ლ), კვარტალის ბოლო დღე	262.8%	268.1%	264.8%	295.6%	285.9%
LCR (ლ), მინიმალური შესაბამისი კვარტალისთვის	221.4%	221.8%	235.2%	252.4%	258.9%
LCR (FX), კვარტალის ბოლო დღე	330.9%	378.5%	336.1%	307.0%	289.0%
LCR (FX), მინიმალური შესაბამისი კვარტალისთვის	311.9%	327.7%	299.5%	299.7%	279.6%
ლიკვიდობის კოეფიციენტის მინიმალური მაჩვენებლები					
ლიკვიდობის კოეფიციენტის მინიმალური მაჩვენებლები, კვარტალის ბოლო დღე	68.2%	68.5%	63.1%	60.7%	62.2%
ლიკვიდობის კოეფიციენტის მინიმალური მაჩვენებლები, მინიმალური შესაბამისი კვარტალისთვის	62.4%	65.9%	61.6%	57.8%	57.4%

LCR-ის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართის მე-14 ცხრილში.

11.3 ლიკვიდური საშუალებები და დაფარვის ვადების ინტერვალის ანალიზი

ლიკვიდური საშუალებები მოიცავს მაღალი ხარისხის ლიკვიდურ აქტივებს, როგორც არის ნაღდი ფული და ფულის ექვივალენტები, ლიკვიდური ფასიანი ქაღალდები, ასევე ეროვნული ბანკის მონეტარულ ოპერაციებში გირავნობის საგნის სახით გამოყენებადი აქტივები (ხელმისაწვდომი რეპო ლიმიტები). ხელმისაწვდომი ლიკვიდური საშუალებები მოიცავს აქტივებს, რომელთა გამოყენება კრიზისის შემთხვევაში ლიკვიდობის გადინებების გადასაფარად თავისუფლად შესაძლებელია, უფრო კონკრეტულად ის გამოითვლება შემდეგნაირად: ლიკვიდურ საშუალებებს გამოკლდებული სავალდებულო რეზერვის მოთხოვნა ეროვნულ ბანკში, საჭირო თანხები ყოველდღიური ოპერაციებისთვის, ბანკთაშორისი დეპოზიტები და ლორო ანგარიშები. შედეგად, ვიღებთ ხელმისაწვდომ ლიკვიდურ საშუალებებს, რომლებიც შესაძლოა დაუყოვნებლივ იქნას გამოყენებული, როგორც ლიკვიდობის წყარო მოკლევადიან სტრესულ პერიოდში, ბანკის ყოველდღიური ოპერაციების შეუფერხებლად. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მთლიანი ლიკვიდური საშუალებები შეადგენდა ლ 728.5 მილიონს, ხოლო მთლიანი ხელმისაწვდომი ლიკვიდური საშუალებები - ლ 498.3 მილიონს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში დეტალურად არის წარმოდგენილი ხელმისაწვდომი ლიკვიდური საშუალებების შემადგენელი ელემენტები.

ხელმისაწვდომი ლიკვიდური საშუალებები

მილიონი ლ, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	31 დეკემბერი 2017			31 დეკემბერი 2016			ცვლილება		
	ლ	FCY	სულ	ლ	FCY	სულ	ლ	FCY	სულ
ნაღდი ფული	121.3	38.1	159.4	111.4	34.0	145.4	9%	12%	10%
საკორესპონდენტო ანგარიშები და დეპოზიტები სეზ-ში	46.1	75.5	121.6	54.4	203.0	257.4	-15%	-63%	-53%
საკორესპონდენტო ანგარიშები და დეპოზიტები სხვა ბანკებში	15.1	214.9	229.9	0.0	145.2	145.2	nmf	48%	58%
ხელმისაწვდომი მოთხოვნისთანავე დაფინანსება სეზ-სგან	217.6	-	217.6	218.5	-	218.5	0%	nmf	0%
მთლიანი ლიკვიდური საშუალებები	400.0	328.5	728.5	384.3	382.2	766.5	4%	-14%	-5%
ბანკთაშორისი დეპოზიტები და ლორო ანგარიშები	0.2	3.4	3.6	0.1	1.8	1.9	28%	90%	85%
სავალდებულო რეზერვის მოთხოვნა	39.5	61.1	100.6	41.9	82.6	124.4	-6%	-26%	-19%
სალაროში არსებული ფული ოპერაციებისთვის	90.0	36.0	126.0	90.0	38.0	128.0	0%	-5%	-2%
მთლიანი ხელმისაწვდომი ლიკვიდური საშუალებები	270.3	228.0	498.3	252.3	259.8	512.1	7%	-12%	-3%

აქტივების და ვალდებულებების დაფარვის ვადების ინტერვალის ანალიზს (maturity gap analysis) რეგულარულად ახორციელებს ხაზინის დეპარტამენტი. აქტივების და ვალდებულებების მოდელირება აუცილებელია იმ შემთხვევაში, როდესაც საკონტრაქტო დაფარვის ვადები ადეკვატურად არ ასახავს ლიკვიდობის რისკის პოზიციას. ამ კონტექსტში ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითი იქნებოდა ფიზიკური პირების, იურიდიული პირების, მუნიციპალური და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციების მიმდინარე და შემნახველი ანგარიშები.

კლიენტების დიდი რაოდენობა, ყველა ტიპის დეპოზიტორის გათვალისწინებით, ეხმარება ბანკს, რათა ადეკვატურად შეამციროს მოულოდნელი გადინების რისკები. ასეთი დივერსიფიცირებული ანგარიშები ქმნის მიზნობრივი ვალდებულებების სტრუქტურასთან შესაბამის დაფინანსების სტაბილურ ბაზას.

11.4 სტრეს ტესტები და აღდგენის გეგმა

ბანკი იყენებს სტრეს-ტესტებს და სცენარების ანალიზს იმისთვის, რომ შეაფასოს მოულოდნელი და სერიოზული სტრესული შემთხვევების ზეგავლენა ლიკვიდობის პოზიციაზე. სცენარები მოიცავს ბანკის სპეციფიკურ და საბაზრო რისკებთან დაკავშირებულ შემთხვევებს.

ERM დეპარტამენტი, ხაზინის დეპარტამენტის მხარდაჭერით, პასუხისმგებელია სტრეს-სცენარების მეთოდოლოგიის შემუშავებაზე და შესაბამისი პარამეტრების განსაზღვრაზე, შემოსული მონაცემების საიმედო შედეგებად გარდაქმნის მიზნით. როგორც საბოლოო მომხმარებელი, ALCO ამოწმებს სტრეს ტესტების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებებს გამოსასწორებელი ზომების განხორციელების შესახებ.

ბანკის სპეციფიკური რისკების შემთხვევები მოიცავს მნიშვნელოვანი გადინებების მაჩვენებლებს მაღალ კონცენტრირებულ სექტორებში და სხვა ინდივიდუალურ შემთხვევებს, რომლებიც შესაძლოა ბანკს უქმნიდეს ლიკვიდობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. საბაზრო მასშტაბის სტრეს-ტესტები აერთიანებს მიმდინარე და შემნახველი ანგარიშების ბალანსების მოულოდნელი შემცირების და ასევე სხვა ისეთ შემთხვევებს, რომლებიც განაპირობებს საბაზრო ლიკვიდობის დეფიციტს. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჩატარებული სტრეს-ტესტების სცენარების შედეგებზე დაყრდნობით, ბანკის ლიკვიდობის კოეფიციენტები საკმაოდ მაღალ დონეზე შენარჩუნდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილ მინიმალურ დონეებთან შედარებით. ასევე ბანკმა დაიცვა ლიკვიდობის ადეკვატური პოზიცია ლიკვიდური საშუალებების და ხელმისაწვდომი ლიკვიდური საშუალებების გათვალისწინებით, რომლითაც ბანკმა არ დაარღვია RAS-ში განსაზღვრული ლიმიტები.

ბანკში მოქმედებს აღდგენის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ლიკვიდობის გამოწვევ ფაქტორების ანალიზს და აღდგენის გეგმის სტრატეგიას. ბანკის ლიკვიდობის მაჩვენებლების მონიტორინგს ყოველდღიურად ახორციელებენ ხაზინისა და ERM დეპარტამენტები. ნებისმიერი სხვა პოტენციური გამოწვევი შემთხვევის შესახებ ეცნობება მმართველ საბჭოს და განხილული იქნება ALCO-ს შეხვედრაზე. აღდგენის გეგმის ამოქმედებაზე გადაწყვეტილებას იღებს მმართველი საბჭო იმ შემთხვევაში, როდესაც ლიკვიდობის პრობლემის გამოწვევი ფაქტორი მნიშვნელოვანია ან ბანკის ლიკვიდობის პოზიცია მნიშვნელოვნად არის გაუარესებული. აღდგენის გეგმას განახორციელებს ხაზინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ALCO-ს და მმართველი საბჭოს აქტიური ზედამხედველობით.

12 დანართი

დანართის ცხრილებში წარმოდგენილი ინფორმაციის გამჟღავნება სავალდებულოა "კომერციული ბანკების მიერ პილარ 2-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნის" შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციის საფუძველზე. ყველა ცხრილისთვის ანგარიშგების თარიღი (პერიოდი) წარმოადგენს 2017 წლის 31 დეკემბერს, ოდენობები მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ცხრილი 1: ძირითადი მაჩვენებლები

N	4Q 2017*	3Q 2017	2Q 2017	1Q 2017	4Q 2016
საზედამხმდელო კაპიტალი (მოცულობა, ლარი)					
ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით					
1 ძირითადი პირველადი კაპიტალი	162,443,898	146,880,297	131,626,635	142,849,753	136,024,892
2 პირველადი კაპიტალი	168,582,962	153,019,361	137,765,699	148,988,817	142,163,956
3 საზედამხმდელო კაპიტალი	232,494,384	216,439,947	201,799,705	219,371,128	214,438,710
რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები (მოცულობა, ლარი)					
4 რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები (ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით)	1,355,390,670	1,148,598,509	1,203,229,966	1,145,329,051	1,149,962,271
5 რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები (ბაზელ I-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით)	1,140,371,139	1,075,579,526	1,005,604,938	928,462,246	903,311,913
კაპიტალის კოეფიციენტები					
ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით					
6 ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (≥ 7.0 %)**	11.99%	12.79%	10.94%	12.47%	11.83%
7 პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (≥ 8.5 %)**	12.44%	13.32%	11.45%	13.01%	12.36%
8 საზედამხმდელო კაპიტალის კოეფიციენტი (≥ 10.5 %)**	17.15%	18.84%	16.77%	19.15%	18.65%
ბაზელ I-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით					
9 პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (≥ 6.4 %)	10.39%	11.23%	11.92%	15.25%	12.09%
10 საზედამხმდელო კაპიტალის კოეფიციენტი (≥ 9.6 %)	20.77%	20.61%	20.43%	23.99%	23.38%
მოგება					
11 მთლიანი საპროცენტო შემოსავლები / საშუალო წლიურ აქტივებთან	15.44%	15.30%	15.08%	14.99%	14.93%
12 მთლიანი საპროცენტო ხარჯები / საშუალო წლიურ აქტივებთან	6.61%	6.65%	6.68%	6.77%	7.47%
13 საოპერაციო შედეგი / საშუალო წლიურ აქტივებთან	5.20%	4.75%	4.07%	2.59%	3.94%
14 წმინდა საპროცენტო მარჟა	8.82%	8.65%	8.40%	8.22%	7.47%
15 უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA)	3.09%	2.76%	2.45%	2.36%	2.23%
16 უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE)	25.76%	23.20%	20.56%	20.33%	21.22%
აქტივების ხარისხი					
17 უმოქმედო სესხები / მთლიან სესხებთან	10.12%	10.36%	10.42%	10.29%	10.15%
18 სმდრ / მთლიან სესხებთან	11.11%	11.21%	11.10%	10.89%	10.93%
19 უცხოური ვალუტით არსებული სესხები / მთლიან სესხებთან	1.54%	1.74%	2.02%	2.47%	3.67%
20 უცხოური ვალუტით არსებული აქტივები / მთლიან აქტივებთან	20.00%	20.99%	22.58%	24.20%	26.05%
21 მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი	29.78%	22.15%	16.05%	5.30%	3.19%
ლიკვიდობა					
22 ლიკვიდური აქტივები / მთლიან აქტივებთან	40.06%	40.95%	42.57%	44.67%	46.37%
23 უცხოური ვალუტით არსებული ვალდებულებები / მთლიან ვალდებულებებთან	25.95%	27.10%	28.60%	30.88%	32.82%
24 მიმდინარე და მოთხოვნილი დეპოზიტები / მთლიან აქტივებთან	36.11%	37.09%	37.85%	35.99%	36.80%
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი ***					
25 მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები (სულ)	733,359,924	710,153,574	722,963,832	728,569,297	769,455,943
26 ფულის წმინდა გადინება (სულ)	255,294,208	236,121,311	245,181,986	232,451,405	263,039,757
27 ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (%)	287.26%	300.76%	294.87%	313.43%	292.52%

* მნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარე და გასულ კვარტალს შორის გამოწვეულია რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების დათვლის მეთოდოლოგიის ცვლილებით, კერძოდ "სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები" აღარ მონაწილეობს რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების გაანგარიშებაში. აღნიშნული აისახა კაპიტალის ბუფერის მოთხოვნებში პილარ 2-ის ფარგლებში. იხ. ცვლილებების შესახებ ოფიციალური პრეს რელიზი შემდეგ ბმულზე:

<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3248>

** აღნიშნული გულისხმობს "კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ" დებულების მე-8 მუხლით განსაზღვრული მინიმალური მოთხოვნების (4.5%, 6% და 8%) და კაპიტალის კონსერვაციის ბუფერის (2.5%) ჯამურ მოთხოვნას

*** სეზ-ის მეთოდოლოგიით გაანგარიშებული კოეფიციენტები, რომელიც ბაზელის მეთოდოლოგიისგან განსხვავებით, უფრო მეტადაა კონკრეტირებული ლიკვიდური რისკებზე. იხილეთ ცხრილი 14. LCR. აღნიშნული წარმოადგენს კომერციული ბანკებისათვის სავალდებულოდ დასაკავ მოთხოვნას, ხოლო ბაზელის მეთოდოლოგიით დათვლილი მონაცემები წარმოდგენილია საილუსტრაციო მიზნებისათვის.

ცხრილი 2: საბალანსო უწყისი

ლარებით		საანგარიშგებო პერიოდი			წინა წლის შესაბამისი პერიოდი		
N	აქტივები	ლარი	უცხ.ვალუტა	სულ	ლარი	უცხ.ვალუტა	სულ
1	ნაღდი ფული	121,279,851	38,110,197	159,390,048	111,370,743	34,036,822	145,407,565
2	ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში	46,134,030	75,497,427	121,631,457	54,440,057	202,970,131	257,410,188
3	ფულადი სახსრები სხვა ბანკებში	15,613,089	215,224,883	230,837,972	713,723	145,413,733	146,127,456
4	ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის	-	-	-	-	-	-
5	საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	218,146,845	-	218,146,845	243,041,197	-	243,041,197
6.1	მთლიანი სესხები	940,096,217	14,677,300	954,773,517	708,702,799	26,976,941	735,679,740
6.2	მინუს: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	(102,776,976)	(3,284,563)	(106,061,539)	(78,191,226)	(2,187,719)	(80,378,945)
6	წმინდა სესხები	837,319,241	11,392,737	848,711,978	630,511,573	24,789,222	655,300,795
7	დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები	13,393,509	187,101	13,580,610	11,194,646	444,467	11,639,113
8	დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება	97,643	-	97,643	492,105	-	492,105
9	ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში	147,088	110,169	257,257	147,088	146,185	293,273
10	ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	160,905,358	-	160,905,358	149,388,980	-	149,388,980
11	სხვა აქტივები	34,611,366	21,501,370	56,112,736	17,932,902	21,741,272	39,674,174
